

- **ჰაინრიჰ შნიტგერი**
საკრედიტო სამართალი
- **კეტიარ ლუთრინგჰაუსი**
დელიქტური სამართალი
- **ვინფრიდ შუშკე**
სააღსრულებო სამართალი
- **იან ტოლკმიტი**
ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

(მოკლე კონსპექტები)

ჰანრიკ შნიტგერი
საკრედიტო სამართალი

•

პეტარ ლუთრინგჰაუსი
დელიქტური სამართალი

•

ვინფრიდ შუპკე
სააღსრულებო სამართალი

•

იან ტოლკმიტი
ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

(მოკლე კონსპექტები)

სიესტა
თბილისი


2011

წინამდებარე ნაშრომი გამოცემულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით. გამომცემელი არ იღებს პასუხისმგებლობას წიგნის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.


Das vorliegende Buch wurde mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH herausgegeben. Der Herausgeber übernimmt für die Richtigkeit und Vollständigkeit des Inhaltes keine Verantwortung.

ტექსტში გადმოცემული დასკვნები და შეფასებები არ უნდა იქნეს განხილული, როგორც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) შეხედულებები.

წიგნის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე:
www.gtz.de/law-caucasus



გამოცემაზე პასუხისმგებელი | ჯგუფი „სიესტა“
გამომცემელი | ქეთევან კილურაძე
ტექნიკური უზრუნველყოფა | გვანცა მახათაძე
© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2011
გამომცემლობა „სიესტა“, 2011
გამოცემულია 2011, თბილისი
ISBN 978-9941-414-80-0
გამომცემლობა შპს „სიესტა“
თბილისი, ვერიკო ანჯაფარიძის ქ. №16
ტელ./ფაქსი: +995 32 2 92 31 49, +995 32 2 22 07 08
ელ-ფოსტა: books@siestagroup.ge



სარჩევი

კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი საქართველოში

I. რას ნიშნავს კრედიტის უზრუნველყოფა?	7
II. სანივთო სამართლის ზოგადი ნორმები	7
III. გირავნობასთან და იპოთეკასთან დაკავშირებული ნორმების ცვლილებები	8
IV. გირავნობასთან და იპოთეკასთან დაკავშირებული ზოგადი რეგულირებები	9
1. აქცესორულობა (ძირითად მოთხოვნაზე დამოკიდებულება).	9
2. პრიორიტეტი	9
3. საჯაროობა	9
V. გირავნობა	10
VI. იპოთეკა	10
VII. რეესტრი	12

დელიქტური სამართლის პრობლემატიკა

I. ზოგადი ნაწილი	14
II. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის წინაპირობები	14
1. პასუხისმგებლობა ქმედებისათვის	14
2. პასუხისმგებლობა მესამე პირებისა და საგნების მიმართ არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო	19
3. სამართლებრივი შედეგები	21
III. პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის მიხედვით	23
IV. მუშაკის პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის მიხედვით	26
V. მოთხოვნის ხანდაზმულობა	28
VI. სარტანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება	30

სააღსრულებო სამართალი

ნაწილი I	37
სააღსრულებო სამართლის საფუძვლები	37
I. იძულებითი აღსრულება, როგორც საჯარო სამართლის ნაწილი	37
1. სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედების კონსტიტუციურობის მოთხოვნა.	37
2. თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება სახელმწიფო ქმედების ფარგლებში	38
3. სამოსამართლო კონტროლის გზით უფლების ეფექტიანი დაცვის პრინციპი	38
4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სააღსრულებო სამართლის ფარგლებში	39
II. იძულებითი სამართალი, როგორც იძულების განხორციელების (ძალის გამოყენების) სახელმწიფო მონოპოლიის გამოსატყულება	39
1. იძულებითი აღსრულება არის ყოველთვის „მოქალაქეთა იძულება“ (ძალის გამოყენება მოქალაქეთა მიმართ)	39
2. იძულების განხორციელების (ძალის გამოყენების) სახელმწიფო მონოპოლია.	39
3. იძულებითი აღსრულების „პრივატიზაციის“ შესაძლებლობები და ფარგლები	40
ნაწილი II	41
სააღსრულებო სამართლის საფუძვლები (გაგრძელება)	41
III. ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულება და გაკოტრება (მოთხოვნათა ერთობლიობის აღსრულება)	41
1. ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულებისა და გაკოტრების ურთიერთგანსხვავებული მიზნები	41

2. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში ავტორის მოსაზრებით ნაწილობრივ ნაშლილია ზღვარი ამ ორ ინსტიტუტს შორის და შესაბამისად დარღვეულია თანაზომიერების პრინციპი41
IV. სააღსრულებო დოკუმენტი, როგორც იძულებითი აღსრულების საფუძველი42
1. სააღსრულებო დოკუმენტის აუცილებლობასთან დაკავშირებით42
2. სააღსრულებო დოკუმენტის განსაზღვრულობასთან დაკავშირებით42
3. ცალკეული მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სააღსრულებო დოკუმენტი:43
V. სააღსრულებო დოკუმენტის შემდგომი „განმარტებისა“ და კორექტურის ფარგლები45
1. განცხადება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით45
2. უსწორობები და არითმეტიკული შეცდომები სსსკ-ის 260-ე მუხლის მიხედვით.45
3. დამატებითი გადაწყვეტილება სსსკ-ის 261-ე მუხლის მიხედვით.45
4. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები სსსკ-ის 268-ე და 269-ე მუხლების მიხედვით და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა სსსკ-ის 271-ე და 191-199-ე მუხლების მიხედვით.46
5. დასკვნა46
ნაწილი III46
სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად46
I. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის სტრუქტურა46
II. იძულებითი აღსრულების დაწყება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად47
III. იძულებითი აღსრულება ფულადი მოთხოვნის მიმართ არსებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე:49
6. აღსრულების შეჩერება სააღსრულებო კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები51
IV. სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი აღსასრულებელი მოთხოვნების იძულებითი აღსრულება სააღსრულებო კანონის 83-90-ე მუხლებით.52
V. იძულებითი აღსრულების ხარჯები და საფასური ქართულ სამართალში53
VI. რეზუმე55
ნაწილი IV55
უფლების დაცვა იძულებითი აღსრულების მონაწილე მხარეებისთვის.55
II. სააღსრულებო წარმოების ფორმალური მიმდინარეობა სააღსრულებო წარმოების მხარეთა პრეტენზიისა თუ საჩივართან, ასევე იმ მესამე პირებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებულნი არიან აღნიშნული წარმოებით56
1. შესავალი ნაწილი56
2. საქართველოს სააღსრულებო კანონის მე-183 მუხლი56
3. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 147-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული კერძო აღმასრულებლის „სამართლებრივი ინსტრუმენტი“, მის მიერ აუქციონის მოსამზადებელი პროცედურისთვის წარდგენილ განცხადებაზე უარის თქმის შემთხვევებში57
4. ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების განკარგულების გასაჩივრება სააღსრულებო კანონის 183-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით57
III. მოვალის მიერ მოგვიანებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის გამოყენება58
1. შესავალი ნაწილი58
2. სააღსრულებო კანონის 34-ე მუხლი58

IV. მესამე პირის უფლება, დაიცვას იძულებითი აღსრულებისას მის საკუთრებაში არსებული ნივთები 61
1. შესავალი ნაწილი 61
2. მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების შესახებ (სააღსრულებო კანონის 32-ე მუხლი) 62
3. სარჩელის უპირატესი წესით დაკმაყოფილება (სააღსრულებო კანონის 41-ე მუხლი) 62
V. რამდენიმე კრედიტორს შორის ამონაგების საკითხზე არსებული დავა, რომელიც არ არის საკმარისი ყველა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად 63
1. შესავალი ნაწილი 63
2. სააღსრულებო კანონის 824-ე მუხლის მე-2 პუნქტი 63
VI. მოვალის სასარგებლოდ დათქმა 63
1. შესავალი ნაწილი 63
2. მოვალის განსაკუთრებული ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინება (სააღსრულებო კანონის 31-ე მუხლი) 64
I. რეფორმის მაგალითები გერმანიიდან 64
1. ყადაღისგან დაცული ანგარიში 64
2. საგნის გამოკვლევის გაუმჯობესება 65
II. სამოსამართლო პრაქტიკის მონაწილეობა სამომავლო რეფორმის პროცესებში 66

შესავალი საავტორო და სასაქონლო ნიშნების სამართალში

ა. საავტორო სამართლის საფუძვლები. 67
I. საფუძვლები 67
1. საავტორო სამართლის რეგულირების სფერო 67
2. საავტორო სამართლის არსი და მიზანი 67
3. საავტორო სამართლის წყაროები 68
4. კანონის სტრუქტურის მიმოხილვა 68
II. საავტორო სამართლებრივი შემთხვევის შემონმების ტიპური სქემა 69
III. საავტორო სამართლებრივი მოთხოვნების შემონმება 70
1. დაცვის ობიექტი: ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების დაცვა 70
2. აქტიური ლეგიტიმაცია. 74
3. უფლებების დარღვევა 75
4. უფლების დარღვევის უკანონობა 78
5. პასიური ლეგიტიმაცია (პასუხისმგებლობა) 80
6. სამართლებრივი შედეგები 81
7. დროებითი ღონისძიებები. 82
IV. კოლექტიური მართვის ორგანიზაციების უფლება. 82
ბ. დიზაინის სამართლის მიმოხილვა. 83
I. დაცვის საგანი 84
1. სიახლე 84
2. ინდივიდუალურობა 84
3. დიზაინის უფლების დაცვის ვადა 85
4. შემონმების მოცულობა რეგისტრაციის წარმოების დროს 85
II. ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე (აქტიური ლეგიტიმაცია) 85
III. უფლების დარღვევა 85
IV. მართლწინააღმდეგობა 86
V. სამართლებრივი შედეგები. 86
VI. დიზაინთან დაკავშირებული მოთხოვნების გადასამონმებელი სქემა: 86
გ. სასაქონლო ნიშნის სამართლის მიმოხილვა უფლების დარღვევის პროცესში 86
I. ძირითადი პრინციპები. 86

II. სასაქონლო ნიშნის დაცვის არსი 87
1. აბსტრაქტულ სასაქონლო ნიშნად გამოსადეგობა 87
2. აბსტრაქტული განსხვავება 87
3. დაცვის დამაბრკოლებელი საფუძვლები 87
4. დაცვის წარმოშობა 88
5. დაცვის ხანგრძლივობა 88
III. ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე 88
(აქტიური ლეგიტიმაცია) 88
IV. უფლების დარღვევა / კოლიზია 89
1. პრიორიტეტი 89
2. უფლების დარღვევის შემადგენლობები 89
3. ქმედება საქმიან ბრუნვაში 90
4. ორმაგი იდენტიფიკაცია 90
5. უფლების დარღვევა ერთმანეთში აღრევის საშიშროების გამო 90
დ. აღრევის საშიშროება ნიშნის სხვა ნიშანთან იმპულსური დაკავშირებით (ასოციაციური აღრევის საშიშროება) 93
6. ცნობილი სასაქონლო ნიშნის გაფართოებული დაცვა 93
V. უფლების დარღვევის მართლწინააღმდეგობა 93
1. დაუშვებელი პრეტენზიები 93
2. ნებართვა ხელშეკრულებით 93
3. ნებართვა კანონის მეშვეობით 93
VI. პასიური ლეგიტიმაცია 94
VI. სამართლებრივი შედეგები 94

კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი საქართველოში

I. რას ნიშნავს კრედიტის უზრუნველყოფა?

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კრედიტის უზრუნველყოფის ორ სახეობას: გირავნობასა და იპოთეკას. აღნიშნული ფორმების დახმარებით მოვალე (ან მესამე პირი) თავისი საკუთრებით უზრუნველყოფს კრედიტორის მოთხოვნას. თუმცა, შესაძლებელია კრედიტის უზრუნველყოფის ცნების გაფართოებაც. ასეთ შემთხვევაში, იგი მოიაზრებს ყველა იმ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელთა მიზანია ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. სამოქალაქო კოდექსები, რომლებიც აგებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის სამოქალაქო კოდექსის მოდელის მიხედვით, კრედიტის უზრუნველყოფასაც აღნიშნულ ასპექტში ხედავენ და იცნობენ უზრუნველყოფის შემდეგ საშუალებებს: პირგასამტეხლო, გირავნობა, მოვალის ქონების დაკავება, თავდებობა, საბანკო გარანტია და ბე. გარდა ამისა, ვალდებულებითი სამართლის ზოგიერთი ზოგადი რეგულირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით პრაქტიკულად უზრუნველყოფის ფუნქციას ასრულებს და აქვს კიდევ ასეთი დატვირთვა. აქ დავასახელებ მხოლოდ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას და ნივთის დაკავების უფლებას. უზრუნველყოფის სხვა საშუალებაა ასევე პირობადებული საკუთრება. ამას გარდა, კერძო ავტონომია ზოგადად იძლევა იმის საშუალებას, ხელშეკრულება შედგეს ისეთი ფორმით, რომ იგი მაქსიმალურად უზრუნველყოფდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. აქ რამოდენიმე ფორმას დავასახელებ, რომლებთან დაკავშირებითაც ზოგადად საკითხავია, თუ რამდენად დასაშვებია ისინი და ხომ არ წარმოადგენს ეს ფორმები კანონის გვერდის ავლას: წარმოვიდგინოთ, რომ პირობადებული საკუთრების შემთხვევაში საკუთრების უფლების გადასვლა სსკ-ის 188-ე მუხლის მიხედვით მხარეებს შორის შეთანხმებულია არა მხოლოდ შეთანხმებული ფასის გადახდის, არამედ მოვალის მიერ გამყიდველის მიმართ ყველა არსებული და სამომავლო ვალდებულების შესრულების შემდეგ. არის ეს სამართლებრივად ნამდვილი შეთანხმება?

ასევე გაურკვეველია, ითვალისწინებს თუ არა სსკ-ი გერმანიაში ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებას, კერძოდ, უზრუნველყოფილ გადაცემას. გარდა ამისა, მოცემულ ვითარებაში შესაძლებელია ასევე ე.წ. sale-and-lease-back-ხელშეკრულების* ინსტიტუტზე ფიქრი და ამით უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებული საშუალებების (გირავნობა და იპოთეკა) ჩანაცვლება.

II. სანივთო სამართლის ზოგადი ნორმები

გირავნობისა და იპოთეკისათვის მნიშვნელოვანია, რომ მათზე ვრცელდებოდეს სანივთო სამართლის ზოგადი წესები სსკ-ის 147-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით. აღნიშნულის თანახმად ქონება შესაძლოა იყოს სამი სახის: უძრავი და მოძრავი ქონება (სსკ-ის 148-ე მუხლი) და არამატერიალური ქონება (სსკ-ის 152-ე მუხლი). ეს სიტყვასიტყვით შეიძლება არ წერია კანონში, მაგრამ გამომდინარეობს მისი სისტემატიკიდან: ამ ნივთებზე შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული უფლებები. ესენია: საკუთრება (სსკ-ის 170-ე მუხლი) და შეზღუდული უფლებები, რომლებიც (როგორც დამტვირთველი უფლება) ნაწარმოებია საკუთრების უფლებიდან (სსკ-ის 153-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არ არის შესაძლებელი კერძო ავტონომიიდან გამომდინარე სხვა ქონებრივი უფლებების გამოგონება ან შეთანხმება. სახელშეკრულებო შეთანხმებები მოქმედებს მხოლოდ ვალდებულებით და არა სანივთო სამართალში.

არამატერიალური ქონებრივი უფლების გადაცემა ხდება გარიგების საფუძველზე (სსკ-ის 198-ე მუხლი) ყველანაირი დამატებითი სამართლებრივი აქტის გარეშე. არამატერიალური უფლება ყოველთვის იმ ფორ-

* აღნიშნული ხელშეკრულება გულისხმობს უძრავი ნივთის ან რაიმე დანადგარის გასხვისებას სალიზინგო საზოგადოებაზე და იმავდროულად იმავე ნივთის დაქირავებას სარგებლობისთვის.

მით გადადის სხვა პირზე, როგორც ფორმითაც იგი არსებობდა გადასვლამდე. მოძრავი და უძრავი ნივთების შემთხვევაში კი საქმე სხვაგვარადაა. ორივე ნივთის შემთხვევაში უფლების გადაცემისათვის აუცილებელია ფაქტობრივი აქტი, ანუ: უძრავი ნივთის შემთხვევაში უფლების გადაცემა უნდა დარეგისტრირდეს რეესტრში (სსკ-ის 183-ე მუხლი) და მოძრავი ნივთი გადაცემულ უნდა იქნას მფლობელობაში (სსკ-ის 186-ე მუხლი). ამ ნივთებზე იმავდროულად ვრცელდება კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოძრავ და უძრავ ქონებაზე შესაძლებელია საკუთრების უფლების შექმნა იმ პირისაგანაც კი, რომელიც თვითონ არ ფლობს საკუთრების უფლებას აღნიშნულ ნივთებზე. მოძრავი ნივთების შემთხვევაში ეს ცალსახად არის მოწესრიგებული კანონით (სსკ-ის 187-ე მუხლი), ხოლო რაც შეეხება უძრავ ნივთებს, აღნიშნული გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ კეთილსინდისიერი შემძენისათვის რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრე მიიჩნევა კიდევ ნივთის ნამდვილ, უფლებამოსილ მესაკუთრედ (სსკ-ის 312-ე მუხლი).

აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი პრინციპია მოძრავ და უძრავ ნივთებზე უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, კერძოდ, განსაზღვრულობის პრინციპი. საკუთრების უფლების გადაცემისათვის გადასაცემი ნივთი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ვალდებულებით-სამართლებრივ შეთანხმებებზე.

III. გირავნობასთან და იპოთეკასთან დაკავშირებული ნორმების ცვლილებები

გირავნობასა და იპოთეკასთან დაკავშირებული ნორმები მკვეთრად შეიცვალა. ამასთან, არ არის ბოლომდე ნათელი, ცვლილებებთან ერთად დაიკარგა თუ არა არსებული სისტემატიკა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქცია გირავნობასთან დაკავშირებით შეიცავდა ორ ცენტრალურ ნორმას. 255-ე მუხლის მიხედვით გირავნობის უფლების წარმოშობა ზოგადად ისეთივე ფორმით ხდებოდა, როგორც საკუთრების გადასვლის შემთხვევაში. ამრიგად, შესაძლებელი იყო, პირს არამესაკუთრე მეორე პირისაგან კეთილსინდისიერად მიეღო გირავნობის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ დამგირავებელი იყო მხოლოდ მფლობელი (სსკ-ის 257-ე მუხლი). ამ კუთხით მსგავსება იყო საკუთრების გადაცემის განმსაზღვრელ ნორმებთან. მსგავსი ფორმით შესაძლებელი იყო (და ახლაც არის) დაუტვირთავი მინის ნაკვეთის კეთილსინდისიერად შექმნა, თუ იპოთეკა, რომელიც ფაქტობრივად არსებობს, არ არის რეგისტრირებული რეესტრში. აღნიშნული გამომდინარეობს სსკ-ის 312-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც შემძენს შეუძლია ენდოს რეესტრის ჩანაწერის სისრულესა და უტყუარობას.

რეგისტრირებული გირავნობის შემოღებამ გაართულა აღნიშნული სისტემის შენარჩუნება. ამჟამად საკუთრების უფლების გადასვლასთან დაკავშირებული ნორმები არ არის გირავნობის უფლების წარმოშობის მომწესრიგებელი ნორმების იდენტური. საკუთრების უფლების გადასვლისათვის არ არის საჭირო რეესტრში დარეგისტრირება. ნივთის შემძენისათვის საკმარისია მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ ნივთის მფლობელი იმავდროულად არის მისი მესაკუთრე (სსკ-ის 158-ე მუხლი). მაგრამ რა ვითარებაა საკუთრების გირავნობით დატვირთვისთან დაკავშირებით? როდის შეუძლია შემძენს ჰქონდეს ნდობა იმისა, რომ გირავნობა არ არსებობს? არსებობს თუ არა და რა შემთხვევებში არსებობს დაუტვირთავი მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერად შექმნის შესაძლებლობა? ჩემი აზრით, ეს საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არც ძველი რედაქციით იყო გარკვეული და ასევე გაურკვეველი რჩება ცვლილებების შემდეგაც.

იპოთეკასთან დაკავშირებით ორი არსებითი ცვლილება განხორციელდა. ერთი ის, რომ კრედიტორის დაკმაყოფილება შეიძლება ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის გზით. ცვლილებამდე ეს დაუშვებელი იყო. მეორე ის, რომ თითოეულ იპოთეკაზე გაიცემა შესაბამისი იპოთეკის მონობა, რომელიც მიჩნეულია ფასიან ქალაქად. ფაქტობრივი მფლობელი მიიჩნევა კანონიერ მფლობელად და ასევე მოთხოვნიდან და იპოთეკიდან გამომდინარე ყველა უფლების მფლობელადაც. იპოთეკის მონობა საჯარო რეესტრის ამონაწერთან მიმართებით, სარგებლობს პრიმატით, ანუ, აქ აღარ ვრცელდება საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფცია.

IV. გირავნობასთან და იპოთეკასთან დაკავშირებული ზოგადი რეგულირებები

კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი მოიცავს რამოდენიმე ზოგადი ხასიათის პრობლემას, რომელთა განხილვა და გათვალისწინება მიზანშეწონილია თავდაპირველ ეტაპზე.

1. აქცესორულობა (ძირითად მოთხოვნაზე დამოკიდებულება)

კრედიტის უზრუნველყოფის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას, კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილება მოვალის სხვა ქონებიდან. არსებობს უზრუნველყოფილი მოთხოვნა (ეს არის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლება) და სანივთო უფლება (გირავნობა, იპოთეკა). აქცესორულობა ნიშნავს, რომ სანივთო უფლება დამოკიდებულია იმაზე, რომ ფაქტობრივად არსებობდეს ძირითადი მოთხოვნა. მათი განცალკევება შეუძლებელია (იხილეთ აქცესორულობის დეფინიცია სსკ-ის 153-ე მუხლის 1-ლ ნაწილში). მათ შორის უზრუნველყოფა გახლავთ დამოკიდებული ნაწილი, უფლება. იგი მოთხოვნის ნაწილია და მოთხოვნის გადასვლის შემთხვევაში, გადადის მასთან ერთად (სსკ-ის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მაგალითად, თუ გირავნობა უკავშირდება სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფას, მაშინ იგი უკვე არსებობს მისი გათვალისწინების მომენტიდან. თუმცა, რეალობაში იგი წარმოიშობა ძირითადი მოთხოვნის წარმოშობასთან ერთად. თუკი ძირითადი მოთხოვნა არ წარმოიშობა, არ წარმოიშობა არც გირავნობა. იპოთეკასთან დაკავშირებით აქ განსაკუთრებული წესი მოქმედებს. სსკ-ის 288-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ რეგისტრირებული იპოთეკა ხდება მესაკუთრის იპოთეკა, თუ არ წარმოიშობილა ძირითადი მოთხოვნა. აღნიშნული რეგულირების თანახმად, ასეთ შემთხვევებში არსებობს იპოთეკა მოთხოვნის გარეშე.

2. პრიორიტეტი

კრედიტის უზრუნველყოფის დანიშნულებაა ის, რომ უზრუნველყოფილი კრედიტორი სხვა კრედიტორებთან შედარებით სარგებლობს უპირატესობით. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში მას უზრუნველყოფის გარეშე შეუძლია თავისი მოთხოვნის აღსრულება მოვალის მთლიანი ქონებიდან. მაგრამ უზრუნველყოფის მნიშვნელობა ამკარაა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოვალის ქონება არ არის საკმარისი ყველა კრედიტორის ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. უზრუნველყოფა პრაქტიკულად მდგომარეობს იმაში, რომ ამ გზით კრედიტორი კმაყოფილდება მოვალის ქონების ნაწილიდან. უზრუნველყოფას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ერთმნიშვნელოვანი და უზრუნველყოფილია ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტულობა.

3. საჯაროობა

ნივთებზე სანივთო უფლებების არსებობა სამართლებრივი ბრუნვის გამჭვირვალობისათვის შესამჩნევი უნდა იყოს მესამე პირებისათვის. აღნიშნული კი, მოძრავი ნივთების შემთხვევაში უზრუნველყოფილია მფლობელობით, ხოლო უძრავი ნივთების შემთხვევაში კი – რეესტრში რეგისტრაციით. თუმცა, საჯაროობის პრინციპი უფრო ამკარაა უძრავი ნივთების შემთხვევაში, სადაც საკუთრების უფლების გადასვლის, იპოთეკისა თუ სხვა უფლებების წარმოშობისათვის სავალდებულოა რეგისტრაცია რეესტრში. მოძრავი ნივთების შემთხვევაში საჯაროობის პრინციპი არ არის მსგავსი ინტენსიურობის, ვინაიდან ნივთის ფლობა არ არის ისეთი ამკარა რამ, როგორც რეესტრის ჩანაწერი. არამატერიალური უფლებებისათვის კი საერთოდ არ არის გათვალისწინებული საჯაროობის ზოგადი პრინციპი.

ზოგადად, სანივთო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიმართაც უნდა მოქმედებდეს საჯაროობის პრინციპი. თუმცა, არსებობს ერთი თავისებურება, რომ მოძრავი ნივთებისა და არამატერიალური ქონების გირაოთი დატვირთვა ასევე შესაძლებელია მისი რეესტრში რეგისტრაციით. ამით, კიდევ ერთი სხვაობა ისახება საკუთრების გადასვლასთან დაკავშირებულ საჯაროობის განმსაზღვრელ წესებთან.

V. გირავნობა

გირავნობათან დაკავშირებით შემდეგი საკითხებია განსახილველი:

სიახლეს წარმოადგენს სსკ-ის 254-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფის საშუალება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. ეს გაუგებარია, ვინაიდან მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება ყოველთვის უზრუნველყოფის საგნის, ანუ მოძრავი ნივთის რეალიზაციიდან მიღებული ფულით. მაშასადამე, უზრუნველსაყოფი მოთხოვნა გადასული უნდა იყოს მაინც ფულად მოთხოვნაში. მაგალითად, დამკვეთს ნარდობიდან გამომდინარე აქვს ხარვეზების აღმოფხვრის მოთხოვნის უფლება. აღნიშნული უფლების პირდაპირი განხორციელებისას გირავნობა ვერ წარმოიშობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ხარვეზის აღმოფხვრის ნაცვლად მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, შესაძლებელია გირავნობაზე საუბარი. ამ კუთხით გაუგებარია სსკ-ის 278-ე მუხლი. ასევე სსკ-ის 254-ე მუხლის მე-4 ნაწილი გაგებელი უნდა იქნას ისე, რომ ფორმულირება „თუ შესაძლებელია მისი გამოხატვა ფულადი ფორმით“ გულისხმობდეს „თუ შესაძლებელია მოთხოვნა გარდაიქმნას ფულად მოთხოვნად“.

- გირავნობის საგნის აღწერისას (სსკ-ის 258-ე მუხლის მე-2 ნაწილი) სიახლეა, რომ აღწერა უნდა მოხდეს ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნებით, ისე, რომ შესაძლებელი იყოს საგნის „განსაზღვრა“. აღნიშნული შესაძლოა პრობლემური იყოს, როდესაც საუბარია ნივთთა ე.წ. ერთობლიობაზე. მაგალითად, თუ გირავნობით იტვირთება სასაქონლო საწყობის „ნახევარი“, ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა განსაზღვრულობის მოთხოვნასა და პრინციპთან (იხ. ზემოთ II), რომლებიც ასევე ვრცელდება სანივთო სამართალზე. შესაძლებელი იქნებოდა იმ ნივთების გირავნობით დატვირთვა, რომლებიც განთავსებულია, მაგალითად, ერთ შენობაში, ან ოთახში.
- გირავნობის საგნის სხვა ნივთებთან შერწყმის ან მისი გადამუშავების შედეგად შესაძლოა პირმა სსკ-ის 193-ე და მომდევნო მუხლების თანახმად, დაკარგოს საკუთრება, გახდეს ახალი ნივთის მე-საკუთრე ან თანამესაკუთრე. სსკ-ის 265-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს, თუ რა ბედი ეწევა ასეთ შემთხვევებში გირავნობას, ჩემი აზრით, გაუგებარია. აღნიშნულთან გარკვეულ წინააღმდეგობაშია სსკ-ის 271-ე მუხლი, ვინაიდან ნივთის გადამუშავებისას გირავნობის საგანი (პირვანდელი ფორმით) „ფიზიკურად აღარ არსებობს“.
- სსკ-ის 267-ე მუხლი არასრულყოფილად აწესრიგებს სხვადასხვა მოგირავნის რიგითობის საკითხს, ვინაიდან აქ საუბარია მხოლოდ რეგისტრირებულ და არა მფლობელობით გირავნობაზე. ამას გარდა, კიდევ დამატებით არსებობს პრობლემური შემთხვევებიც.
- ასევე არასრულყოფილად მიმაჩნია სსკ-ის 274-ე მუხლის რეგულირებები გირავნობის საგნის გასხვისებასთან დაკავშირებით (იხილეთ დანართი).
- გაუგებარია, აქვს თუ არა მოგირავნეს უფლება აირჩიოს რეალიზაციასა და საკუთრების გადაცემას შორის (სსკ-ის 279-ე მუხლი). ასეთი უფლების არსებობა სავალალო იქნებოდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც გირავნობის საგნის ფასი აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ღირებულებას. ნორმა სსკ-ის 254-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან მიმართებით ისე უნდა განიმარტოს, რომ საკუთრების გადაცემა შესაძლებელი იყოს მხოლოდ დამგირავებელთან შეთანხმების საფუძველზე (ანუ, მისი თანხმობით).

VI. იპოთეკა

იპოთეკის სამართალში გარკვეული ცვლილებები შევიდა, რომლებსაც სამართლებრივ-პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს. მაგალითად, მესაკუთრეს სიტუაცია. სსკ-ის 303-ე მუხლის თავდაპირველი რედაქციის თანახმად მესაკუთრეს შეეძლო თავის ბინაში დარჩენა დამქირავებლად. მსგავსი უფლებები ჰქონდა მას

სსკ-ის 310-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით ასევე იძულებითი მართვისას. ცვლილებების შედეგად ეს ორივე უფლება გაუქმდა. დაკარგავს თუ არა ბინას იძულებითი მართვისას, ახალი რედაქციის მიხედვით ბუნდოვანია. გაუქმდა ასევე მესაკუთრის უფლება (სსკ-ის 304-ე მუხლის ძველი რედაქცია) წარმოების დროებით შეჩერების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

გარდა ზემოთ აღნიშნული ცვლილებებისა, უფრო დეტალურად მოწესრიგდა აუქციონი. აქაც შეიმჩნევა სამართლებრივ-პოლიტიკური მიზნები. მესაკუთრის უფლებების დასაცავად სსკ-ის 306-ე მუხლი ითვალისწინებდა, რომ პირველ აუქციონზე ნივთი უნდა გაყიდულიყო სულ მცირე 70%-ად იმისა, რაც შეაფასა აუდიტორმა. აღნიშნული შეზღუდვა გაუქმდა. ახალი რეგულირება საწყის ფასთან დაკავშირებით არ არის გამართული. სსკ-ის 306-ე მუხლის რეგულირება საწყის ფასთან დაკავშირებით კიდევ ლოგიკურია. ხოლო 307-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ამ საწყისი ფასის განახევრებას, აზრს მოკლებულია. შესაძლებელია, რომ ამ თანხით წარმოების ხარჯებიც კი ვერ დაიფაროს. სსკ-ის 308-ე მუხლიდან ჩანს, რომ აღნიშნული არც კანონმდებელს დარჩენია შეუმჩნეველი. მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა გაიყიდოს აუცილებლად ნაკვეთი (სსკ-ის 307-ე მუხლის მე-6 ნაწილი), თუ ამით კრედიტორს მხოლოდ დამატებითი ხარჯები წარმოექმნება?

ჩემთვის ასევე გაუგებარია სსკ-ის 298-ე მუხლის ცვლილების დანიშნულება. ძველი რედაქციის მიხედვით, მოთხოვნის შესრულება და ამით იპოთეკის შექმნა შეეძლოთ დაინტერესებულ მესამე პირებსაც. აღნიშნული ნორმაც გაუქმდა. თუმცა, იძულებითი აღსრულების წარმოების გახსნის შემდეგ ეს უფლება კვლავაც არსებობს სსკ-ის 304-ე მუხლის მიხედვით.

სიახლეა ის, რომ საკუთრება შეიძლება გადავიდეს კრედიტორზე (სსკ-ის მე-300 მუხლი). ძველი რედაქციის სსკ-ის 302-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავდა ამას. თუ სწორად ვაფასებ, საკუთრების გადასვლის წინაპირობაა ერთობლივი განცხადება. ამასთან, კანონი ითვალისწინებს, რომ ამით ასევე დაკმაყოფილებულია აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მოთხოვნაც. აღნიშნული რეგულირება საჭიროებს განხილვას, რათა გაირკვეს, ხომ არ აქვს ადგილი ნორმის ბოროტად გამოყენებას.

სიახლეს წარმოადგენს იპოთეკის მონაშობის გაცემა, რასაც მოჰყვება ასევე სამართლებრივ-სისტემური შედეგები, რომლებიც, ჩემი მოსაზრებით, არ არის მოწესრიგებული სათანადო სიზუსტით. იპოთეკის აქცე-სორული ხასიათი გადმოცემული და დაცულია სსკ-ის 295-ე მუხლით. უფლების გადასავლისას გადადის უზრუნველყოფილი მოთხოვნა და კანონის თანახმად, მასთან ერთად გადადის იპოთეკაც. თუმცა, ეს პროცედურა შებრუნებულია იპოთეკის მონაშობასთან დაკავშირებული რეგულირებების ფარგლებში. აქ იპოთეკის მონაშობა „თავისი გზით“ მიდის. სსკ-ის 289¹-ე მუხლის მიხედვით იპოთეკის მონაშობა ადასტურებს კანონიერი მფლობელის უფლებას. სსკ-ის 289³-ე მუხლის მიხედვით ფაქტობრივ მფლობელს შეუძლია მონაშობიდან გამომდინარე უფლებების განხორციელება. თუმცა, სსკ-ის 289⁴-ე მუხლის მიხედვით, გადასვლა მოთხოვნის გადასვლასთან ერთად ხორციელდება, მაგრამ სსკ-ის 289⁶-ე მუხლის თანახმად შესაძლებელია იპოთეკის მონაშობის დაგირავება. და სსკ-ის 289⁷-ე მუხლის მიხედვით იპოთეკის მონაშობა უქმდება. მე ვფიქრობ, რომ აღნიშნულ რეგულირებებთან დაკავშირებით საჭიროა რიგი საკითხების საფუძვლიანი განხილვა-განმარტება.

ამ კონტექსტში საჭიროა ასევე შევეხოთ მესაკუთრის იპოთეკას, რომელიც უცვლელი დარჩა სსკ-ის 288-ე მუხლში. თუმცა, ზემოხსენებული შენიშვნები იპოთეკის მონაშობასთან დაკავშირებით გვიჩვენებს, რომ არ არის ნათელი ამ რეგულირების არსი და დატვირთვა. აღნიშნული ასევე ჩანს იქედან, რომ ყოველგვარი სავარაუდო საფუძვლის გარეშე ამოღებულ იქნა საკმაოდ საჭირო და აზრიანი ნორმა სსკ-ის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის სახით.

ასევე მოკლედ მინდა მივუთითო ორ უცნაურ ნორმაზე:

- 1) სსკ-ის 289-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს ერთი და იგივე ნოტარიუსის მიერ შესაბამისი მოქმედებების შესრულებას. რა მოხდება ამ ნოტარიუსის გარდაცვალების შემთხვევაში?
- 2) სსკ-ის 289³-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როდესაც თანხა დაჯდება ნოტარიუსის ანგარიშზე. რა მოხდება ნოტარიუსმა რომ არ გადასცეს თანხა კრედიტორს?

VII. რეესტრი

რეესტრთან დაკავშირებული ნორმები მჭიდრო კავშირშია მატერიალურ სამართალთან. მათ უნდა უზრუნველყონ მატერიალური ნორმების სწორი განხორციელება. რეესტრის მწარმოებელი ორგანო (როგორც მესმის) არ არის სასამართლოს მსგავსი სტრუქტურა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს იმის თაობაზე, თუ და რა უფლებები არსებობს ამა თუ იმ ნივთზე. აღნიშნულთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივია საჯარო რეესტრის შესახებ 2008 წლის 19 დეკემბრის საქართველოს კანონი. პირველი მუხლის მიხედვით, თითქოს კანონი უფრო ორგანიზატორულ საკითხებს უნდა აწესრიგებდეს. სსკ-ის 311-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვითაც აღნიშნული სპეციალური კანონის დანიშნულებაა მხოლოდ რეესტრის ორგანიზაციული მონესრიგება და არა ის, რომ მასში საკითხები სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებული წესით მონესრიგდეს. თუმცა, საჯარო რეესტრის შესახებ კანონით გათვალისწინებული წარმოება (მეხუთე თავი) მიმსგავსებულია სასამართლო წარმოებას, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციული ორგანო ამომწმებს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი საბუთები რეგისტრაციის მოთხოვნებს და აღნიშნულთან დაკავშირებით იღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილება იძენს კანონიერ ძალასაც. ამგვარად, წარმოდგენილი საბუთის სიყალბის ან ერთ-ერთი მონაწილის ქმედუუნარობის შემთხვევაში (კანონიერი ძალით) განხორციელდებოდა შინაარსობრივად მცდარი ჩანაწერი, რომელიც შემდეგ ვეღარ შეიცვლება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო არ იღებს თავზე არანაირ პასუხისმგებლობას (საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილი).

დანართი I: გირავნობის საგნის გაყიდვა

„ა“-ს აქვს სანარმო. იგი მთელ თავის დანადგარებს (10 მანქანა) დააგირავებს ბანკის სასარგებლოდ და გირავნობას დაარეგისტრირებს რეესტრში. ვინაიდან საქმე ცუდად წავა, „ა“ შეზღუდავს პროდუქციას და მიჰყიდის ერთ მანქანას „ბ“-ს. სსკ-ის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ბ“ შეიძენს მანქანას გირავნობასთან ერთად. არც „ა“ და არც „ბ“ არეგისტრირებენ მესაკუთრის შეცვლას, რასაც შედეგად მოჰყვება ის, რომ ისინი შესაძლო ზიანისათვის პასუხს აგებენ სსკ-ის 274-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ახლა „ბ“ მიჰყიდის მანქანას „ც“-ს, რომელმაც არაფერი იცის გირავნობის შესახებ. სსკ-ის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით გირავნობა კვლავ არსებობს. „ც“-მ კეთილსინდისიერად ვერ შეიძინა დაუტვირთავი ქონება. მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისები მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება, ვინაიდან აქ არ არის საუბარი არც მფლობელობით გირავნობაზე (მე-3 ნაწილი) და არც ჩვეულებრივი სამენარმოეო საქმიანობის ფარგლებში საგნის გასხვისებაზე (მე-4 ნაწილი). მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ რაში მდგომარეობს ძირითადი პრობლემა. სსკ-ის 187-ე მუხლი კეთილსინდისიერ შემძენთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ მყიდველს აქვს უფლება (ნდობა) მფლობელი მიიჩნიოს მესაკუთრედ. რეგისტრირებული გირავნობა არ აუქმებს ამ უფლებას, არამედ საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტი კვლავაც აგრძელებს არსებობას. მაგრამ აღარ არის შესაძლებელი ქონების დაუტვირთავი შეძენა (გარდა მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა). აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, მყიდველმა სამენარმოეო საქმიანობის ფარგლებს გარეთ ნივთის შეძენისას ჯერ რეესტრში უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ნივთი დაგირავებული, რითაც მოძრავი ნივთების ყიდვის პროცედურა ემსგავსება უძრავი ნივთის შეძენის პროცედურას. აღნიშნული კი არსებითად ცვლის აქამდე არსებულ ვითარებას და ამასთან, გარკვეულწილად ეწინააღმდეგება კიდევ კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტს. აქ მოქმედებს პრეზუმფცია: მფლობელი არის მესაკუთრე. მფლობელობითი გირავნობისაგან შემძენი დაცულია იმით, რომ ეს გირავნობა უქმდება (სსკ-ის 274-ე მუხლის მე-3 ნაწილი); ხოლო დაუცველია იგი რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში. მაშასადამე, მან თავის დაზღვევის მიზნით, თავდაპირველად უნდა მიმართოს რეესტრს, თუმცა ამ შემთხვევაშიც არ არის იგი ბოლომდე დაცული, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს. ვინაიდან, როგორც ირკვევა, რეგისტრირებული გირავნობა შესაძლოა არსებობდეს მაშინაც კი, როდესაც მისი არსებობის დადგენა შეუძლებელია შესაბამისი მოკვლევების გზით.

გამონაკლისთან დაკავშირებით, სსკ-ის 274-ე მუხლის მე-3 ნაწილი: ნორმა აშკარად გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოგირავენ ასხვისებს გირავნობის საგანს. სსკ-ის 278-ე მუხლის მიხედვით მას აქვს ამის უფლება იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. მაშინ, გირავნობა წყდება მოგირავენს მიერ შემძენისათვის მფლობელობის გადაცემით. აღნიშნული წარმოადგენს ამგვარი რეგულირების ლოგიკურ საფუძველსა და მიზანს. ხოლო შემთხვევათა სხვაგვარი კონსტელაციისას ვითარება უფრო რთულდება. რა მოხდება, მესაკუთრემ რომ გაასხვისოს ნივთი? იგი, როგორც მესაკუთრე, უფლებამოსილია ამაზე მაშინაც კი, როდესაც ნივთი მოგირავენს მფლობელობაშია. მას მყიდველისათვის ნივთის გადაცემაც კი შეუძლია. სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად არ არის აუცილებელი ნივთის გადაცემა უშუალო მფლობელობის გადაცემაში, არამედ მოგირავენს მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის დათმობა. სსკ-ის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით მოგირავენ არის პირდაპირი, ხოლო მესაკუთრე არაპირდაპირი მფლობელი. გირავნობის უფლება იარსებებს მანამ, სანამ მოგირავენ არ გადასცემს ნივთს მის შემძენს, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა შემძენმა გირავნობის შესახებ. ანუ, აქ არ არის შესაძლებელი კეთილსინდისიერი შეძენა. რა ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც გირავნობის საგანს მოიპარავენ და მიყიდის კეთილსინდისიერ მესამე პირს? ამ შემთხვევაში მესაკუთრე დაკარგავს საკუთრებას (სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო მოგირავენ კი შეინარჩუნებს თავის გირავნობის უფლებას (სსკ-ის 274-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ეს არ არის მაინცდამაინც ლოგიკური გამოსავალი, ვინაიდან ამ შემთხვევაში მესაკუთრემაც და მოგირავენმაც ნივთის უშუალო ფლობის ნებაყოფლობით დათმობით შესაძლებელი გახადეს კეთილსინდისიერი შეძენა. და მაშინ საკითხავია, რატომ უნდა დადგეს მათთვის განსხვავებული შედეგი?

გამონაკლისთან დაკავშირებით, სსკ-ის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი: აქ გასაგებია ნორმის სამართლებრივ-პოლიტიკური დანიშნულება. „ჩვეულებრივ“ შემთხვევებში კრედიტორებს გირავნობის უფლება აქვთ წარმოების პრაქტიკულად ყველა ქონებრივ ერთეულზე. არავის შეეძლებოდა სუფთა სინდისით რაიმეს შეძენა, თუ ყოველთვის იქნებოდა მოსალოდნელი, რომ შეძენილი ნივთი დატვირთულია გირავნობით. აქედან გამომდინარე, მე-4 ნაწილი ითვალისწინებს დაუტვირთავი ქონების შეძენის შესაძლებლობას და ამისათვის შეძენს არ ეკისრება თავისი კეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი. გამიჯვნა „სამეწარმეო საქმიანობისაგან“ არ არის მარტივი. მაგრამ რას ნიშნავს ნორმის ბოლო წინადადება? „კეთილსინდისიერი“ სსკ-ის 187-ე მუხლის გაგებით ნიშნავს, რომ შემძენმა დაიჯერა და შეეძლო კიდევ, რომ დაეჯერებინა, რომ გამსხვისებელი იყო მესაკუთრე. აქ არაკეთილსინდისიერება კიდევ უფრო მეტს ნიშნავს. თუ მხოლოდ გამსხვისებელმა და შემძენმა იცოდნენ, რომ ნასყიდობის საგანი დაგირავებულია, ისინი ამით ჯერ არ არიან არაკეთილსინდისიერები. კანონი ამ კუთხით ცალსახად აწესრიგებს, რომ გირავნობა ასეთ შემთხვევებშიც უქმდება. შესაბამისად, „არაკეთილსინდისიერება“ აღნიშნული ნორმის გაგებით უფრო ფართოდ უნდა იქნას გაგებული და ალბათ მოიაზრებდეს მოგირავენსათვის განზრახ ზიანის მიყენებას.

დანართი II: იპოთეკარი საგადასახადოს წინააღმდეგ

სსკ-ის 306⁵-ის მე-5 ნაწილი აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთ ნაკვეთზე რეგისტრირებულია რამოდენიმე იპოთეკა. წარმოვიდგინოთ, რომ იპოთეკარი „ა“-ს სასარგებლოდ რეგისტრირებულია იპოთეკა 50.000 ლარზე, იპოთეკარი „ბ“-ს სასარგებლოდ – 20.000, ხოლო „ც“-ს სასარგებლოდ – 15.000 ლარი. „ბ“-მ რომ დაინყოს იძულებითი აღსრულების განხორციელება, ძალაში დარჩება „ა“-ს იპოთეკა და შეწყდება „ც“-ს იპოთეკა. მიიღებს თუ არა იგი რამეს, დამოკიდებულია რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ოდენობაზე. დავუშვათ, ნაკვეთი გაიყიდა 60.000 ლარად. მაშინ მყიდველი მხოლოდ 10.000 ლარს გადაიხდის, ვინაიდან დანარჩენით „ა“ უნდა დააკმაყოფილოს. ამ 10.000 ლარს მიიღებს „ბ“, ხოლო „ც“-სთვის თანხა აღარ რჩება.

ალტერნატივა: წარმოვიდგინოთ იგივე შემთხვევა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ც“ არის საგადასახადო ორგანო. ამ შემთხვევაში, მდგომარეობა უცვლელი რჩება თუ საგადასახადო ორგანოს შეუძლია საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლის მე-7 ნაწილზე მითითება და იმის განცხადება, რომ მის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკა ძალაში რჩება?

რა შედეგი ექნება ამას „ა“-სა და „ბ“-ს სახელზე რეგისტრირებული იპოთეკისათვის?

დელიქტური სამართლის პრობლემატიკა

I. ზოგადი ნაწილი

დელიქტის მარეგულირებელი ნორმები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 თავი, მუხლები 992-დან 1016-ის ჩათვლით) არეგულირებენ ე. წ. დელიქტური სამართლის სფეროს. სამართლის ამ ინსტიტუტისათვის ნიშანდობლივია, რომ მოვალემ (დამზიანებელი, ზიანის მიმყენებელი) პასუხი უნდა აგოს მის მიერ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებისათვის. ამასთან, ამ ვალდებულების წარმოშობისათვის არ არის აუცილებელი წინათ არსებულიყო ან არსებობდეს მასსა და კრედიტორს (დაზარალებულს) შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა.

ამ შემთხვევაში საუბარია ძირითადად პასუხისმგებლობის სამ ჯგუფზე:

- 1) პასუხისმგებლობა გამონვეული **ბრალეული მოქმედებით** (992-ე, 993-ე, 1001-ე, 1005-ე მუხლები);
- 2) პასუხისმგებლობა გამონვეული **სავარაუდოდ ბრალეული მოქმედებით**, რომლის გაქარწყლებაც შესაძლებელია (994-ე, 995-ე, 996-ე, 997-ე მუხლები)
- 3) პასუხისმგებლობა გამონვეული **ზიანის მიყენების შედეგად ბრალის და სამართლიანობა-უსამართლობის საკითხისათვის ანგარიშმიუცემლად** (999-ე, 1000-ე, 1003-ე, 1004-ე, 1009-ემუხლები)

II. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის წინაპირობები

1. პასუხისმგებლობა ქმედებისათვის

დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. ეს მუხლი ადგენს იმ ოთხ პირობას, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ზიანის მიმყენებლის (დამზიანებლის) პასუხისმგებლობისათვის. ესენია:

- ქმედება
- მართლსაწინააღმდეგობა
- ბრალეულობა
- მიზეზ-შედეგობრიობა

ა. ქმედების ცნება

მაგალითი 1: A ველოსიპედისტს უკნიდან ეჯახება ნასვამი მძღოლი B, რის შედეგად A ეცემა. ამ დაჯახების შედეგად A-ს ველოსიპედი შევარდა C-ს მალაზიის ვიტრინაში და ჩაამსხვრია იგი. ვინაიდან B-მ მანქანა არ შეაჩერა და მისი მოძებნაც შეუძლებელი გახდა, C ითხოვს A-სგან ზიანის ანაზღაურებას.

(1.) მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გამომდინარე აშკარად გამორიცხულია. დაისმის კითხვა, არსებობს თუ არა მოთხოვნის საფუძველი დელიქტური მოქმედებიდან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად.

სანამ შემოწმდება, მოქმედებდა თუ არა A მართლსაწინააღმდეგოდ და შესაძლებელია თუ არა მისთვის ბრალის დადება, გარკვეულ უნდა იქნეს, გვაქვს თუ არა საერთოდ სახეზე რაიმე (მო)ქმედება. მოქმედების ქვეშ იგულისხმება რაიმე ცნობიერი ან სურვილით მოტივირებული ქმედება, ხოლო რეფლექსები და არაცნობიერი ქმედებები მოქმედების ცნების ქვეშ არ მოიაზრება.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში რაიმე მოქმედებას A-ს მხრიდან ადგილი არ აქვს. A მხოლოდ მომხდარის შედეგად გახდა დაჯახების ობიექტი ისე, რომ თვითონ მომხდარის თავიდან აცილება არ შეეძლო. ამიტომ ის არ აგებს პასუხს „დელიქტური მოქმედების გამო(!)“. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის საფუძველი გამოირიცხება ამ ნორმის პირველივე წინაპირობის არარსებობის გამო.

(2.) შეიძლება გვეფიქრა მოთხოვნის საფუძვლის არსებობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლიდან გამომდინარე. მაგრამ ამ ნორმაში ტერმინ „დამზიანებლის“ (ზიანის მიმყენებლის) არსებობა ნათელყოფს, რომ ეს ნორმაც წინაპირობის სახით მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირის მიმართ ზიანის მომტან მოქმედებას უნდა ითვალისწინებდეს (ამ შემთხვევაში საუბარია A-ზე). დელიქტიდან აქ მოცემული შემთხვევა იმით განსხვავდება, რომ დამზიანებელი არ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე ქმედების არ არსებობის გამო გამოირიცხება C-ს მოთხოვნის საფუძველი A-ს მიმართ.

ბ. მართლსაწინააღმდეგობა

ვარიანტი 1: A-მ, B-ს ავტომანქანასთან შეჯახებამდე, არ გაითვალისწინა, რომ B-ს გზა იყო და მანქანით ტროტუარიდან სავალ გზაზე ჩამოუხვია.

ამ შემთხვევაშიც, თუ საუბარი იქნება A-ს მხრიდან C-ს ვიტრინასთან დაჯახებაზე, სახეზე არ გვაქვს A-ს მხრიდან მოქმედება. თუმცა, მომხდარს წინ უსწრებს A-ს მოქმედება, რომლითაც მან საგზაო მოძრაობის წესი დაარღვია. სახეზე გვაქვს გააზრებული და სურვილით მოტივირებული მოქმედება A-ს მხრიდან. A-ს პასუხისმგებლობისათვის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე მნიშვნელოვანია მისი საგზაო-სატრანსპორტო წესების დარღვევით შესრულებული მოქმედება.

ვარიანტი 2: A ხედავს მისი მიმართულებით მოძრავ ნასვამ B მძღოლს. სრული ცნობიერებით ის თავისი ველოსიპედით გვერდს უვლის მას, რის შედეგადაც გადადის ფეხით მოსიარულეთა გზაზე და ხტება ველოსიპედიდან.

გადაყირავებული ველოსიპედი ვარდება:

ა) C-ს მაღაზიის ვიტრინაში და ამსხვრევს მას

ბ) ველოსიპედი ხვდება ფეხით მოსიარულე D-ს და აზიანებს მას.

C და D ითხოვენ A-სგან ზიანის ანაზღაურებას, რადგან B-ს პოვნა შეუძლებელია.

1) მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის (დელიქტური მოქმედება) საფუძველზე?

ძირითადი კაზუსიდან განსხვავებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში A-ს მოქმედება უდავოდ სახეზეა. რადგანაც ის სრული შეგნებით გვერდს უვლის B-ს ავტომანქანას, მის ამ (თავიდან არიდების) ქმედებაში გამოიხატება ცნობიერი და სურვილით მოტივირებული ქცევა.

პრინციპში მისი მოქმედებაც **მართლსაწინააღმდეგო** უნდა იყოს.

არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, გადამოწმებულ უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მოქმედება, კერძოდ, მართლსაწინააღმდეგოა, თუ:

- სადავო მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (აკრძალულია, მაგალითად, სხვისი ქონების დაზიანება და ასეთი ქმედება სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ანუ დასჯადია),
- ან სადავო მოქმედება სხვა მოვალეობას არღვევს, განსაკუთრებით ხელშეკრულებებიდან გამომდი-

ნარე ვალდებულებებს (მაგალითად, მონათხოვრე მზრუნველობითა და სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს ნათხოვარ ნივთს და არ აქვს უფლება დააზიანოს იგი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლი);

- ასევე თუ სადავო მოქმედება ზიანს აყენებს ე.წ. აბსოლუტურად დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობის უფლება, საკუთრება, სხვა პიროვნული უფლებები): ამ უფლებების დარღვევის შემთხვევებში მოქმედება, როგორც წესი, თავისთავად დელიქტურად ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედების განმარტაციულ ელემენტებში პირმა უნდა ამტკიცოს (ანუ გამამართლოს) თავისი მოქმედების მართლზომიერება.

აბსოლუტურად დაცული ისეთი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, როგორც არის მესამე პირების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და საკუთრება, ამოვდევართ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების არსებობიდან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამრღვევის პასუხისმგებლობა იხსნება გამამართლებელი გარემოებების არსებობის გამო. ზემოთხსენებულ შემთხვევაში დაზიანებულ იქნა C-ს საკუთრება და D-ს ჯანმრთელობა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში **გამამართლებელ საფუძვლად** შეიძლება მიჩნეულ იქნას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი (გამამართლებელი აუცილებლობა)

ამ ნორმაში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ პირველი აბზაციით გათვალისწინებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ ეს გამომდინარეობს ამ ნორმის ინტერპრეტაციიდან და 116-ე და 118-ე მუხლებთან კავშირში, რომლებიც ითვალისწინებენ „საპატიო საფუძვლების“ არსებობას. ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების ქვეშ ჩადენილი მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო. ეს რომ ასე არ იყოს, ამ მუხლში ცალსახად გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების კერძო შემთხვევის ვალდებულება აზრს დაკარგავდა და ზედმეტი იქნებოდა, რადგანაც ის ისედაც გამომდინარე იქნებოდა დელიქტური მოქმედების შესახებ ზოგადი ნორმებიდან.

- ა) სამოქალაქო კოდექსის 177-ე მუხლის თანახმად მოქმედება არ არის დელიქტური, თუ იგი აუცილებელი იყო მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად და თუ წარმოშობილი ზიანი ნაკლებად მნიშვნელოვანია ვიდრე ზიანი, რომელიც თავიდან იქნა აცილებული. კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე A-ს მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს საფრთხის თავიდან ასაცილებლად განხორციელებულ აუცილებელ მოქმედებად. გამამართლებელი მიზეზის მეორე პირობის არსებობისათვის პარალელი უნდა გავავლოთ C-სა და D-სათვის დამდგარ ზიანებს შორის:

როგორც უკვე ავლენიშნეთ სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად გამამართლებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილება. ნივთის დაზიანება სიცოცხლისა და სხეულის დაზიანებასთან შედარებით უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეა.

აქედან გამომდინარე A-ს მოქმედება, რომლის შედეგადაც C-ს მალაზიის ვიტრინა დაუზიანდა, არ არის მართლსაწინააღმდეგო. C-ს არ გააჩნია A-ს მიმართ მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, რადგანაც A-ს მოქმედება არ არის დელიქტური.

- ბ) D-ს მიმართ ზემოთხსენებული არ ვრცელდება: ამ შემთხვევაში ერთმანეთის პირისპირ დგას ორი პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, როგორც ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი სიკეთე. ამიტომ, A-ს მოქმედება არ არის გამართლებული და იგი მართლსაწინააღმდეგოა. აუცილებლობის შემთხვევაში – მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის პირისპირ დგას პრინციპულად ერთნაირი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი სიკეთე (სხეულებრივი სიმრთელე), შეიძლება ფიქრი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის გამოყენებაზე მაშინ, თუ მოსალოდნელი ზიანები თავიანთი მოცულობით რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გ. ბრალეულობა

მოქმედებდა თუ არა A-ც **ბრალეულად**, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის აუცილებელი ერთ-ერთი წინაპირობა იქნებოდა, გარკვეულ უნდა იქნეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა გაუფრთხილებელი მოქმედება. თუ ამოვალთ იქიდან, რომ სიტუაცია მართალია სიცოცხლისათვის სახიფათო იყო, მაგრამ A D-ს მიმართ ამას ვერ გააცნობიერებდა, ან თუ ჩავთვლით, რომ იგი ვარაუდობდა, რომ D-ს მხოლოდ მცირე ზიანი მიადგებოდა და სხვა ალტერნატივა არ არსებობდა, შესაძლებელია, რომ A-ს ბრალეულობა გამოირიცხოს. დაუდევრობა ხომ თავის ცნებაში გულისხმობს და ითვალისწინებს თავიდან აცილების შესაძლებლობას. (ამიტომ, სავარაუდოდ, არც დაუდევრობაა სახეზე).

თუ დავუშვებთ A-ს ბრალეულობას, მაშინ ის ვალდებულია აუნაზღაუროს D-ს ზიანი და კერძოდ იგი პრინციპში ზიანის უშუალოდ მიმყენებელთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის ანუ B-სთან ერთად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი ამავე კოდექსის 463-ე მუხლიდან 476-ე მუხლებამდე კავშირში). ამასთან D-ს შეუძლია მოთხოვნა ნაუყენოს როგორც A-ს, ასევე B-ს ცალცალკე. მაშასადამე, მარტო A-საც.

ამ უკანასკნელს კი შეუძლია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 473 მუხლის საფუძველზე უკუ-მოთხოვნის უფლება განახორციელოს B-ს მიმართ, როგორც კი B-ს პოვნა გახდება შესაძლებელი. ზიანის მიყენების პროცესში B-ს განსაკუთრებული როლის გამო შიდა ურთიერთობაში მხოლოდ ის აგებს პასუხს (სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის მე-2 აბზაცი).

2) მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის საფუძველზე?

- ა) C-ს, რომელსაც ზემოთქმულიდან გამომდინარე არ შეუძლია A-ს მიმართ მოთხოვნის წაყენება იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, შეუძლია მოითხოვოს უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლი): სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად A მართლზომიერად მოქმედებდა, ვინაიდან მან C-ს უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი სიკეთე დაუზიანა (მაღაზიის ვიტრინა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანებასთან შედარებით). მაგრამ ვინაიდან საფრთხე C-ს ნივთიდან არ მომდინარეობდა, A ვალდებულია აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი. ამ შემთხვევაშიც A-ს შეუძლია, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, განახორციელოს უკუ-მოთხოვნის უფლება B-ს, როგორც სოლიდარული მოვალის, მიმართ სოლიდარული ვალდებულების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე. ერთი შეხედვით ეს შედეგი მოულოდნელია, რადგანაც A-ს, რომელსაც შეუძლია დაეყრდნოს გამამართლებელ აუცილებლობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი აბზაცის ძალით მაინც ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ეს ფაქტი 117-ე მუხლის 2-ე აბზაცით არის კორიგირებული (შესწორებული): მისი მიხედვით ზიანის მიმყენებელი შესაძლოა ნაწილობრივ ან სრულად განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ მის საქციელს ზიანის წარმოშობის ფაქტიური გარემოებები (მიზეზები) ამართლებენ. ამ შემთხვევაში მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, გაითვალისწინოს ზიანის წარმოშობის დეტალები და კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით შეაფასოს არის თუ არა გამართლებული ზიანის მიმყენებლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ A-ს არ გააჩნდა სხვა ალტერნატივა სხვაგვარად დაეცვა თავისი ჯანმრთელობა. მეორეს მხრივ იგი პირველ რიგში საკუთარ ინტერესებში მოქმედებდა და მისი მოქმედება არ იყო მიმართული მესამე პირების ინტერესების დასაცავად. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მისი პასუხისმგებლობის შემცირება მხოლოდ 50 % იქნა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში კაზუსის შემადგენლობა სხვაგვარია, რადგანაც.

E-ს მიწის ნაკვეთი თავისთავად არ წარმოადგენს საფრთხის წყაროს, ხიფათი მხოლოდ მას შემდეგ წარმოიშობა, როდესაც ვინმე საკუთარი ინიციატივით ამ მიწის ნაკვეთზე აღმოჩნდება.

ბ) თუ მეორე ვარიანტში უარყოფილი იქნება A-ს ბრალეულობა D-ს მიმართ, რადგანაც A-ს დროის მცირე მონაკვეთში სხვაგვარად მოქმედება არ შეეძლო, შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად გამოირიცხოს დელიქტური მოქმედებიდან გამომდინარე D-ს მოთხოვნა A-ს მიმართ.

თუმცა, ამ შემთხვევაში D-საც უნდა მიეკუთვნოს მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის ანალოგიით (იხ. სამოქალაქო კოდექსი მუხლი 5). მართალია, არ არსებობს ამ მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ვინაიდან ამ შემთხვევაში ერთმანეთის პირისპირ დგას ერთნაირი ხარისხის მქონე სამართლებრივი სიკეთე (A-სა და D-ს ჯანმრთელობა) და A-ს არ აქვს უფლება მიაყენოს ზიანი D-ს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საკუთარ ინტერესებს იცავს. ამიტომ A მოქმედებს იგი მართლსაწინააღმდეგოდ, თუმცა ბრალის გარეშე.

თუ კანონი ადგენს, რომ პირმა, რომელიც კანონის შესაბამისად მოქმედებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად მაინც უნდა აგოს პასუხი ზიანისათვის, მაშინ ეს წესი უნდა მოქმედებდეს მაშინ, როცა პირი მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არაბრალეულად მოქმედებს. აქაც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის 2-ე აბზაცთან შესაბამისობის გადამოწმება.

ვარიანტი 3: თბილისში სეირნობისას A-მ შეამჩნია, თუ როგორ დაამტვრია F-მა მანქანა. ეს უკანასკნელი მსუბუქი ავტომანქანის ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტში უგონო მდგომარეობაში მართავდა. A-მ დაინახა, როგორ მიემართებოდა მანქანა მზარდი სიჩქარით ქუჩის ბოლოს მდებარე სათამაშო მოედნისაკენ, სადაც ბევრი ბავშვი იმყოფებოდა. A სასწრაფოდ ართმევს B-ს, რომელმაც მიმდინარე პროცესები ვერ შეამჩნია და მანქანაში ჯდებოდა, მანქანის გასაღებს, ჯდება საჭესთან და იმგვარად ეჯახება F-ის ავტომანქანას, რომ ეს უკანასკნელი სათამაშო მოედანს სცილდება და იქვე მდგომ ხეს ეჯახება. B სთხოვს A-ს ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მის მანქანას ამ შემთხვევის დროს მიადგა.

აქ ისმის კითხვა შესაძლოა თუ არა საუბარი A-ს მოქმედებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი აბზაცის „საგანგებო მდგომარეობაზე“. ამ მუხლის მოთხოვნები სახეზეა, რადგანაც ერთის მხრივ თავიდან აცილებული საფრთხე (ბავშვების სიცოცხლე და ჯანმრთელობა) უფრო ფასეული სამართლებრივი სიკეთეა, ვიდრე მეორეს მხრივ, B-ს ავტომანქანა. ამიტომ არ მოქმედებდა კანონსაწინააღმდეგოდ. მისი ქმედების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დაკვალიფიცირება გამოირიცხულია. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ A ვალდებულია B-ს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით აუნაზღაუროს წარმოშობილი ზიანი. საკითხავია, ხომ არ თავისუფლდება თუ არა A პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის 2-ე აბზაცით. ამ კითხვაზე პასუხი ერთხმად დადებითია, რადგანაც არ არსებობდა სხვა შესაძლებლობა F-ის მანქანის შეჩერების და ბავშვებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებისა.

რაც შეეხება მესამე წინაპირობას, კერძოდ „ბრალეულობას“, სამოქალაქო კოდექსის 992-ე და შემდეგი მუხლები რაიმე განსაკუთრებულ რეგულირებას არ შეიცავს. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (და დელიქტური სამართლის მიხედვით მოთხოვნის სხვა საფუძვლები) არეგულირებს **კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებით ურთიერთობას**, ასეთ შემთხვევებში დამატებით გამოიყენება – რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 992-ე და შემდეგ მუხლებში არ არის მოცემული საწინააღმდეგო წესები – ნორმები, რომლებიც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს არეგულირებენ. ამიტომ ბრალის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის პირველი აბზაცი, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებელს (დამზიანებელს) ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც ბრალეული, ასევე გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის.

დ. მიზეზ-შედეგობრიობა

და ბოლოს, ბრალეული მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად წარმოშობილი უნდა იყოს ზიანი (კაუზალური ზიანი). ამასთან დაკავშირებით წესები იგივეა, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი აბზაცი). მაგრამ გასათვალისწინებელია მხოლოდ, რომ ე. წ. ექვივალენტური კაუზალობა *conditio-sine-qua-non*-ფორმულის თვალსაზრისით არ არის საკმარისი (რომის სამართლიდან გამომდინარე ამ ფორმულის მიხედვით სამართლებრივი ფიგურა „მიზეზი“ (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით მაშინ არის კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა). მაგრამ ამ ფორმულას პრაქტიკაში შეიძლება მოჰყვეს აუტანელი შედეგები, ვინაიდან ამ ფორმულით ყოველი მიზეზი კაუზალურია.

მაგალითი: *A თავისი მანქანით ეჯახება B-ს და ეს უკანასკნელი საავადმყოფოში ხვდება. ამის შედეგად B ვერ ყიდულობს ლატარიის ბილეთს, ვინაიდან მხოლოდ ამ დღეს ბილეთის შეძენის ბოლო დღეა. B კარგავს შანსს, მოიგოს ჯეკ-პოტი. ექვივალენტურობის თეორიის მიხედვით საგზაო შემთხვევა, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება, კაუზალური მნიშვნელობისაა იმ შესაძლებლობის დაკარგვასთან დაკავშირებით, როცა B-ს შეეძლო ჯეკ-პოტის მოგება.*

აქედან გამომდინარე, ექვივალენტურობის თეორია იზღუდება ცნებით შერაცხადობა (*Zurechenbarkeit?*), შედეგად საუბარია **ადექვატურ კაუზალობაზე**. ეს უკანასკნელი სახეზეა, როცა ხდომილება (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) ობიექტური თვალსაზრისით ზოგადად და არც თუ მთლად თავისებური, უჩვეულო და ობიექტურად გაუთვალისწინებელი გარემოებებიდან გამომდინარე საიმისოდ გამოდგება, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი (ზიანი). ზემოთხსენებულ მაგალითშიც ობიექტური თვალსაზრისით წარმოუდგენელი იყო ვინმეს ევარაუდა, რომ ჩვეულებრივ საგზაო შემთხვევას შეეძლო გამოეწვია ლატარიაში ჯეკ-პოტის დაკარგვა, ვინაიდან ასეთი მოგება არც ერთ ვარიანტში არ არის დაზღვეული და უკიდურესად სათუთა.

**2. პასუხისმგებლობა მესამე პირებისა და საგნების მიმართ
არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო**

მაგალითი 2: *E არის თბილისში მდებარე მინის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზეც განთავსებულია ნახევრად დანგრეული სახლი. მინის ნაკვეთს შემოვლელი აქვს ლობე, რომლითაც იგი დაცულია არაუფლებამოსილი პირების შეჭრისაგან. ზამთარში მოყინული გზის გამო ერთ-ერთი ავტომანქანა მოსრიაღდა და შეასკდა უკვე საკმაოდ მორყეულ ლობეს. რადგანაც E იშვიათად არის თბილისში და თავისი ვიზიტების დროსაც არ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას მინის ნაკვეთს, მან ეს ზიანი ვერ შეამჩნია. ზაფხულში 8 წლის K მეგობრებთან ერთად ლობეში ინციდენტის შედეგად წარმოშობილი ხვრელით შევიდა მინის ნაკვეთზე. მინის ნაკვეთზე განთავსებულ სახლში დამალობანას თამაშის დროს ის ჩავარდა სახლის სარდაფში მუყაოთი დაფარული ხვრელის გზით და ძლიერად დაზიანდა. შეუძლია თუ არა მას E-სგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?*

მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლიდან გამომდინარე გამოირიცხება, ვინაიდან ზიანი, მიყენებული K-სათვის, გამოწვეულია არც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის (აბზაცი 1) და არც შენობიდან საგნის გადაგდების შედეგად (აბზაცი 2).

იმავედროულად უნდა უარვყოთ მოთხოვნის დასაბუთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მე-2 აბზაცით. მე-1000 მუხლის 1-ლი და მე-2 აბზაცების ურთიერთდამოკიდებულება იმაზე მეტყველებს, რომ აქ საუბარია იმ საშიშროებაზე, რომელიც რაიმე მოწყობილობის ან საგნისაგან გამომდინარეობს და რომლებიც სხვებს ზიანს, საკუთარი ზემოქმედების გარეშე აყენებენ. კაზუსის შემადგენლობა აქ სხვაგვარია, E-ს მინის ნაკვეთი თავისთავად ხიფათის წყაროს არ წარმოადგენს. ხიფათი მისგან მას შემდეგ გამომდინარეობს, როდესაც ვინმე მასზედ აღმოჩნდება.

დაისმის კითხვა, შეიძლება თუ არა K-ს მოეთხოვოს პასუხი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე. ამისი წინაპირობა იქნებოდა რაიმე მოქმედების განხორციელება E-ს მხრიდან. ასეთი რამ კი არ არის სახეზე, ვინაიდან E-ს არც K ჩაუგდია ორმოში და არც თავის ლობეში გაუკეთებია ნახვრეტი.

დაისმის კითხვა, შეიძლება თუ არა მოეთხოვოს E-ს პასუხი იმის გამო, რომ იგი უმოქმედოდ იყო, ანუ იმის გამო, რომ ლობეში ხვრელი არ შეაკეთებინა და ამით თავიდან არ აიცილა ბავშვების მხრიდან ნაკვეთის ტერიტორიაზე შეღწევა. სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ამასთან დაკავშირებით რაიმე ცალსახა რეგულაციას. ცნება „უმოქმედობა“ მოცემულია ძირითადად ზოგად დებულებებში ვალდებულებითი სამართლის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ მოქმედება შეიძლება უმოქმედობაშიც მდგომარეობდეს (სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი, I 2). გერმანულ სამართალში, რომელმაც ქართული სამოქალაქო კოდექსის განვითარების საქმეში ნათლიმამას როლი ითამაშა, შემოღებულია ამ კონტექსტში ტერმინი *Verkehrspflicht*. ამ ცნების მიხედვით უმოქმედობა მხოლოდ მაშინ უტოლდება პოზიტიური ქმედების შედეგად წარმოშობილ შედეგს, როცა ვალდებული პირი ვალდებული იყო ემოქმედა იმ მიზნით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული დამდგარი შედეგი. ამდენად, საქმე ეხება ზოგადად მოვალეობას, რომ პირმა თავისი ქმედება/ურთიერთობა ადამიანებისა და საგნების მიმართ ისე წარმართოს, რომ არავინ და არაფერი დააზიანოს.

ამ კონკრეტულ მაგალითში ეს ნიშნავს: ვინაიდან ნგრევადი სახლი საფრთხეს წარმოადგენდა მესამე პირებისათვის, E ვალდებული იყო მიეღო ზომები, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა მესამე პირების დაზიანების თავიდან აცილება. ის ვალდებული იყო, რაც მან პრინციპში გააკეთა კიდეც, შემოეღობა მიწის ნაკვეთი, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო მესამე პირებისთვის ზიანის მიყენება, თუ ისინი მიწის ნაკვეთში შეაღწევდნენ. მარტო აბრა (მაგ. „შესვლა აკრძალულია!“) ამ მიზნისათვის ეტყობა არ იქნებოდა საკმარისი, რადგანაც არსებობდა იმის საშიშროება, რომ მოთამაშე ბავშვები, რომლებსაც კითხვა არ შეეძლოთ, ცნობისმოყვარეობით მოტივირებულები მაინც შევიდოდნენ მიწის ნაკვეთზე. უნდა ითქვას, რომ E-მ თავდაპირველად შეასრულა თავის ვალდებულება მოსალოდნელი ნეგატიური შედეგის თავიდან აცილების თვალსაზრისით (*Verkehrspflicht*) იმით, რომ მიწის ნაკვეთს ლობე შემოავლო. მიუხედავად ამისა, მან მესამე პირებთან და საგნებისადმი ჯეროვანი დამოკიდებულების ვალდებულება (*Verkehrspflicht*) არასათანადოდ შეასრულა, ვინაიდან ეს ავალდებულებდა მას, რომ სისტემატიურად დროის გარკვეულ შუალედებში შეემონებინა, იყო თუ არა მწყობრში მის მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომები. რომ არა მისი უმოქმედობა, ის შეამჩნევდა, რომ ლობე მორყეული იყო და ლობეში ნახევარი წლის მანძილზე ხვრელი არსებობდა. თავისი უმოქმედობით მან დაარღვია მესამე პირებისა და საგნებისადმი ჯეროვანი დამოკიდებულების ვალდებულება (*Verkehrspflicht*), თავიდან აეცილებინა ზიანი და ამით მისი უმოქმედობა დელიქტურ მოქმედებას გაუტოლდა.

რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთის მართლსაწინააღმდეგო დაზიანებასთან (ჯანმრთელობა), ამასთან არ არსებობს გამამართლებელი გარემოებები და იმავდროულად სახეზეა ასევე გაუფრთხილებელი მოქმედება (E-ს შეეძლო და უნდა ეზრუნა კიდეც), K-ს შეუძლია მესამე პირებისა და საგნებისადმი ჯეროვანი დამოკიდებულების ვალდებულების (*Verkehrspflicht*) შინაარსზე დაყრდნობით მოითხოვოს E-საგან ზიანის ანაზღაურება.

საკითხავი შეიძლება ისიც იყოს, ხომ არ არის შესაძლებელი K-ს დადანაშაულება ზიანის დადგომაში (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 415, აბზაცი 1). მაგრამ აქ ამაზე ალბათ უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის პირველი აბზაცის გათვალისწინებით.

მაგალითი 3: E არის ბათუმში მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და ამასთან ძალიან ავი ძაღლის მპყრობელი. ძაღლი გამვლელებსა და სტუმრებს უკვე ხშირად დაესხა თავს და უკბინა, რის გამოც E-მ მიწის ნაკვეთს ლობე შემოარტყა და ჭიშკარზე დაკიდა წარწერა: „ფრთხილად, ავი ძაღლია“. B, რომელსაც სოციოლოგიური გამოკითხვის ფარგლებში E-ს გამოკითხვა სურს, არ აქცევს წარწერას დიდ ყურადღებას და რადგანაც ჭიშკარზე არც ზარი და არც სხვა შეტყობინების საშუალება არ არის მიმაგრებული, ღია ჭიშკარში შედის. შესვლისას მას E-ს ძაღლი ფიზიკურ ზიანს აყენებს (კბენს). იგი E-სგან ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი 1003-ე მუხლია. ამ მუხლის მიხედვით პასუხს ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის მისი მპყრობელი აგებს. როგორც ნორმის მეორე წინადადება მიგვანიშნებს, ცხოველის მპყრობელის ბრალეულობაზე საუბარი ზედმეტია. აქ ისმის კითხვა, გამოირიცხება თუ არა E-ს პასუხისმგებლობა, რადგანაც მან, მესამე პირების მიმართ „საჭირო სიფრთხილის ზომები“ მიიღო. კონკრეტული შემთხვევების შეფასება ობიექტური მასშტაბით ხდება და არა E-ს ან მისი სტუმრების სუბიექტური ვარაუდით. ობიექტურად, ასეთი წარწერა მხოლოდ იმ პირებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც კითხვა შეუძლიათ. ობიექტურად ასეთი წარწერა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როდესაც სტუმრებს E-სთან დაკავშირების შესაძლებლობა გააჩნიათ, რადგანაც არსებობს შემთხვევები როდესაც სტუმრები E-სთან აუცილებლად უნდა შევიდნენ (მაგ. ექიმი, გაზის ან ელექტრომომსახურების თანამშრომლები, ფინანსური ორგანოს თანამშრომლები). რადგანაც ამ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს (არ არის ზარი), ამიტომ მხოლოდ ეს წარწერა სტუმართა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკმარისი არაა, რადგანაც სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი მაინც იძულებული იქნება ჭიშკარი გადმოლახოს. აქედან გამომდინარე E B-სთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს. უნდა აღინიშნოს, რომ B თანავალდებულების დაკისრებისათვის მზად უნდა იყოს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი), რადგანაც მისი მხრიდან ინტენსიური აუცილებლობა მიწის ნაკვეთზე შესვლისა სახეზე არ გვაქვს.

3. სამართლებრივი შედეგები

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის საფუძველი მიმართულია – როგორც 992-ისა და მისი შემდგომი მუხლების შემთხვევაში – ზიანის ანაზღაურებაზე. ვინაიდან დელიქტური სამართლის ნორმები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლისა, არ შეიცავენ რეგულირებას ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 408-ე და მისი მომდევნო მუხლები.

მაგალითი 4: მიწის მესაკუთრე E და მისი მეზობელი N-ი ნაჩხუბრები არიან. ერთხელ N-ი კიდევ ერთხელ ძალიან გაბრაზდა ხმაურის გამო, რომელიც E-ს სახლიდან გამოდიოდა, და საკვირაო ბაზრობაზე ყოფნისას ჰყვებოდა, გავიგე, რომ E ფარულად დადის ჰომოსექსუალისტთა კლუბში, სადაც მცირეწლოვან ადამიანებს აცდუნებენო. E, რომელსაც თავად ჰყავს ორი მცირეწლოვანი ვაჟი, გაოგნებულია. მას სურს, რომ N-მა უარჰყოს თავისი სიტყვები და თავი შეიკავოს მომავალში მსგავსი განაცხადების გავრცელებისაგან.

- ა. ისმის კითხვა, რომელი მუხლი შეიძლება წარმოადგენდეს E-თვის დამოუკიდებელი მოთხოვნის ნორმატიულ საფუძველს? შესაძლოა ეს 2004 წლის 24 ივნისის „აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კანონის“ (შემდგომში RAG) მე-13 მუხლი იყოს. მეორეს მხრივ შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის გამოყენებაც, რადგან პატივიც მიეკუთვნება იმ სამართლებრივი სიკეთეებს, რომლებიც ამ ნორმით არიან დაცულნი. თუ იმ აზრს გავიზიარებთ, რომ კანონმდებელმა RAG-ში ჩადებული ნორმების მეშვეობით არამატერიალური სამართლის ფარგლებში პატივის უფლების დამცველი საბოლოო წესები დაადგინა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ ნორმებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლთან შედარებით უპირატესი გამოყენების უფლება აქვთ (*lex specialis*).

RAG-ის მე-13 მუხლის გოყენებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს წინასწარი შეცნობით, „სახელის გატეხვის“ განზრახვით, მცდარი ინფორმაციის გავრცელება, ანუ „სიცრუე“. ზუსტი დეფინიცია მოცემულია 1-ლი მუხლში: ეს არის მცდარ „ფაქტზე“ დაყრდნობით, პიროვნების სახელისა და მისი რეპუტაციის შელახვის განზრახვით გამოთქმული განცხადება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში N-ის განცხადება (გამონათქვამი) ამ წინაპირობის არსებობის მოთხოვნებს ასრულებს, რადგანაც მისი გამონათქვამი არ შეესაბამება სიმართლეს და E-ს რეპუტაციის შელახვისკენაა მიმართული.

RAG-ის მე-13 მუხლის შემთხვევაში უმნიშვნელოა, რომ N-ი თავის განცხადებას არ ასაღებს როგორც საკუთარ ცოდნას, არამედ ამბობს, რომ მან ეს სხვებისგან შეიტყო: ის, ვინც მესამე პირთა მონაყოლს გადმოსცემს ისე, რომ არ იჭერს დისტანციას მათი გამონათქვამებისაგან, ამ გამოთქმულ აზრს თავისად ხდის. ამის შესაბამისად მე-6 მუხლის მე-5 აბზაცში მოცემულია აზრი, რომ მოპასუხე შეიძლება ის პირიც იყოს, რომელიც გამოთქმულ აზრს უპირობოდ ეთანხმება

ბ. ფაქტების გახმოვანებისას მართლსაწინააღმდეგობის ფარგლებში გასათვალისწინებელია, რომ ფაქტების გავრცელების თავისუფლებაც კონსტიტუციურად დაცული სიკეთეა (საქართველოს კონსტიტუციის 19-ე მუხლი, აბზაცი 1 და RAG). ამიტომ ყველა სახის ფაქტის გახმოვანება (აზრის გამოხატვა) არ შეიძლება იყოს ზიანის ანაზღაურების საფუძველი, რადგანაც სხვა შემთხვევაში სახეზე იქნებოდა კონსტიტუციურად გარანტირებული სიტყვის თავისუფლების უფლების დაუშვებელი შეზღუდვა. ყველა შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო არის პატივისა და ღირსების შელახვა არასწორი ფაქტების გამჟღავნებით, ვინაიდან ამ შემთხვევაში კონსტიტუციურ დაცვაზე საუბარი ზედმეტია.

შესაბამისად RAG-ში გამოყენებული ტერმინი „ცილისწამება“, შეიძლება დეფინირებულ იქნეს ცრუ ფაქტების გასავრცელებად.

შესაძლებელია, რომ პიროვნების პატივის შელახვა ნამდვილი ფაქტების გამჟღავნებითაც მოხდეს, მაგ. ისეთი გამონათქვამებით, რომლებიც პიროვნების პირად და ინტიმურ ცხოვრებას ეხება (მაგ. რეალობასთან ახლოს მდგომი ვარაუდი, რომ დაზარალებული პიროვნება მეუღლეს ღალატის გამო გაშორდა). ამ შემთხვევაში ერთის მხრივ იმ პიროვნების ინტერესი (კონსტიტუციურად დაცული!), რომელმაც ეს ვარაუდი გაავრცელა უპირისპირდება მეორეს მხრივ იმ დაზარალებულის ინტერესს (ასევე კონსტიტუციურად დაცულს), რომლის პატივიც ამ ინფორმაციის გამჟღავნების შედეგად შეილახა. მაშინ, როდესაც ამ სამართლებრივი ფონის პირობებშიც კი გერმანული სამართალი დაზარალებულისათვის ტოვებს შესაძლებლობას თავი დაიცვას მადისკრიმინირებელი ფაქტების გამჟღავნებისაგან (შედ. მაგ. BGH NJW 2007 S. 686), ისმის ქართული სამართლისათვის კითხვა, არის თუ არა პატივისა და ღირსების ამგვარი დაცვა RAG-ის (განსაკუთრებით მე-6 მუხლიდან მოყოლებული) ნორმებით გამორიცხული. თუ მიუხედავად ყველაფრისა იმას დავუშვებთ, რომ RAG-ის ნორმები ამგვარი რეგულირების წინააღმდეგ დგანან, უნდა დადგეს ამ ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი. RAG არის ჩვეულებრივი კანონი, მას არ შეუძლია შეზღუდოს კონსტიტუციური უფლებები, თუ ეს შეზღუდვები თავად კონსტიტუციის ტექსტით არ არის დაწესებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი ამგვარ შეზღუდვებს არ ითვალისწინებს; ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და 24-ე მუხლებში ჩადებული ძირითადი უფლებები ერთნაირი იურიდიული ძალით უპირისპირდებიან ერთმანეთს. ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ RAG-ის იმგვარი განმარტება, რომელიც პატივის დაცვას პიროვნული უფლების დარღვევის შემთხვევებში გამორიცხავს, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს მიჩნეული.

გ. RAG-ის 16-ე მუხლი ბრალეულობასთან დაკავშირებით სპეციალურ რეგულირებას შეიცავს. ამ რეგულირების მიხედვით პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანის მიმყენებელმა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ მის მიერ გამოთქმული ინფორმაცია (აზრი, გამონათქვამი) არასწორი იყო. აქედან გამომდინარე სახეზე გვაქვს ბრალეული მოქმედება, რადგან N-მა იცოდა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. აქედან გამომდინარე N-ი ვალდებულია აუნაზღაუროს E-ს მიყენებული ზიანი. RAG-ის მე-16 მუხლის მიხედვით ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის განმსაზღვრელად უბრალო დაუდევრობაც საკმარისია. ისმის კითხვა, რა მნიშვნელობა ენიჭება RAG-ის მე-16 მუხლს იმის დადგენისას, თუ სამართლებრივი დავის პროცესში რომელი მხარე ატარებს მტკიცების ვალდებულებას, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ზიანის მიმყენებელმა წინასწარ იცოდა მის მიერ გამჟღავნებული გარემოებების უზუსტობის შესახებ.

ნორმის მიხედვით, ამ შემთხვევაში ეს ვალდებულება ზიანის მიმყენებელს ეკისრება. მან უნდა ამტკიცოს, რომ არ იცოდა, ან უკიდურეს შემთხვევაში არც შეეძლო ცოდნოდა იმის შესახებ, რომ მის მიერ გამჟღავნებული ფაქტი მცდარი იყო.

RAG-ის 15-ე მუხლისმიერი „გამონაკლისი შემთხვევა“, რომელიც განზრახ ცრუ დეტალების გამჟღავნების მიუხედავად პირის პასუხისმგებლობას გამორიცხავს, სახეზე არ გვაქვს.

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით RAG-ის 17-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს „გამონაკლის შემთხვევას“ (Sonderregelung). ამ გამონაკლისი რეგულირების მიხედვით დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება (RAG-ის 17-ე მუხლის 1 აბზაცი). მაგრამ ამ შემთხვევაში გაურკვეველია, როგორ უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების ტენორირება, რადგანაც დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება მეტწილად სწორედ ტენორის (სარეზოლუციო ნაწილის) ფორმაზეა (მის „დიზაინსა და შინაარსზე“) დამოკიდებული. სასამართლო მხლოდ ცილისწამების ფაქტის დადგენით უნდა შემოიფარგლოს, თუ ცილისწამების ფაქტის დადგენასთან ერთად ზიანის მიმყენებელს მაგ. მომავალში ცილისწამებისაგან თავის შეკავებაც დააკისროს?

ამ კითხვაზე პასუხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 17 მუხლიდან გამომდინარეობს: ამ მუხლში საუბარია იმაზე, რომ რომ სასამართლომ მოპასუხეს განსაზღვრული ვადა უნდა დაუნესოს, რომლის განმავლობაშიც იგი ვალდებულია უკან წაიღოს ან შეასწოროს თავისი გამონათქვამი (გამოთქმული აზრი). იმ შემთხვევაში თუ იგი არ დაიცავს დაწესებულ ვადას ან სამართლებრივად უვარგისად შეიტანს შესწორებას თავის გამონათქვამში, მაშინ სასამართლოს მისგან ასევე არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც შეიძლება გაუჩნდეს (ე.წ. ტკივილის გადასახადი).

ეს ყოველივე ასევე RAG-ის მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცსაც შეესაბამება, რომელშიც პირდაპირაა საუბარი ჩარევის თავიდან აცილებასა და ჩარევის შემთხვევაში თავის დაცვაზე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს საზიანო მოქმედების უარის თქმა (თავიდან აცილება), ისევე როგორც ამგვარი მოქმედების შეწყვეტა (დაცვა).

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, RAG-ის 13-ე და 17-ე მუხლებიდან გამომდინარე E-ს აქვს უფლება N-საგან მოითხოვოს Nპატივის შემლახავი გამონათქვამების საჯაროდ უარყოფა და ასეთი გამონათქვამებისაგან მომავალში თავის შეკავება.

ვარიანტი: N-ი აცხადებს მალაზიაში, რომ E-მ რამოდენიმე წლის წინ მიწის ნაკვეთის ყიდვისას მომაცუაო. პროცესში ცალსახად ვერ დადგინდა, არის თუ არა ეს გამოთქმული აზრი სიმართლე.

აქ შესაძლებელია საქმეში ჩაეროს RAG-ის მე-7, მე-13 მუხლის მტკიცების ვალდებულება, რომლის მიხედვითაც ის მხარე, რომელიც სიტყვის თავისუფლების დარღვევაზე აპელირებს, ვალდებულია წარმოაჩინოს ამ შეზღუდვის პირობები. თუ სათუთა ნავარაუდები, პატივის შეურაცმყოფელი გამონათქვამის არსებობა, მაშინ მტკიცების ვალდებულება დაზარალებულ მხარეს ეკისრება.

III. პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის მიხედვით

მაგალითი 5: RAG-ს საინფორმაციო ჟურნალი თავის ერთ-ერთ სტატიაში კრიტიკულად ასახავდა ბიზნესმენ A-ს მიერ მნიშვნელოვანი პროგრამული უზრუნველყოფის ფირმის შესყიდვას. სტატიაში, სხვათა შორის, ეწერა, რომ A-მ იცის, „როგორ იშოვოს ჯერ მილიონები, შემდეგ კი მოქნილად გამოაცხადოს თავი გაკოტრებულად“, რაც მან უკვე ორჯერ გააკეთა კიდევცო. ამის შედეგად ბანკმა, რომელიც აპირებდა დაეფინანსებინა A-ს მიერ სანარმოს შესყიდვა, შეცვა-

ლა თავისი გადაწყვეტილება და უარი განაცხადა დაფინანსებაზე. ნასყიდობის ხელშეკრულება არ შედგა. A მიუღებელი მოგების საფუძველით ითხოვს B-საგან ზიანის ანაზღაურებას. იმავდროულად დადასტურებულია, რომ A-ს თავი გააკოტრებულად არასდროს გამოუცხადებია.

მოთხოვნის საფუძველი შეიძლება იყოს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლი.

1. 993-ე მუხლი, რომელიც თავისი შინაარსით გერმანული სამოქალაქო კოდექსის 824-ე მუხლის მსგავსია, შეიცავს მოთხოვნის საფუძველს კრედიტთან დაკავშირებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის (სამეურნეო იმიჯის შელახვა). მართალია, ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 993-ე და 992-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების წინაპირობის არსებობისათვის აუცილებელია დამრღვევის ქმედებაში არსებობდეს **მართლსაწინააღმდეგობა**. ასეთი მოქმედება აქ რეგულარულად არის სახეზე, კერძოდ მართლსაწინააღმდეგოდ არამართალი, ფინანსურად ნამგებიანი ინფორმაციის გავრცელება. მართლსაწინააღმდეგო ქმედების სავალდებულოდ არსებობის მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლი მე-2 აბზაციდან, რომელიც იმავდროულად ასევე შეიცავს გამართლებულ საფუძველს სამართლიანი საზოგადო ინტერესის დაცვასთან დაკავშირებით. როდესაც საუბარია ისეთ წინაპირობებზე, როგორცაა „გავრცელება“ და „საჯაროდ გამოცხადება“, ეს ნიშნავს, რომ არსებობს მესამე პირების მიერ ამ ინფორმაციის შეტყობის შესაძლებლობა; ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულისათვის არ არის საკმარისი მიზეზი მოთხოვნის წარმოშობისათვის.
2. ტერმინი „ფაქტი“ უნდა გავმიჯნოთ ტერმინ „შეფასებისაგან“. მხოლოდ ფაქტები შეიძლება იყოს მართალი ან ცრუ/არასწორი, მხოლოდ ისინი შეიძლება იქნეს გადამოწმებული და მხოლოდ ფაქტების შემთხვევაში არსებობს ობიექტური კავშირ-მიმართება გამოთქმულ აზრსა და სინამდვილეს შორის. **შეფასება** არის კონსტიტუციურად დაცული (საქართველოს კონსტიტუცია მე-19 მუხლი) **აზრის გამოხატვა**. მისთვის ნიშანდობლივია პიროვნების სუბიექტური დამოკიდებულება მის მიერ გამოთქმული აზრისადმი. ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან განსხვავება რთულია. განმასხვავებელი კრიტერიუმი არის გამონათქვამის შინაარსის (ბირთვის) ობიექტურად შემოწმების შესაძლებლობა. გამონათქვამი არ უნდა იყოს მომავლის პროგნოზი, ეს უნდა იყოს მომხდარი, არსებული, ის რაც გადამოწმებას ექვემდებარება. ფაქტებსა და შეფასებების შედარებისას უნდა განვასხვაოთ შემდეგი:
 - თუ გამონათქვამი მეტწილად შეიცავს პიროვნების სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც გამოიხატება მის პირად აზრში, ფიქრში ან ვარაუდში იმის გამო, რომ გამონათქვამის შემადგენლობა რეალურ ფაქტებს მოკლებულია ან რეალური ფაქტების სიმწირეს განიცდის, მაშინ ასეთი გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთმობს ადგილს და საკუთარი აზრის თავისუფალი გამოხატვის კატეგორიას მიეკუთვნება.

თუ გამონათქვამი ძირითადად გვანვდის ინფორმაციას ობიექტურად მომხდარის შესახებ და საიმისოდ გამოდგება, რომ შეუქმნას ადრესატებს წარმოდგენა ობიექტურად მომხდარ ფაქტზე და ასევე შესაძლებელია მისი გადამოწმება, მაშინ საუბარია ფაქტის გამჟღავნებაზე. რაც შეეხება ფაქტებისა (როგორც ობიექტური სინამდვილის ნაწილისა) და სუბიექტური წარმოდგენების გამჟღავნებას (მტკიცებას) შორის განსხვავებას, ამ მხრივ ნიშანდობლივია RAG-ის მე-7 მუხლის მე-5 აბზაცი: ამ მუხლის მიხედვით, თუ არსებობს სალი ეჭვი იმ კითხვის გარშემო, სახეზეა ფაქტის მტკიცება თუ სუბიექტური წარმოდგენის გაცხადება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე ეხება აზრის გამოთქმას. ჩემი აზრით ასეთი სიტუაცია მხოლოდ ზემოთხსენებულ შემთხვევაში წარმოიშობა, რადგანაც იგი მტკიცებულებათა სახით საკმაოდ ზუსტ პასუხს იძლევა კითხვაზე, სახეზე გვაქვს „აზრის გამოხატვა“, თუ „ფაქტი“.

ვინაიდან შეფასებები არ ექვემდებარება კლასიფიკაციას ჭეშმარიტება-არაჭეშმარიტების ნიშნის მიხედვით, მათ არ ძალუძთ წარმოშვან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ისინი – აგრეთვე ნეგატიური აზრის თავისუფლად გამოხატვის კატეგორიას უფრო მიეკუთვნებიან. მხოლოდ მაშინ, როდესაც კრიტიკა მიაღწევს ე. წ. შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ზღვარს, ვინაიდან კრიტიკის/გამონათქვამის შეურაცხ-

მყოფელი ხასიათი წინა პლანზე გადმოინაცვლებს, შეფასებითი აზრის გავრცელება მართლსაწინააღმდეგო და დასჯადია (მაგ. ექიმის მოხსენიება „ჯალათად“). აქაც ისმის კითხვა, არის თუ არა საერთოდ „სუბიექტური აზრი“ ქართული იურისპრუდენციის განსჯის საგანი, რადგანაც RAG-ი მხოლოდ იმ წესებს შეიცავს, რომლებიც ფაქტის გახმოვანებისაგან (მცდარი ფაქტის) გამონვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას აწესებენ. იმავდროულად კანონი არაფერს ამბობს იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც შესაძლოა არსებობდეს მადისკრიმინირებელი შეფასებიდან გამომდინარე მოთხოვნა. ასეთ შემთხვევებშიც რელევანტურია ფაქტის გახმოვანებასთან დაკავშირებით ზემოთხსენებული მოსაზრება, რაც იმას ნიშნავს, რომ RAG-ის კონსტიტუციასთან შესაბამისმა განმარტებამ უნდა მიგვიყვანოს დაზარალებულის დაცვასთან პატივის შემლახავი მადისკრიმინირებელი სუბიექტური შეფასებებისას.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასარკვევია, რად შეიძლება ჩათვალოს B-ს სტატიაში გამოხატული აზრი – ფაქტად თუ შეფასებად? რაც შეეხება გამოხატული აზრის პირველ ნაწილს, სადაც თქმულია, რომ A-მ იცის, თუ როგორ იშოვოს მილიონები და შემდეგ მოქნილად გამოაცხადოს თავი გაკოტრებულად, საუბარია შეფასებაზე. აქ პირველ პლანზე არ დგას ფაქტის გახმოვანება, არამედ აზრის გამომთქმელის პირადი შეფასება A-ს პიროვნებისადმი, რომელსაც გარკვეული უნარები მიენერება. გააჩნია თუ არა A-ს ეს უნარები, ამის გადამოწმება შეუძლებელი ან ძალიან ძნელია. სხვა შემთხვევაა იმის მტკიცება, რომ A უკვე ორჯერ გაკოტრებული იყო. მკითხველმა ამ შემთხვევაში შეიძლება ჩათვალოს, რომ პირადად A ან ის ფირმები, რომლებსაც A უძღვებოდა, გაკოტრდნენ, რის გამოც ვერ შეძლეს მოვალეთა დაკმაყოფილება და გადახდისუუნარონი გახდნენ. ეს გამონათქვამი გადამოწმებას ექვემდებარება. რადგანაც გამოთქმული აზრი სიმართლე არ არის და იმავდროულად შეიცავს ისეთ შინაარსს, რომელიც A-ს სახელს უტეხავს, რითაც არსებით გავლენას ახდენს საფინანსო ინსტიტუტების დამოკიდებულებაზე A-ს მიმართ, სახეზე გვაქვს სამოქალაქო კოდექსის 993-ე მუხლის 1-ი აბზაცის შემადგენლობა.

დაისმის კითხვა, შეუძლია თუ არა B-ს დაეყრდნოს 993-ე მუხლის მე-2-ე აბზაცს. მე-2-ე აბზაცი ითვალისწინებს, რომ უნდა არსებობდეს 1-ი აბზაცით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მე-2-ე აბზაცი იძლევა შესაძლებლობას, მოიხსნას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ ამას **მოითხოვს კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესი**. ტერმინ „საზოგადოებრივი ინტერესის“ გამოყენება ნათელს ხდის, რომ აქ საუბარი არ შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირის ინტერესზე, ვისაც ზიანი მიადგა. თუ კონკრეტულად რა იგულისხმება ამ ნათქვამში, არ არის მთლად ნათელი. განმარტება, რომ საქმე უნდა შეეხებოდეს საზოგადოებრივ ინტერესს, დასაშვებს ხდის, რომ მხოლოდ მკრთალი ზღვარი იქნეს გავლებული. ამით მხოლოდ ის პროცესები უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც ასე თუ ისე სახელმწიფოს შეეხება თუ შეიძლება საკმარისიც იყოს, რომ საქმე მოქალაქეთა ერთ დიდ ჯგუფს ან ისეთ ფასეულობებს შეეხებოდეს, რომლებსაც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნიათ? რადგანაც თანამედროვე დემოკრატიულ წყობილებაში საზოგადოებრივი ინტერესების დამცველად მედია გვევლინება, უპირადაა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამამართლებელ გარემოებებთან, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია მედიის ინტერესების დასაცავად. იმავდროულად გასათვალისწინებელია ის აზრი, რომ ფართო საზოგადოება არ უნდა აგებდეს პასუხს იმისათვის, რომ მედიას არ შეუძლია გადაამოწმოს თავისი ინფორმაციის სისწორე. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს მასმედიისათვის იმას, რომ ვითომდა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით არ გადაამოწმოს ან ნაკლები ყურადღება მიაქციოს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების მოკვლევის საკითხს. პრესა თავისი საქმიანობისას ხშირად იძულებულია უცხო (გარე) განცხადებებს (წყაროებზე) დაეყრდნოს. იმავდროულად თვითონ საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ხშირ შემთხვევებში ე.წ. ფაქტების მართლაც ობიექტური სიმართლის ხარისხის 100% განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ მასმედიის მიერ გაკეთებული განცხადებებისას არაა საკმარისი, რომ ამ კონკრეტული ინფორმაციის სიყალბემ (უზუსტობა) დამტკიცდეს, იმავდროულად დარღვეული უნდა იყოს ე.წ. „მოკვლევის ვალდებულება“. ამიტომ მასმედიის საშუალება კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებს მაშინ, როდესაც დეტალური მოძიებისას მას ჰქონდა შესაძლებლობა იმისა, რომ გამოერკვია გამჟღავნებული ინფორმაციის უზუსტობა.

ყოველივე ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს, რომ B-ს შესაძლებელია ჰქონდეს უფლება დაეყრდნოს საზოგადოებრივ ინტერესს. საზოგადოების ინტერესში არის სწორედ, რომ მნიშვნელოვანი კომპანია,

რომელიც ბევრ ადამიანს ასაქმებს, შარლატანის ხელში არ ჩავარდეს. იმავდროულად არსებობს სერიოზული საინფორმაციო ჟურნალისადმი იმის მოთხოვნა, რომ იგი სათანადოდ ამონმებდეს გადმოცემული ინფორმაციის სიზუსტეს და ობიექტურობასთან შესაბამისობას. იყო თუ არა ვინმე გაკოტრებული ან გაკოტრდა თუ არა ფირმა, რომელსაც ის უძღვებოდა, არის ინფორმაცია, რომლის გადამონმებაც არც თუ ისე რთულია. ზემოთხსენებულიდან გამომდინარე თუ სახეზეა B-ს მხრიდან ინფორმაციის გადამონმების პროცესის უგულველყოფა ან არასათანადოდ ჩატარება, მაშინ მისი მეორე გამონათქვამი შეიძლება ჩაითვალოს კანონსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, რის საფუძველზეც A-ს უჩნდება B-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

IV. მუშაკის პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის მიხედვით

მაგალითი ნ: A ხელოსანს დაავალეს გარედან შეეღება B-ს სახლი. C თანამშრომლის გაუფრთხილებლობის შედეგად ხარაჩოდან გადმოვარდა საღებავის ქილა და D შემთხვევით გამვლელს ტანსაცმელი საღებავით დაესვარა; ეს უკანასკნელი ითხოვს ზიანის ანაზღაურებას A-საგან, ვინაიდან C-ს არაფერი გააჩნია (იგი უქონელია). A არ სცნობს პრეტენზიას იმ მოტივით, რომ ზიანის წარმოშობაში არანაირად არ ვმონაწილეობდიო, ამას გარდა C-ც ზოგადად ძალიან წინდახედული მუშაკია, მასთან დაკავშირებით ადრე არასოდეს შემოსულა საჩივარიო. თუ მიზეზის ძებნას დავინყებთ, ალბათ D შეეჯახა ხარაჩოს, რამაც ინციდენტი გამოიწვიაო.

1) აშკარაა, რომ სახეზე არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველი, ვინაიდან A-სა და D-ს შორის არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს. ამასთან D არც A და B-ს შორის არსებულ ურთიერთობებშია მოქცეული.

ვინაიდან არ არსებობს A და B-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, ამ შემთხვევაში დამატებით არც სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის ნორმა გამოიყენება, რომლის თანახმადაც მოვალე მთავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომლებსაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს: ეს ნორმა კერძოდ არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, მაგრამ იგი დამხმარე ნორმაა, რომლის მეშვეობითაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი ერთ-ერთი წინაპირობა (კერძოდ მოვალის ბრალეული მოქმედება) სხვა წინაპირობით შეიცვლება: მოვალეს მიენერება მისი წარმომადგენლის ან მუშაკის ბრალეული ქმედება.

2) მაგრამ A მაინც აგებს პასუხს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლიდან გამომდინარე დელიქტური მოქმედების გამო (unerlaubte Handlung). ეს ნორმა ითვალისწინებს მოთხოვნის სხვა საფუძველს, რომლის თანახმადაც პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის (ტექსტში: თავისი ე.წ. „შეგირდის“) მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას. [კანონი იყენებს ტერმინს Arbeitnehmer-ს, „სამუშაოს მიმღები“, მაგრამ თუ ჩვენ სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად მხოლოდ შრომით ურთიერთობაში დასაქმებულს ვიტყობით, ამით ძალზე შეიზღუდებოდა ამ ნორმის გამოყენების სფერო. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის მსგავსი ურთიერთობა სამუშაო ურთიერთობის გარეთაც შეიძლება წარმოიშვას, მაგ. ოჯახში]. ეტყობა C არის პირი, რომელიც A-ს ეხმარება სამუშაოს შესრულებაში.

გერმანული სამართლის მიხედვით ამ ტერმინში იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელსაც ქირაობს სხვა პირი რაიმე საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელიც ამის საფუძველზე ექცევა „დამქი-

რავებლის-დამსაქმებლის“ გავლენის სფეროში და რომელიც გარკვეულ სუბორდინაციულ ურთიერთობაშია სამუშაოს მიმცემის მიმართ. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ ურთიერთობისათვის ის, რომ დამხმარე პირი დამოკიდებულია „ბატონის“ მითითებებზე.

„დამხმარე“ არ არის დამოუკიდებლად მოქმედი სანარმო: თუ A სამღებრო სამუშაოების შესრულებას დაავალდება სხვა ამ პროფილით მომუშავე სანარმოს და აღნიშნულ ზიანს ამ სანარმოს მუშაკი წარმოქმნიდა, მაშინ არ იქნებოდა სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელი.

C-ს მსგავსი დასაქმებული პირების შემთხვევაში (მაგრამ არა მხოლოდ ასეთთა მიმართ) სახეზეა ტიპური მითითებაზე დამოკიდებული ურთიერთობა.

- 3) შემდეგი წინაპირობაა, რომ არამართლზომიერი მოქმედება დაკავშირებული უნდა იყოს სადავო მოქმედებასთან. ამას ჩვენს შემთხვევაში აშკარად აქვს ადგილი, ვინაიდან ზიანი აქ არის შედეგი იმ მოქმედებისა, რომლის შესრულებაც ჰქონდა C-ს დავალებული.
- 4) ასევე ცალსახად სახეზეა C-ს არამართლზომიერი მოქმედება, რაც სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის კიდევ ერთი წინაპირობაა (სხვისი მატერიალური სიკეთის დაზიანება, იხ. ზემოთ).
- 5) და ბოლოს „დამხმარე“/თანამშრომელი/მუშაკი ბრალეულად უნდა მოქმედებდეს. აქ A-ს პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით საქმე ეხება C-ს ბრალეულობას, ანუ არა იმას, მოქმედებდა თუ არა A-ც ბრალეულად (მაგ. მუშაკის/ თანამშრომლის შერჩევისას ან მასზე ზედამხედველობის განხორციელებისას!). თუ, მართლაც გასათვალისწინებელია A-ს ბრალი, ვინაიდან A, მაგალითად, ისეთ მუშაკს აიყვანს, რომელიც ალკოჰოლური სასმელებისკენაა მიდრეკილი და რომელსაც სჩვევია ხარაჩოდან რაიმეს გადმოგდება, მაშინ დამატებით დგება A-ს პირადი პასუხისმგებლობის საკითხი სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის მიხედვით A პასუხს აგებს სხვისი ბრალისათვის, კერძოდ C-ს ბრალეული მოქმედებისათვის.

საკითხავია, ვინ უნდა დაამტკიცოს C-ს ბრალეულობა პროცესზე? სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის მეორე წინადადების ფორმულირება ითვალისწინებს ე.წ. საგამონაკლისო ურთიერთობას: როგორც წესი, არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ იგი არ დგება, თუ C-ს ბრალეულობა არ მტკიცდება. მტკიცების ტვირთის შესახებ ზოგადი ნორმებიდან გამომდინარე, პირი, რომელიც ემყარება საგამონაკლისო ურთიერთობას, ვალდებულია ამტკიცოს, რომ არსებობს გამონაკლისის შემთხვევაზე ორიენტირებული ვითარება. აქედან გამომდინარე მოვალე (ჩვენს შემთხვევაში A) ვალდებულია ამტკიცოს, რომ C არ მოქმედებდა ბრალეულად. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ A-მ უნდა მოიყვანოს მტკიცებულება საიმისოდ, რომ დაზარალებული D დაეჯახა ხარაჩოს, რამაც საღებავიანი ქურჭლის გადმოვარდნა გამოიწვია. თუ A ამის დამტკიცებას ვერ შეძლებს, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს D-ს მიყენებული ზიანი.

ვარიანტი: სამსახურის დამთავრების შემდეგ C ფარულად შედის F-ის ბინაში ღია ფანჯრიდან და იპარავს საძინებელ ოთახში დადებულ ოქროს სამაჯურს, რომელიც მან მანამდე დღის განმავლობაში მუშაობისას შენიშნა.

აქ დაისმის კითხვა, დაკავშირებულია თუ არა შინაგანად C-ს არამართლზომიერი მოქმედება ასევე მისთვის დაკისრებულ სამუშაოს შესრულებასთან. ცალკე განიხილება შემთხვევები, როცა ზიანი დგება შრომითი/ სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების შედეგად გაჩენილი შესაძლებლობის დროს. აქ სწორედ ეს არის, ვინაიდან C-ს სამუშაო ქურდობის მომენტისათვის უკვე დამთავრებული ჰქონდა. ქურდობის შესაძლებლობა მას სამუშაოს განხორციელების დროსაც კი რომ დაეფიქსირებინა, ეს ჯერ კიდევ იქნებოდა ქურდობის სისხლის-სამართლებლივად არ დასჯადი მოსამზადებელი მოქმედება. კონკრეტულ შემთხვევებში ძალიან ძნელი გასამიჯნია ერთმანეთისაგან ქმედება შრომითი/სამსახურებრივი საქმიანობის დროს ქმედებისაგან, რომელიც ხორციელდება მაშინ, როცა პირს ამის შესაძლებლობა ეძლევა. მოცემულ შემთხვე-

ვაში შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა იმაზე, რომ არსებობდა შინაგანი კავშირი C-ს მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან მაშინ, თუ C ქურდობას სამუშაო საათებში/ სამუშაოს შესრულების პერიოდში განახორციელებდა. ნათქვამი შეიძლება გამართლებულ იქნას იმ აზრთან მიმართებაში, რომ C სამუშაო საათებში A-ს ზედამხედველობის ქვეშაა, ასე რომ A-ს, სულ მცირე, თეორიულად მაინც შეეძლო თავიდან აეცილებინა ქურდობის ფაქტი.

V. მოთხოვნის ხანდაზმულობა

მაგალითი 7: K ავალებს U ფირმას, აუშენოს სარდაფიანი სახლი მისი A არქიტექტორის გეგმის მიხედვით.

ვინაიდან სახლი მდინარის პირას შენდება, A უთითებს U ფირმას, სარდაფის გარე კედლები წყლის ნადაკისაგან დამცავი სპეციალური მასალით დაფარეო (იქნება ეს ფოლიო თუ სხვა მსგავსი რამ). ვინაიდან ფოლიო ძალზე ძვირია და U ფირმამ K-ს მშენებლობისათვის ისედაც ნაკლები ფასი დაუანგარიშა, U გადაწყვეტს, რომ ფოლიოთი დაფაროს სარდაფის მხოლოდ ის კედელი, რომელიც მდინარის მხარესაა. სამშენებლო კომპანია ცდილობს დაამშვიდოს A, რომელსაც K-მ ზედამხედველობა დაავალა და რომელიც K-ს წარმომადგენლად არის უფლებამოსილი, ასეთი რამ ხშირად გამიკეთებია და ეს მეთოდი ამართლებსო. მაგრამ A მაინც კატეგორიულად მოითხოვს, ყველა კედელი დაიფაროს ფოლიოთი, თუმცა გაკონტროლება ავინყდება, ასე რომ U კომპანიას ეძლევა საშუალება, სისრულეში მოიყვანოს თავისი გეგმა. შენობის აგებიდან და გადაცემიდან 6 წლის შემდეგ წყალმა ფოლიოს უკან გზა იპოვა და სარდაფში შეაღწია. იქ კი, სხვათა შორის, K-ს ძვირფასი ავეჯიც ინახებოდა და ავეჯი გაფუჭდა. A უცხოეთში გაიქცა. K-ს სურს მოთხოვნა წაუყენოს U კომპანიას, ის კი ხანდაზმულობას ემყარება.

- 1) K-ს შეეძლო, ერთის მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი აბზაცის, 639-ე და 641-ე მუხლებიდან გამომდინარე წამოეყენებინა პრეტენზია U კომპანიის მიმართ. K-სა და U-ს შორის არსებობს ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც U კომპანია ვალდებულია, ჩააბაროს K-ს უნაკლო ნაგებობა (სახლი). ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნაკლო ობიექტის (სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად) აუცილებელი მახასიათებელი თვისება უნდა ყოფილიყო სარდაფის გარე კედლების ფოლიოთი დაფარვა. ამასთან დაკავშირებული ვალდებულება U კომპანიამ დაარღვია, აღჭურვა ფოლიოთი კედლების მხოლოდ ნაწილი. ვალდებულების დარღვევის გამო U სამშენებლო ფირმა აგებს პასუხს, შედეგად იგი ვალდებულია აუნაზღაუროს K-ს მიყენებული ზარალი (გაფუჭებული ავეჯი და სურათები).
- 2) მაგრამ U კომპანიამ მაინც შეიტანა საჩივარი ხანდაზმულობის მოტივით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის მიხედვით, სამუშაო ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზების შემთხვევაში, როგორი შემთხვევაც ჩვენ აქ გვაქვს სახეზე, ზოგადი წესიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი) განსხვავებით გასაჩივრების ვადა **5 წლამდე** იზრდება. ამ ვადის ათვლა იწყება **მიღების (Abnahme, ჩაბარების)** მომენტიდან, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ცნობილი ხარვეზების შესახებ. მიღების (ჩაბარების) სამართლებრივი შედეგები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლშია მოცემული, მაგრამ კონკრეტულად რა იგულისხმება მიღების ცნების ქვეშ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლში ამის შესახებ არაფერს ამბობს. შესაძლოა გვეფიქრა, რომ მიღება (ჩაბარება) შესრულებული სამუშაოს (ნაგებობის) გადაცემაში, ჩაბარებაში გამოიხატება. რადგანაც გამოყენებულ იქნა ტერმინი „მიღება“ (Abnahme), მრავალი გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ კანონმდებელს მისი გაგება ისე სურდა, როგორც ეს გერმანული სამართლებრივი ტრადიციითაა მიღებული: ამ ტრადიციის მიხედვით „მიღება“ სახეზეა, როდესაც დამკვეთი შესრულებული სამუშაოს ნაყოფს (ნაგებობას) **არსებითად ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებულად აღიარებს (ამტკიცებს)**. ამგვარად მიღება არ არის

რეალურად დამოუკიდებელი მოვლენა, არამედ იგი დამკვეთის **ნების გამოვლენას** შეიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ დამკვეთს შეუძლია უარი განაცხადოს მიღებაზე, მაშინაც კი, როდესაც ის თვლის, რომ სამუშაო არ არის ბოლომდე შესრულებული ან ის ნაკლოვანია. ფორმულირება „არსებითად ხელშეკრულების შესაბამისად“ იმაზე მიგვითითებს, რომ უმნიშვნელო ნაკლი ვერ გახდება მიღებისაგან თავის შეკავების მიზეზი, შესაბამისად ვერ გახდება უარის საფუძველი. მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ K-მ შენობა სინესტის გამოჩენამდე ექვსი წლით ადრე მიიღო (ჩაიბარა), ამგვარად მისი სამუშაო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა გასულია.

- 3) მაგრამ K-ს შეუძლია ზიანის ანაზღაურებაზე თავისი მოთხოვნის U ფირმის მიმართაც წაყენება და მისი რეალიზაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და შემდეგი მუხლების ნორმები მოთხოვნასთან დაკავშირებით ე.წ. კონკურენტულ დამოკიდებულებაშია 319-ე და შემდეგი მუხლების ნორმებთან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით. ამდენად, აუცილებელია მიეცეს ყოველ ფაქტობრივ გარემოებას თუ, ცხადია, არსებობს საამისო წინაპირობა – შეფასება, გამომდინარე როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების, ასევე დელიქტური შემთხვევების მარეგულირებელი ნორმების თვალსაზრისით. ის, რომ ორი მხარე ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება, არ გამორიცხავს დელიქტური შემთხვევების მარეგულირებელი ნორმების მათი სამართლებლივი ურთიერთობის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას.

ამ შემთხვევაში U კომპანიამ A-ს მიმართ ვალდებულება დაარღვია (არამართლზომიერი მოქმედება). შეიძლება კამათი იმის შესახებ, დააზიანა თუ არა მან K-ს საკუთრება, ვინაიდან K-ს საკუთრებას დაუდევრად განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გამო ნაკლი გაუჩნდა, მაშასადამე იმთავითვე ნაკლიანი ობიექტი იქნა დამზადებული. მაგრამ არამართლზომიერი ქმედება მაშინაც არის სახეზე, როცა ზიანის მიმყენებელი (დამზიანებელი) დაზარალებულთან მიმართებაში არღვევს მათ შორის არსებულ თავის მოვალეობებს. ასეა ჩვენს შემთხვევაში, ვინაიდან U სამშენებლო კომპანია ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებული იყო მიენოღებინა K-სთვის უნაკლო ობიექტი/ნივთი.

დარღვევა ბრალეულიცაა, ვინაიდან U სამშენებლო ფირმამ იცოდა, რომ იგი ვალდებული იყო, გაეკრა ფოლიო სარდაფის გარე კედლების მთელ პერიმეტრზე.

- 4) მაგრამ აქ საკითხავია, შეუძლია თუ არა U კომპანიას დაეყრდნოს ხანდაზმულობას და იქნება თუ არა მისი პროტესტი ამასთან დაკავშირებით წარმატებული.

დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების უფლების ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი შეიცავს ნორმას, რომლის თანახმად ხანდაზმულობის ვადა სამი წელია – ისე, როგორც ეს სახელშეკრულებო სამართლშია. მაგრამ ხანდაზმულობის ვადის დაწყებისათვის წინაპირობა ის არის, რომ დაზარალებული ზიანის (და დამაზიანებლის პიროვნების) შესახებ **პოზიტიურ ინფორმაციას ფლობს**. აქ არსებითი და ძალზე მნიშვნელოვანი განსხვავება გვაქვს სამოქალაქო კოდექსის 655-ე მუხლის ნორმაში მოცემულ ხანდაზმულობის მარეგულირებელ ნორმასთან მიმართებაში, რადგანაც ამ ნორმის შემთხვევაში ცოდნის საკითხი არაა აქტუალური (არაა კავშირში). ეს ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებული ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლთან მიმართებაშიცაა მნიშვნელოვანი. ვინაიდან იქ (იხ. ზემოთ) ხანდაზმულობის ვადის დინების დაწყებისთვის მთავარია, რომ დაზარალებულს „**უნდა სცოდნოდა**“ დარღვევის შესახებ.

განსხვავება საბუთდება ამ ორი ნორმის განსხვავებული მიზანმიმართულობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი ძალაშია ყველა სახის მოთხოვნის მიმართ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპეციალური ნორმა გამოიყენება), მაშასადამე კერძოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირველადი მოთხოვნისთვისაც (როგორცაა, მაგ., შესრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები), რომელთა შემთხვევაშიც

საქმე სულაც არ შეეხება ზიანის დადგომას. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლს, თუ ვიმსჯელებთ მისი ადგილისა და აქედან გამომდინარე დებულებების მიხედვით, იგი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ დელიქტით გამონწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს.

ჩვენს მაგალითზე ცხადი ხდება, რომ 1008-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა K-მ შეიტყო ზიანის არსებობის შესახებ, ჩვენს მაგალითში იმ მომენტიდან, როცა წყლის სარდაფში შეღწევის შედეგად ავეჯი და სურათები დაზიანდა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ არახანდაზმულია K-ს მოთხოვნა U ფირმის მიმართ, გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლიდან.

VI. სარტანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

მაგალითი 8: A არის ავტომანქანის რეგისტრირებული მფლობელი. A-მ გადასცა ეს მანქანა თავის დისშვილ N-ს, რადგანაც ეს უკანასკნელი ამ მანქანას თავისი საქმიანობის განსახორციელებლად იყენებდა და იმავდროულად A-ს შეპირდა (რომელსაც არ აქვს მართვის მოწმობა), რომ საჭიროების შემთხვევაში მას ატარებდა. ერთ-ერთ საღამოს, რესტორანში ყოფნის შემდეგ N-მა გზებზე ლიპყინულის გამო თბილისის ვიწრო ქუჩაზე დაკარგა კონტროლი მანქანაზე, მოსრილდა და შეეჯახა ქუჩის ტროტუართან მდგომ E-ს საკუთრებაში მყოფ ავტომანქანას. N-ი ამ ავარიის დროს მძიმედ დაშავდა. A-ს ავტომანქანამ კაპიტალური ზიანი მიიღო. ავარიის შედეგად ქუჩა მთლიანად გადაიკეტა. სანამ პოლიცია მოვიდოდა, რამოდენიმე მძღოლმა, რათა აეარათ გვერდი ავარიის ადგილისათვის, V-ის ეზოს გავლით გააგრძელეს გზა, რითაც ეზოში მყოფი მცენარეები გაანადგურეს. რა მოთხოვნები შეიძლება გაჩნდეს N-ისა და A-ს მიმართ?

ა.) A-ს შეიძლება საკუთარი ავტომანქანის დაზიანების გამო გააჩნდეს მოთხოვნა N-ის მიმართ; N-ს შეუძლია თავისმხრივ A-ს მიმართ გააჩნდეს მოთხოვნის უფლება, რადგანაც A საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე პარაგრაფის შინაარსიდან გამომდინარე მანქანის მესაკუთრეა. E და V-ს კი შეუძლიათ ჰქონდეთ მოთხოვნის უფლება, როგორც A-ს ასევე N-ის მიმართ.

A. მანქანის დაზიანების გამო A-ს მოთხოვნის უფლება N-ის მიმართ.

1) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა:

სამართლებლივი ურთიერთობა N-ისა და A-ს შორის ჩამოყალიბდა თხოვნის ხელშეკრულების საფუძველზე. განსაკუთრებით მაღალი ღირებულების ნივთების გადაცემის დროს, უნდა ვივარაუდოთ, რომ გადამცემის სურვილში აშკარად ჩადებული არის სამართლებლივი დამოკიდებულების გაჩენის ნება. ე.წ. ნივთის გადაცემა უბრალოდ კარგის გაკეთების მიზნით, ანუ გადაცემა სამართლებლივი ურთიერთობის გამონწვევის სურვილის გარეშე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოირიცხება.

მოთხოვნის საფუძველია: სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი აბზაცის, პირველი წინადადება და 615-ე მუხლიდან მოყოლებული შემდეგი მუხლები.

- ვალდებულებების დარღვევა: სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლის თანახმად წარმოიშობა ვალდებულება ნივთის ხელშეკრულებისმიერი გამოყენებისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნათხოვარი ნივთი არ უნდა იქნეს დაზიანებული ან იმგვარად დაზიანებული, რომ მისი უკან დაბრუნება შეუძლებელი გახდეს (შედარებისათვის სამოქალაქო კოდექსის 621-ე მუხლის პირველი აბზაცი). ეს ვალდებულება N-მა დაარღვია. ყინვისას და სხვა მსგავსი მოძრაობის შემთხვევებელი გარემოებებისას მძღოლი ვალდებულია ატაროს მანქანა ისე, რომ მანქანის დაზიანება გამოირიცხოს. განსაკუთრებულ

შემთხვევებში, თუ საქმე საქმეზე მიდგა, მან უნდა დააყენოს მანქანა. აქედან გამომდინარე N-ი ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

- ვალდებულება: N-ისათვის ეს ავტოსაგზაო შემთხვევა მოულოდნელობა არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველა მძღოლმა იცის, რომ ყინვისას შეიძლება მანქანა მოუსრიალდეს. ამ ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება იყო შესაძლებელი, რადგანაც N-ს შეუძლო ან ძალიან ნელა ეტარებინა მანქანა ან საერთოდ დაეყენებინა იგი. შესაბამისად N-ი სულ მცირე გაუფრთხილებლად მოიქცა.

გ) ზიანი და მიზეზ-შედეგობრიობა (კაუზალობა): წარმოიშვა ზიანი, რომელიც ვალდებულების დარღვევით იყო გამოწვეული.

შესაბამისად, N-ს ეკისრება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

2) მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად (დელიქტი)

ა) მართლსაწინააღმდეგო მოქმედება: რადგანაც N-მა მანქანაზე კონტროლი დაკარგა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას რაიმე ქმედება არ ჩაუდენია. სინამდვილეში კი ზიანის გამომწვევი ქმედება იყო ყინვისას მანქანის ტარება, თანაც გზის მდგომარეობის შეუსაბამო სიჩქარით.

რადგანაც A-ს საკუთრება – აბსოლიტური სამართლებრივი სიკეთე – დაზიანდა, მართლსაწინააღმდეგობრიობა სახეზეა.

ბ) ბრალეულობა: როგორც ზევით ავლნიშნეთ, N გაუფრთხილებლობით მოქმედებდა

გ) მიზეზ-შედეგობრივი ზიანი: ზიანი არის N-ის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგი.

შედეგად უნდა ითქვას, რომ A-ს გააჩნია N-ის მიმართ მოთხოვნის უფლება, როგორც სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი აბზაცის, ასევე სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად. ორივე მოთხოვნის უფლება ერთმანეთის კონკურენციას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი განხორციელება ერთმანეთის გვერდიგვერდ შესაძლებელია. რა თქმა უნდა, A-ს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მხოლოდ ერთხელ მოითხოვოს, ესე იგი ან ხელშეკრულებიდან ან კანონისმიერი აკრძალული ქმედებიდან. პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლეს შეუძლია ორიდან ერთ-ერთს დაეყრდნოს.

B. N-ის მოთხოვნა A-ს მიმართ სხეულის დაზიანების გამო

1) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები:

თხოვნის ხელშეკრულებიდან არ ჩანს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება დაირღვა. არ არსებობს არც არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა იყო შეგედი მანქანის ტექნიკური გაუმართაობისა. ამდენად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები გამოირიცხება.

2) დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნები:

ა) მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან იმის გამო გამოირიცხება, რომ საგზაო სატრანსპორტო შემთხვევასთან დამოკიდებულებაში A-ს ქმედება სახეზე არ გვაქვს. ის ურთიერთდამოკიდებულება, რომ A-მ N-ს მანქანა ათხოვა, თეორიულად შეიძლება ყოფილიყო მნიშვნელოვანი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ფაქტი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის არ არის და არც ადეკვატურ ურთიერთდამოკიდებულებაშია მომხდართან.

ბ) N-ს შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის აბზაც 1-დან გამომდინარე...

- (1) ავტომანქანა არის სატრანსპორტო საშუალება, რომლის დანიშნულებაც არის ადამიანების ან რაიმე სახის საქონლის გადატანა.
- (2) A არის მანქანის მქონებელი (Halter)
- (3) სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი აბზაციით დაცული სამათლებლივი სიკეთის დაზიანებაც გვაქვს სახეზე, რადგანაც N-მა მიიღო სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანება.
- (4) ეს ზიანი წარმოიშვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციისას.
 - ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტომანქანა დაქოქილ მდგომარეობაში იღებდა სატრანსპორტო მოძრაობაში მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, ინციდენტის დროს ის ხმარებაში იყო.
 - ასევე მოხდა ის, რომ სამართლებლივ სიკეთე „სატრანსპორტო საშუალებაში“ მოაზრებული საფრთხე განხორციელდა.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი აბზაცი ითვალისწინებს ბრალის გარეშე მოქმედებას, რადგანაც პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის. ამით არის ეს ნორმა გადახვევა იმ სამოქალაქო სამართლებლივი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო დაზიანებულს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული. მაშასადამე სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის (Halter) განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. ამ გამონაკლისს შემდეგი აზრი უდევს საფუძვლად: სატრანსპორტო საშუალება, ამ შემთხვევაში კი მსუბუქი მანქანა, არის ყოველთვის პოტენციური საფრთხის წყარო. მისი მოხმარება არის საფრთხის წყარო ავტო-სატრანსპორტო მოძრაობის სხვა წევრებისათვის. მიუხედავად ამისა, ასეთი პოტენციური საფრთხის წყაროების მოხმარება სამართლებლივად ნებადართულია. როგორც კომპენსაცია ამ სატრანსპორტო საშუალებებიდან წარმოშობილი საფრთხისა, ძლიერდება მათი პასუხისმგებლობა, ვინც ასეთი საგნების მოხმარებით საფრთხის წყაროს ქმნის, ამ შემთხვევაში მანქანის მქონებლის (Halter). სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი არის ნებადართული საფრთხისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი და ამიტომაც საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა.

ამ ნორმის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებულის პიროვნებაში რეალიზება ჰპოვა იმ საფრთხემ, რომლის თავიდან აცილებაც კანონმდებელს სურდა.

საფრთხის წარმოშობისათვის პასუხისმგებლობის დამასაბუთებელი ნორმების ადეკვატური მიზეზმდეგობრიობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ზიანის წარმოშობისას საშიშროების ბაზისი ტიპიური საფრთხე, ამ შემთხვევაში ავტომანქანიდან გამომდინარე საფრთხე, დაზარალებულის პიროვნებაში განხორციელდება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სათუთა. მართალია შეიძლება ითქვას, რომ ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა იყო ტიპიური შედეგი ავტომანქანიდან გამომდინარე საფრთხის რეალიზებისა (ყინვაში მანქანაზე კონტროლის შესაძლებელი დაკარგვა), მაგრამ სათუთა, ჰპოვა თუ არა განხორციელება ამ საფრთხემ დაზარალებულის პიროვნებაში.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე, ასევე 1000-ე, 1003-ე და 1004-ე მუხლებში ჩადებული იდეა არის, რომ ხდება მესამე (არამონაწილე) პირების დაზიანება: ერთ მხარეს დგანან ისინი, ვინც თავის თავს მათი კონტროლის სფეროდან გამოსული (მათ მიერ არაკონტროლირებადი) საფრთხის ქვეშ ხედავენ. მეორე მხარეს დგანან ისინი, ვინც ამ საფრთხის წყაროს ყიდვით, გამოყენებით და მოხმარებით პროფიტირებს. რადგანაც ეს უკანასკნელი ამ რისკის ფაქტორს ქმნის და ხელს უწყობს, სამართლიანია ალბათ მას დაეკისროს ვალდებულება დაამტკიცოს, რომ ამ რისკის განხორციელება მისი ბრალი არ ყოფილა. როგორც წესი, ესენი არიან ავტომანქანის მომხმარებელი (999-ე მუხლი), სახიფათო ნივთის გამომყენებელი და მფლობელი (1000-ე მუხლი), ცხოველის მფლობელი (1003-ე მუხლი) ან ნაგებობის/შენობის მესაკუთრე (1004-ე მუხლი).

ვინაიდან კანონში არ არის კონკრეტულად მითითებული, გაურკვეველია, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება მანქანის მძღოლი, რომელიც თვითონ ამ მანქანის მქონებელი არ არის. ნორმის სიტყვასიტყვით განმარტებით მას შესაძლოა ჰქონოდა მოთხოვნის უფლება თავისით გამონვეული ზიანის შემთხვევაში უშუალოდ მანქანის მქონებლის მიმართ. ნორმის აზრისა და მიზნის განმარტებით ის მიეკუთვნება მათ რიცხვს, რომლებიც საფრთხეს აკონტროლებენ და რიგ შემთხვევებში კი ამ საფრთხის განხორციელებისათვის არიან პასუხისმგებელნი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის გამოყენების სფერო მიზნობრივად იქნეს რედუცირებული („თელეოლოგიური“), ესე იგი არ იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც მძღოლი ავტომობილის მქონებელს სთხოვს პასუხს თავისივე ზიანის გამო.

ამ კონკრეტული მაგალითისათვის ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის გამოყენების სფერო თელეოლოგიური შემცირების გამო არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომლებშიც მძღოლი მქონებელს საფრთხის გამო პასუხისმგებლობის ნიშნით რაიმეს სთხოვს, როდესაც თვითონ მძღოლს შეიძლება დაბრალდეს ვალდებულების დარღვევა. შედეგად უნდა ითქვას, რომ N-ს არ აქვს თავისი დაზიანების გამო მოთხოვნის უფლება A-ს მიმართ.

C. E-ს მოთხოვნის უფლება A-ს მიერ მისი ავტომანქანის დაზიანების გამო N-ისა და A-ს მიმართ.

1) N-ი პასუხს აგებს E-ს წინაშე სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით.

N-მა თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყინვაში არასათანადო სიჩქარით მოძრაობდა, გამოიწვია E-სათვის ზიანი, რომელიც ადეკვატურად მიზეზშედეგობრიობრივი იყო და რომლის გამოც E-ს ავტომანქანა დაზიანდა.

დაისმის კითხვა, როგორ იმოქმედებს საქმის მიმდინარეობაზე ის, რომ E-ს ავტომანქანა ტროტუართან აკრძალვის მიუხედავად იდგა. E-ს რომ შეესრულებინა ვალდებულება და თავისი ავტომანქანა იქ არ გაეჩერებინა, სადაც ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოხდა, მისი ავტომანქანა არ დაზიანდებოდა. აქედან გამომდინარეობს, რომ ზიანის წარმოშობაში E შესაძლოა თანამონაწილე იყოს. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და მისი შემდგომი მუხლები არ შეიცავენ იმის რეგულირებას, თუ როგორ უნდა მოგვარდეს შემთხვევები, როდესაც არსებობს ზიანის გამომწვევი თანამონაწილე. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების ზოგად ნორმებს უნდა მივმართოთ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი აბზაცი. ამ ნორმის გამოყენებას მივყავართ ზიანის გაყოფასთან ზიანის გამომწვევი მიზეზის მასშტაბის და ორმხრივი ბრალეულობის ხარისხის შესაბამისად. თუ ვიტყვით, რომ როგორც N-ი, ასევე E გაუფრთხილებლობით მოქმედებდნენ, მათი წვლილი ამ შემთხვევის გამომწვევაში დაახლოებით ერთნაირია, ამიტომ სამართლიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მათ შორის თანაბრად უნდა გაიყოს (50:50).

2). A პასუხს აგებს E-ს მიმართ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის შესაბამისად.

E-ს ავტომანქანა დაზიანდა სატრანსპორტო საშუალების მოხმარების გამო (A-ს ავტომანქანა) და A არის ამ ავტომანქანის მქონებელი/მფლობელი. ავტომანქანის მოხმარებაში მოაზრებული საფრთხე დაზარალებული A-ს წინააღმდეგაც იქნა განხორციელებული.

ასევე შესაძლებელია, გვაქვს თუ არა სახეზე „პასუხისმგებლობის გამორიცხვა“ (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მეორე და მესამე აბზაცი). ამკარაა, რომ მეორე აბზაციით გათვალისწინებული შემთხვევა სახეზე არ არის.

ფორსმაჟორული შემთხვევის არსებობა ასევე გამორიცხულია. ასეთი შემთხვევა გულისხმობს, რომ მიუხედავად ავტომანქანის დიდი გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში ფორსმაჟორული შემთხვევა სახეზე არ გვაქვს, რადგანაც ყურადღებიანი მძღოლი ან ძალიან ნელა ივლიდა ან მანქანას საერთოდ გააჩერებდა. A

A-საც შეუძლია ასევე დააბრალოს E-ს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლიდან გამომდინარე ავტოსაგზაო შემთხვევის გამონწვევის თანამონაწილეობა.

შედეგად E-ს შეუძლია N-ისა და A-სგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ნახევრის ანაზღაურება როგორც სოლიდარული მოვალეობა (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი აბზაცი).

D. ბალში წარმოშობილი ზიანის საფუძველზე V-ს მოთხოვნის უფლება N-ისა და A-ს მიმართ.

1) N-მა შესაძლოა პასუხი აგოს V-ს წინაშე სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით.

ა) ქმედების მართლსაწინააღმდეგობა მტკიცდება V-ს საკუთრებისათვის მიყენებული ზიანით, რადგანაც უცნობი მძღოლის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისას ამგვარი მოქცევის მიზეზი N-ისაგან გამონწვეული ავტოსაგზაო შემთხვევა იყო.

ბ) ეკვივალენტურობასთან დაკავშირებული მიზეზ-შედეგობრიობაც სახეზეა. N-ს რომ არ გამოენვია ეს ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა, V-ს ბალსაც არავინ დააზიანებდა.

გ) გასარკვევია N-ის მოქმედების კვალიფიკაცია ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობის თვალსაზრისით.

ზემოთ უკვე ნახსენები ადეკვატური მიზეზ-შედეგობრიობის მოძღვრების განხილვისას საუბარი მთლიანობაში შეუძლებელია, ობიექტურად არაპროგნოზირებადი გარემოებების გამორიცხვაზე.

ამის მიხედვით მიზეზ-შედეგობრიობა სახეზეა, რადგანაც თუ ვინრო ქუჩაზე მოხდება ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა, ადვილი წარმოსადგენია, რომ საგზაო მოძრაობის შემდგომი გაგრძელების მიზნით ავტომანქანებმა შემთხვევის ადგილს შემოუარონ და მესამე პირებს ზიანი მიაყენონ. ასევე შეიძლება არსებობდეს იმის არგუმენტები, რომ ეს ზიანი არის შედეგი საგზაო მოძრაობის წევრების თვითნებური სამართალდარღვევისა და ამიტომ ეს შედეგი არ შეიძლება მივანეროთ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის გამომწვევს.

აქ ჩანს, რომ ერთი სწორი გადაწყვეტილება ამ კონკრეტულ შემთხვევას არ აქვს. ამ საკითხის სწორი ინტერპრეტირება უზენაესი სასამართლოს პრეროგატივაა.

2) A-ს პასუხისმგებლობა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად სავარაუდოდ გამოირიცხება, რადგანაც ზიანის გამომწვევი აღარ ყოფილა ამ შემთხვევაში ხშირად ნახსენები ავტომანქანა (ეს ავტომანქანა ხომ ავტო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო გაჩერებული იდგა), არამედ ზიანის მიყენება მოხდა სხვა მოქმედი სატრანსპორტო საშუალებების მიერ.

შედეგად უნდა ითქვას, რომ N-ი V-სათვის მიყენებული ზიანისთვის არის პასუხისმგებელი.

მაგალითი 9: M ჩვილი ბავშვისათვის საკვებს აწარმოებს. ამ პროცესში იგი სხვა საშუალებებს შორის ასევე შაქრით გაჯერებულ ჩაის ფხვნილსაც აწარმოებდა, რომლითაც, ცხელი წყლის შერევით, ჩვილი ბავშვისათვის ჩაი მზადდება. იგი ჩვილი ბავშვისათვის ე.წ. სატყუარიანი ბოთლებსაც ამზადებს, რომლიდანაც ბავშვებს ჩაის დალევს შეუძლიათ. ეტიკეტზე განთავსებულია ინფორმაცია, რომ ჩაიში შემავალი შაქარი ჩვილი ბავშვების კბილების ჩამოყალიბების პროცესისათვის შესაძლოა მავნებელი იყოს, მართლაც რომ წვრილი ასოებითაა გაკეთებული. S-ის დედა ამ ჩაისა და სატყუარიანი ბოთლებს L-ის მაღაზიაში ყიდულობდა და წლების მანძილზე S ბოთლიდან ასმევდა, იმავდროულად, როგორც ბევრი დედა, ისიც ბავშვს ჩაით სავსე ბოთლს სატყუარას შემცვლელად აძლევდა და ხშირად მთელი ღამის განმავლობაში თან უტოვებდა. მომრავლებული კარიესის შემთხვევების გამო წარსულში, სამედიცინო ჟურნალებში, ამ თემის ირგვლივ ხშირად მიმდინარეობდა დისკუსია. ოთხი წლის ასაკში S-იც მწვავე კარიესით დაავადდა, რომელმაც ასევე 2 ამომავალი კბილიც დაუზიანა. S M-გან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (ფიზიკური ზიანის) ითხოვს.

- ა. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა გამოირიცხება, რადგანაც ხელშეკრულება მხოლოდ M-სა და L-ს შორის არსებობს.
- ბ. შესაძლოა შ მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის (პასუხისმგებლობა პროდუქტის ხარისხის გამო) საფუძველზე გააჩნდეს. ამისათვის საჭიროა, რომ პროდუქტი (ჩაი და სატყუარიანი ბოთლი) ნაკლოვანი იყოს.
1. ჩაი და ბოთლი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1011-ე მუხლის აზრით პროდუქტებს წარმოადგენენ, რადგანაც აქ საუბარია მოძრავ ნივთებზე და იმავე ნორმის ლოგიკით ჩაიც არ წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს.
 2. იმის გარკვევა, მართლაც ნაკლოვანი იყო თუ არა ეს პროდუქტები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით უნდა მოხდეს. ამ ნორმის მიხედვით პროდუქტი ნაკლოვანად შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი იმდენად სანდო არაა, როგორც ყოველი გარემოების გათვალისწინების შედეგად უნდა იყოს.

ამგვარი დეფინიციის მიხედვით არ შეიძლება ითქვას, რომ ჩაის ფხვნილი ნაკლოვანია, რადგანაც იგი თავისთავად ჯანმრთელობისათვის სახიფათო არაა.

იგივეს თქმა შეიძლება სატყუარიან ბოთლზეც, რომელიც ასევე არ არის ნაკლოვანი (სხვაგვარად იქნებოდა მაგ. პროდუქტი ადვილად მტვრევადი რომ ყოფილიყო).

ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა ჩაი და ბოთლი ერთ პროდუქტად აღვიქვათ და ამგვარად დავადგინოთ მათი ნაკლოვანება.

მაშინ როდესაც, როგორც ამ შემთხვევაში, ორივე პროდუქტი ერთი მწარმოებლის მიერაა წარმოებული და ბრუნვაში გაშვებული და გამოყენების წესების თანახმად რეკომენდირებულია მათი ერთობლივად გამოყენება, მართებულად გვეჩვენება, ნაკლოვანების საკითხის მათი ერთობლივი გამოყენების კუთხით დასმა [გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ე.წ. ჰონდას შემთხვევაში, შესაძლებლად დაუშვა, ორი სხვადასხვა მწარმოებლი პროდუქტის ერთობლივად განხილვაც კი – BGHZ 99, S. 166 ff.].

მინც სადაოა არის თუ არა ჩაი და ბოთლი, როგორც ერთი პროდუქტი, ნაკლოვანი. დანიშნულებისამებრ გამოყენებისას, ანუ ყოველდღიურობაში ბავშვების გამოსაკვებად (სითხის მისაღებად), ამ პროდუქტის გამოყენებისას ბავშვისათვის საფრთხე არ წარმოიშობა. საზიანო ზემოქმედება იმ გარემოების გამო წარმოიშვა, რომ ბოთლისა და ჩაის კომბინაცია გამოყენებულ იქნა როგორც ბავშვის ღამე დამამშვიდებელი საშუალება და ამგვარად შექრიანი ჩაი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა ბავშვის კბილებზე.

ამოტომ პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის მიხედვით ძნელად დასამტკიცებელია (გამოირიცხება)

- გ. შესაძლოა M-ს ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ეკისრებოდეს.
1. ამ შემთხვევაში საჭიროა რომ სახეზე გვექონდეს M-ის ქმედება; მართალია ქმედება შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ M-მა ფხვნილი და ბოთლი ბრუნვაში გაუშვა, მაგრამ ამ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს მისი ქმედების კანონსაწინააღმდეგობა, რადგანაც აბსოლიტური უფლებების, კანონის ან სახელშეკრულებო ვალდებულებების მისი მხრიდან დარღვევის დამტკიცება შეუძლებელია (არ მომხდარა). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლის ირგვლივ ზევით წარმოდგენილი მსჯელობა გვაჩვენებს, რომ M-ს ბაზარზე არ გაუტანია ნაკლოვანი ნივთი. ამგვარად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის რელევანტურობისათვის აუცილებელი კანონსაწინააღმდეგო ქმედების, იგივე მიზეზების გამო არსებობა, გამოირიცხება.

M-მა პასუხი შესაძლოა უმოქმედობის გამო აგოს, თუ მან ბრუნვაში არსებული ვალდებულებები დაარღვია (იხილე ზევით მაგალითი 2). ამისათვის იგი ვალდებული უნდა ყოფილიყო შეესრულებინა ზიანის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ქმედება. მწარმოებლის ამგვარ ვალდებულებას გერმანიის უზენაესი სასამართლო ე.წ. პროდუქტზე დაკვირვების ვალდებულებაში ადასტურებს. ვინც რაიმე პროდუქტს ბრუნვაში უშვებს, მხოლოდ იმით არ უნდა დაკმაყოფილდეს რომ პროდუქტი ნაკლოვანებებზე შეამოწმოს, არამედ იგი ასევე ვალდებულია, დააკვირდეს მომხმარებელთა მიერ პროდუქტის გამოყენების პროცესს და თუ საჭირო გახდა, ზიანის დადგომა, გამოყენების კონკრეტული წესების დადგენით აიცილოს თავიდან.

ეს წესი რომ არ არსებობდეს, პროდუქტის ხარისხის გამო პასუხისმგებლობის სამართალში საკმაოდ დიდი ჭრილი გაჩნდებოდა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1010 მუხლის ნაკლოვანების ცნებიდან გამომდინარე, მწარმოებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევებზე გავრცელდებოდა, როდესაც პროდუქტს ნაკლი პირდაპირ შეიძლება მიენეროს. ამიტომ ის ზიანი, რომელიც მომხმარებელს შესაძლოა თავისთავად უნაკლო პროდუქტის გამოყენების შედეგად მიადგეს, ამ რეგულირების მიღმა რჩება. მაგრამ, რადგანაც მწარმოებელი საკმაოდ ხშირად, ბრუნვაში გაშვებული პროდუქტის შესახებ მომხმარებლისაგან მრავლად იღებს გამომხაურებას, მაშინ როდესაც მომხმარებელი მხოლოდ მის პროდუქტს იცნობს, მწარმოებელს ერთგვარი ინფორმაციული ფორა გააჩნია, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე მას ავალდებულებს, გაამჟღავნოს პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებული გამოცდილება.

პროდუქტზე დაკვირვების ვალდებულების შედეგად მწარმოებელი ვალდებულია, მომხმარებლის მიერ პროდუქტის გამოყენების პროცესს დააკვირდეს და თუ გახშირდება პროდუქტის მიერ ზიანის გამონვევის შემთხვევები, შეცვალოს პროდუქტი ან თუნდაც მიუთითოს (გააცნოს) მომავალ მყიდველს ამ პროდუქტის განსაზღვრულად გამოყენებასთან დაკავშირებული რისკის შესახებ.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში M-ს სამედიცინო ჟურნალებში გამართული დისკუსიიდან უნდა სცოდნოდა, რომ ბევრი დედა სატყუარიანი ბოთლით ბავშვებს დასამშვიდებლად შაქრიან ჩაის აძლევდნენ და რომ ამ ფაქტის შედეგად ბავშვებში კარიესის შემთხვევები გახშირდა. ამიტომ M-ს უნდა განესაზღვრა, რომ მის მიერ ბოთლზე გაკეთებული გამაფრთხილებელი წარწერა არასაკმარისად თვალშისაცემი იყო ან მთლიან ტექსტში მისი აღქმა საჭირო სიცხადით ვერ ხერხდებოდა. რადგანაც შ შეუძლია მტკიცებულების წარმოდგენა, რომ მას კარიესის დაავადება M-ს მიერ წარმოებული ჩაისა და ბოთლის გამოყენების შედეგად გაუჩნდა, M საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულია აუნაზღაუროს მას მიყენებული ზიანი.

სააღსრულებო სამართალი

ნაწილი I

სააღსრულებო სამართლის საფუძვლები

I. იძულებითი აღსრულება, როგორც საჯარო სამართლის ნაწილი

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ სააღსრულებო სამართლის პრობლემები და არ მივიჩნიოთ ისინი მხოლოდ ტექნიკურ საკითხებად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავიაზროთ ზოგადად სამართლებრივ სისტემაში სააღსრულებო სამართლის ადგილთან დაკავშირებული დოგმატური საკითხი.

თუ კლასიკური სამართალმცოდნეობის მოძღვრების თანახმად სამართალს დავყოფთ სამ სფეროდ, მაშინ ერთ-მანეთისაგან გაიმიჯნება კერძო სამართალი (სამოქალაქო სამართალი, საჯარო და სამეწარმეო სამართალი), სისხლის სამართალი და ე.წ. საჯარო სამართალი (საერთაშორისო სამართალი, სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი და საგადასახადო სამართალი). ამ დავყოფის ფარგლებში სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სახელმწიფოს ბრძანებების (მაგ: სასამართლო გადაწყვეტილებები, განჩინებები, ადმინისტრაციული აქტები და ა.შ.) „იძულების ძალით“ განხორციელება. თუმცა, აღნიშნულთან წინააღმდეგობაში არ მოდის ის გარემოება, რომ სააღსრულებო ღონისძიებების შედეგები ნაწილობრივ კერძოსამართლებრივია, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება კერძოსამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ის, რომ სააღსრულებო ორგანოებს თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებისას შეუძლიათ „იძულებითი ღონისძიებების“ გატარება (მაგალითად: მესაკუთრეს ნების წინააღმდეგ მისი საკუთრების დაყადაღება, ბინიდან იძულებითი გამოსახლება, ზოგ შემთხვევაში ფიზიკური ძალის გამოყენებაც ხელშემშლელის ან წინააღმდეგობის გამწევი პირის მიმართ) ლეგიტიმურია არა კრედიტორის კერძოსამართლებრივი მოთხოვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილებით.

ასევე სამოქალაქო პროცესიც, ისევე, როგორც ყველა საპროცესო კანონი, არის საჯარო სამართლის ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხება კერძოსამართლებრივი დავების გადამწყვეტას.

1. სახელმწიფოს ნებისმიერი ქმედების კონსტიტუციურობის მოთხოვნა

ისევე როგორც სახელმწიფოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, სააღსრულებო ორგანოების, როგორც სახელმწიფოს ორგანოების მოქმედებაც, უნდა იყოს კონსტიტუციასთან შესაბამისი და აღსრულების სფეროში გამოცემული რეგულირებებით (განსაკუთრებით კი სააღსრულებო კანონით) სათანადოდ უნდა იცავდეს აღსრულების წარმოების ყველა მონაწილის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. იძულებითი აღსრულება, ანუ ხელისუფლების მხრიდან მოვალის, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქის მიმართ განხორციელებული მოქმედება, განსაკუთრებულად არის შელუღული კონსტიტუციით გათვალისწინებული ფარგლებით, რომლებიც ვრცელდება სახელმწიფოს ჩარევებზე მოქალაქეთა ძირითადი უფლებების სფეროში. აქედან გამომდინარე, არ იქნება მართებული, სააღსრულებო სამართალს შევხედოთ მხოლოდ იმ პერსპექტივიდან, თუ როგორ შეუძლია კრედიტორს ყველაზე სწრაფად დაიკმაყოფილოს, განახორციელოს თავისი მოთხოვნა, რაც, თავისთავად ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია სააღსრულებო სამართლისა. წარმოების ყველა მონაწილის (სააღსრულებო წარმოებაში ესენი არიან: კრედიტორი, მოვალე და შესაძლო დაინტრესებული მესამე პირიც) უფლებათა სწორი ბალანსის მიღწევა არის ასევე საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა. ჩარევა მოვალის ძირითად უფლებაში არ შეიძლება გასცდეს იმას, რაც აუცილებელია სააღსრულებო წარმოების სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიზნებისათვის. მეორე მხრივ

კი, კრედიტორის მოთხოვნას – სახელმწიფოს დახმარებით განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების მიერ (გადაწყვეტილებით) ტიტულირებული, დადასტურებული მოთხოვნა – აქვს ძირითადი უფლების რანგი: სახელმწიფომ, რომლის ხელშიც კონცენტრირებულია იძულებითი ღონისძიებების განხორციელების და მათ შორის იძულებითი აღსრულების განხორციელების მონოპოლია, კრედიტორის სასარგებლოდ, რომელსაც ხელთ აქვს სააღსრულებო დოკუმენტი (მაგ. სასამართლო გადაწყვეტილება) სააღსრულებო სამართლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, რაც ასევე მოიცავს მოვალის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, უნდა უზრუნველყოს ამ დოკუმენტირებული მოთხოვნის განხორციელება (აღსრულება). პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ ყველა მოქალაქისათვის თანაბრად უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაცია, სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მან მთლიანად არ დათმოს იძულებითი აღსრულების სამართალი, როგორც ზემოთ აღნიშნული მონოპოლიის ნაწილი. აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან შეუსაბამო იქნებოდა სააღსრულებო სამართლის სრული პრივატიზაცია. აღმასრულებლების მიერ ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება უნდა იდგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად „კერძო აღმასრულებლების“ თავში მოგახსენებთ.

2. თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინება სახელმწიფო

ქმედების ფარგლებში

თანაზომიერების პრინციპი, რომელიც მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებით უნდა გამოვყო, არის ყველა სამართლებრივი სახელმწიფოს ორგანული შემადგენელი ნაწილი. განსაკუთრებით სააღსრულებო სამართალში, სადაც გვაქვს და უნდა გვქონდეს შესება (სააღსრულებო წარმოებათა ჯეროვანი განხორციელების მიზნით) ისეთ ძირითად უფლებებთან, როგორცაა საკუთრება, თავისუფლება, საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რიგ შემთხვევებში ასევე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეუვალობა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს თანაზომიერების პრინციპი, რომელიც ვრცელდება სახელმწიფოს მიერ მოქალაქის მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე: როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩარევა მოვალის ძირითად უფლებაში არ შეიძლება გასცდეს იმას, რაც აუცილებელია სააღსრულებო წარმოების სახელმწიფოს მიერ აღიარებული მიზნებისათვის. ასევე დაუშვებელია, მოვალის მხარეს მოხდეს იმაზე მაღალი სიკეთისა და უფლების ხელყოფა, ვიდრე ის უფლებები, რომლებიც საფუძვლად უდევს კრედიტორის აღსასრულებელ მოთხოვნას. ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი სწორედ აღნიშნულ პრინციპს გამოხატავს. მეორე მხრივ კი, არც ისე უნდა მოხდეს, რომ კრედიტორის კონსტიტუციით დაცული და გათვალისწინებული მოთხოვნა არ აღსრულდეს მოვალის დაზოგვის გამო. აღნიშნული ნათლად ჩანს სტრასბურგის ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ არც თუ ისე მცირე რაოდენობის გადაწყვეტილებაში, რომლებიც ეხება სააღსრულებო ბიუროების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებების აღსრულებაზე უარის თქმის შემთხვევებს.

ამგვარად, წარმოების მონაწილეთა დაცულ პოზიციებს შორის აუცილებელია ბალანსი, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ რეალური ნეიტრალურობის გზით. აღმასრულებელი, რომელიც ახლოს დგას რომელიმე მონაწილესთან და რიგ შემთხვევაში ფინანსურადაც კი არის მასზე დამოკიდებული, ვერ მოახერხებს აღნიშნული ბალანსის მიღწევას.

3. სამოსამართლო კონტროლის გზით უფლების ეფექტიანი დაცვის პრინციპი

ვინაიდან იძულებითი აღსრულება, როგორც წესი, ვერ ხორციელდება უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევის გარეშე, აუცილებელია მისი ეფექტიანი სასამართლო კონტროლი წარმოების დასაწყისიდან, მის ყველა სტადიაზე. ამას ითხოვს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი. სამართლებრივი საშუალებები სააღსრულებო წარმოების ფარგლებში უნდა უზრუნველყოფდეს, რომ, ერთი მხრივ, არ გაჭიანურდეს იძულებითი აღსრულება და შეძლებისდაგვარად სწრაფად და სრულად განხორციელდეს

კრედიტორის მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, მოვალეს ან დაინტერესებულ მესამე პირს უნდა შეეძლოს კანონით გაუთვალისწინებელი ჩარევებისაგან თავის დაცვა. სახელმწიფო ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობაზე მითითებით. აღნიშნულ საკითხს მოგვიანებით უფრო დეტალურად შევხებით, ხოლო ამ ეტაპზე, ზოგადად უნდა ითქვას, რომ **სააღსრულებო სისტემა გამართულად ვერ იარსებებს და იმუშავებს დამოუკიდებელი და ეფექტიანი მართლმსაჯულების გარეშე.**

4. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სააღსრულებო სამართლის ფარგლებში

ვინაიდან იძულებითი აღსრულების განხორციელება სახელმწიფო მოხელეებისა თუ სახელმწიფოს დავალებით თავისუფალი პროფესიის პირების მიერ მიიჩნევა სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო ქმედებად, სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხი მისი ორგანოების შეცდომებზე (რომლებიც ვერ გამოსწორდება სამართლებრივი საშუალებების დახმარებით). ამრიგად, აქ ნებისმიერ შემთხვევაში ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და მე-9 მუხლები. აღნიშნული განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც იძულებითი აღსრულების სექტორი გადაეცემა თავისუფალი პროფესიის ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ საკუთარი ანგარიშით, როგორც ეს 2009 წელს საქართველოში მოხდა. რაც უფრო უკეთესი და ეფექტიანი სასამართლო კონტროლი წარმოების მიმდინარეობისას, მით უფრო მცირეა საფრთხე იმისა, რომ ბოლოს დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

II. იძულებითი სამართლი, როგორც იძულების განხორციელების (ძალის გამოყენების)

სახელმწიფო მონოპოლიის გამოხატულება

1. იძულებითი აღსრულება არის ყოველთვის „მოქალაქეთა იძულება“ (ძალის გამოყენება მოქალაქეთა მიმართ)

„იძულება (ძალის გამოყენება)“ არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ ზემოქმედებას ან პირის მიმართ მექანიკური საშუალებების გამოყენებას, არამედ გულისხმობს ასევე უფლებებში ჩარევას, მათ ხელყოფას, მაგალითად, როგორცაა საკუთრება, საცხოვრებელი, თავისუფლება, პიროვნული უფლებები (შეზღუდვის მაგალითი – მოვალეთა რეესტრი). ამგვარად, იძულებითი აღსრულება (მოვალის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებისაგან განსხვავებით) თითქმის წარმოუდგენელია „იძულების (ძალის გამოყენების)“ გარეშე, ამ ცნების ფართო გაგებით. ასეთი მექანიზმების გამოყენება კი საჭიროებს დეტალურ მონენსრეგებას კანონის დონეზე.

2. იძულების განხორციელების (ძალის გამოყენების) სახელმწიფო მონოპოლია

იძულების განხორციელების (ძალის გამოყენების) სახელმწიფო მონოპოლია მე-19 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული არის სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძვირფასი მონაპოვარი. მხოლოდ სახელმწიფოა უფლებამოსილი მოქალაქეთა დავებში წესრიგი აღადგინოს და დაიცვას იძულების (ძალის გამოყენების) გზით. აქ შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ დუელების აკრძალვა, სისხლის აღების აკრძალვა, კერძო არმიის აკრძალვა და ა.შ. იძულებითი აღსრულების სახელმწიფო ინსტიტუტის შემოღებაც აღნიშნული მონოპოლიის გამოვლინებაა. ის, რომ სააღსრულებო ორგანოებს უფლება აქვს, თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას გამოიყენოს „იძულება (ძალა)“, ვერ იქნება ლეგიტიმირებული კრედიტორის კერძოსამართლებრივი დაკვეთით ან მისი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნით, არამედ არის მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სააღსრულებო კომპეტენციის გამოვლინება.

3. იძულებითი აღსრულების „პრივატიზაციის“ შესაძლებლობები და ფარგლები

იძულებითი აღსრულების მთლიანად დათმობა სახელმწიფოს მიერ და აღნიშნული სფეროს სრული გადაცემა „კერძო აღმასრულებლებისათვის“ იქნებოდა ერთი ნაბიჯი უკან სამართლებრივი სახელმწიფოს გამყარების კუთხით. ამგვარი კერძო-ეკონომიკური სისტემით აღსრულება არც ერთ ევროპულ სახელმწიფოში არ ხორციელდება. პრინციპი, რომ სახელმწიფომ ყველა მოქალაქისათვის თანაბრად უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაცია, სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მან მთლიანად არ დათმოს იძულებითი აღსრულების სამართალი.

აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან შეუსაბამო იქნებოდა სააღსრულებო სამართლის სრული პრივატიზაცია და მისი გადაცემა კერძო სექტორისათვის. სახელმწიფო კონტროლი აღმასრულებლის პროფესიის ხელმისაწვდომობაზე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აღნიშნული პროფესია იქცეს სახელმწიფო ორგანოდ. ასე ხომ არც ადვოკატები და არც ექიმები წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოებს. მაშასადამე, ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს სრული პასუხისმგებლობა აღმასრულებლის მიერ თავისი ფუნქციების ჯეროვანი შესრულებისათვის.

„კერძო აღმასრულებლისაგან“ უნდა გაიმიჯნოს „თავისუფალი პროფესიის სასამართლო აღმასრულებლის“ ინსტიტუტი, რომელიც გავრცელებულია საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდებში. ასეთი თავისუფალი პროფესიის აღმასრულებელი არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც მხოლოდ ხელფასს არ იღებს სახელმწიფოსაგან და არც საჯარო მოხელეთა იერარქიაშია გათვალისწინებული. თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების კანონებში მკაფიოდ არის გათვალისწინებული, რომ აღნიშნული პირები არამც და არამც არ არიან კერძო აღმასრულებლები, არამედ მათ აკისრიათ განსაკუთრებული საჯარო-სამართლებრივი, სახელმწიფო ფუნქცია. ამ გზით ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში ნათლად არის გამოხატული, რომ ამგვარი თავისუფალი აღმასრულებლის ინსტიტუტი არ ნიშნავს სახელმწიფოს მიერ იძულების (ძალის გამოყენების) მონოპოლიის დათმობას და იძულებითი აღსრულებაზე პასუხისმგებლობის მოხსნას. აღნიშნული ინსტიტუტის ამგვარი კონსტრუქციით სახელმწიფო იტოვებს უფლებას, განახორციელოს აღმასრულებლების საკმაოდ საფრთხილო და ძირითადი უფლებების კუთხით რელევანტური საქმიანობის ზედამხედველობა დაინტერესებული მოქალაქეების ინტერესების დასაცავად და გარკვეული მასშტაბით ასევე მათი დისციპლინური ზედამხედველობა. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს და გაღრმავდეს ნდობა მოქალაქეებისა სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების მიმართ და მოქალაქეებს არ წარმოექმნათ ზიანი იმის გამო, რომ, სახელმწიფომ თავისი ფუნქციების ერთი ნაწილის განხორციელება დაავალა თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლებს, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული საჯარო მოხელეთა იერარქიაში.

მიუხედავად აღნიშნული გარანტიებისა ზოგიერთი ქვეყნის ლიტერატურაში გამოთქმულია კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული სისტემის ფარგლებში უფრო თავშეკავებით ეკიდებიან მცირე მოცულობის (თანხობრივად) მოთხოვნების აღსრულებას (ვინაიდან აღმასრულებლებისათვის მცირედი მოთხოვნები ნაკლებად მომგებიანია) და ხშირად ასეთი მოთხოვნები პრაქტიკულად აღარ სრულდება. ამიტომ აუცილებელია საქართველოში 2009 წელს შემოღებული „კერძო აღმასრულებლის“ საქმიანობის საფუძვლიანი ზედამხედველობა და სწრაფი რეაგირება, თუკი ადგილი ექნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების სანინააღმდეგო ტენდენციებს, რის შედეგადაც აღმასრულებლის ინსტიტუტი ჩამოყალიბდება კრედიტორის პირად დამცველად. მაგალითად, საეჭვო და დამაფიქრებელი იქნება, თუ ცალკეული აღმასრულებლები მიიღებდნენ მხოლოდ გარკვეული ბანკების დავალებებს, რაც მეტყველებს დამკვეთთან გარკვეული დამოკიდებულებითი ურთიერთობის არსებობაზე და შესაბამისად ეჭვს იწვევს აღმასრულებლის ნეიტრალურობის კუთხით. ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნებოდა კერძო აღმასრულებლის საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის შემოღება, რომელიც მოქალაქეებს უჩვენებდა, რომ მხოლოდ სახელმწიფოა იძულებითი აღსრულებაზე პასუხისმგებელი. საკანონმდებლო ჩანაწერი (სააღსრულებო კანონის 1412-1414-ე მუხლები) კერძო აღმასრულებლის კონტროლთან დაკავშირებით უფრო მცირეა, ვიდრე იმ ევროპული სახელმწიფოების, რომლებიც მსგავს ინსტიტუტს იცნობენ.

ნაწილი II სააღსრულებო სამართლის საფუძვლები (გაგრძელება)

III. ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულება და გაკოტრება (მოთხოვნათა ერთობლიობის აღსრულება)

1. ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულებისა და გაკოტრების ურთიერთგანსხვავებული მიზნები

კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ანესრიგებს ცალკეული კრედიტორის მოთხოვნის განხორციელებას მოვალის მიმართ, რომელიც თავისი გადახდისუუნარობის გამო ჯერ კიდევ არ გარიყულა ეკონომიკური ცხოვრებიდან: ყოველი კრედიტორი, რომელსაც ხელთ აქვს სააღსრულებო დოკუმენტი, (ძირითადად) სხვა შესაძლო კრედიტორებისაგან დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით და სახელმწიფო სააღსრულებო ორგანოების დახმარებით ახორციელებს თავისი ტიტულირებული მოთხოვნის აღსრულებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო სააღსრულებო ორგანოების ამოცანაა, იმდენად შეზღუდოს მოვალე, რამდენადაც ეს აუცილებელია კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ამასთან, მოვალემ შეძლებისდაგვარად არ უნდა დაკარგოს ეკონომიკურ ურთიერთობებში (ცხოვრებაში) მონაწილეობის უნარი. აღნიშნულისაგან განსხვავებით, გაკოტრების კანონის მიხედვით გაკოტრების წარმოებისას მიმდინარეობს მოვალის მთლიანი ქონების ლიკვიდაცია ამისათვის სპეციალურად დანიშნული ორგანოს, კერძოდ, გაკოტრების მმართველის მიერ, რომლის მიზანია ყველა კრედიტორის დაკმაყოფილება მოთხოვნის პროპორციულად. აქ არ აქვს მნიშვნელობა იმას, მოიპოვა თუ არა ამა თუ იმ კრედიტორმა სააღსრულებო დოკუმენტი. თანამედროვე გაკოტრების წარმოება, რომელიც სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ევროპაში, გამოირჩევა შესაბამისი გადახდისუუნარო სანარმოს გადარჩენის მცდელობით, თუმცა, ამ ფუნქციასაც ახორციელებს მენეჯერი, ანუ გაკოტრების მმართველი. გაკოტრების წარმოების მსვლელობისას არ არის შესაძლებელი მოვალის ქონებიდან ცალკეული კრედიტორის ცალკეული მოთხოვნის დაკმაყოფილება იძულებითი აღსრულების გზით. ცალკეულ მოთხოვნათა იძულებითი აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ გაკოტრების წარმოების დასრულებისა და მას შემდეგ, რაც მოვალეს გაუჩნდება ახალი ქონება.

მოვალე, რომლის მიმართაც ხორციელდება ცალკეული კრედიტორის მოთხოვნის იძულებითი აღსრულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ უნდა გამოეთიშოს ეკონომიკურ ცხოვრებას, რათა მან შეძლოს საქმიანობის გაგრძელება, ახალი საქმეების წამოწყება, მიიღოს შემოსავლები, რომლებიც იქნება მის კრედიტორთა დაკმაყოფილების წყარო. აქ იგი თავად რჩება თავისი ქონების „მენეჯერი“. შესაბამისად, ცალკეული კრედიტორის ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულება ყოველთვის უნდა შემოიფარგლებოდეს იმით, რაც აუცილებელია კონკრეტული კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.

2. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში ავტორის მოსაზრებით ნაწილობრივ ნაშლილია ზღვარი ამ ორ ინსტიტუტს შორის და შესაბამისად დარღვეულია თანაზომიერების პრინციპი

- ა) მოვალეთა რეესტრთან დაკავშირებულ რეგულირებებში (რასაც მოგვიანებით უფრო დეტალურად განვიხილავ) მოვალე აუცილებელზე მეტად იზღუდება, რაც ასევე ზედმეტად აზიანებს მის ეკონომიკურ რეპუტაციას. მის უფლებებში ჩარევაც სცდება ცალკეული მოთხოვნის აღსრულების ფარგლებს. აღნიშნული რეგულირებები, რომლებიც უფრო მეტ ინფორმაციას ამჟღავნებს მოვალის შესახებ, ვიდრე ეს აუცილებელია, არც საქართველოს კონსტიტუციასთან უნდა იყოს შესაბამისი, რომელიც მე-2 მუხლითა და 41-ე მუხლის მე-2 ნაწილით იცავს პერსონალურ მონაცემებს. ასეთი მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი ფორმულირება არც თუ ისე ცოტა ქვეყანას შეუზღუდავდა.
- ბ) მოვალის მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული რეგულირებები, რომლებიც მოცემულია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მე-19³, მე-40, 631-ე მუხლებში, სცდება

იმას, რაც აუცილებელია ცალკეული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ცალკეული მოთხოვნის იძულებითი აღსრულების ფარგლებს ნამდვილად სცილდება მოვალის მთლიანი მოძრავი ქონების დაყადაღება. მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, სულ მცირე, ის მაინც უნდა განისაზღვროს, რომ მთლიანი მოძრავი ქონების დაყადაღება დაუყოვნებლივ დასრულდება, როდესაც შეგროვდება კრედიტორის მოთხოვნისა და აღსრულების ხარჯების დასაფარად საკმარისი ცალკეული ნივთები. ასევე უნდა განისაზღვროს ისიც, რომ განკარგვის აკრძალვა არ უნდა გავრცელდეს ისეთ ნივთებზე, რომელთა გაყიდვით თვითონ რეალიზაციის ხარჯიც კი ვერ იქნება დაფარული. უმჯობესი იქნებოდა დაყადაღება და აღწერა მიმდინარეობდეს ცალკეულ ნივთზე და არა ზოგადად მთელ ქონებაზე. მაგალითად, როდესაც გერმანიაში ყადაღდება მოვალის ქონება, იგი ხორციელდება ცალკეული ნივთების მიმართ. შემდეგში კი, როდესაც მოვალეს ეკრძალება განკარგვა, ეს აკრძალვა ვრცელდება ასევე ამ ცალკეულ ნივთებზე და არა მოვალის მთელ ქონებაზე.

IV. სააღსრულებო დოკუმენტი, როგორც იძულებითი აღსრულების საფუძველი

1. სააღსრულებო დოკუმენტის აუცილებლობასთან დაკავშირებით

ძირითადად, სამართლებრივ სახელმწიფოებში იძულებითი აღსრულება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ამისათვის სათანადო დოკუმენტის საფუძველზე. ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იძულებითი აღსრულებისას ყოველთვის საქმე გვაქვს კერძო უფლებებში სახელმწიფოებრივ ჩარევასთან, ამიტომ სააღსრულებო დოკუმენტის ფორმა და სახეობა არ არის მხარეთა შეთანხმების საგანი, არამედ მათი ფორმისა და შინაარსის განსაზღვრა აუცილებელია კანონის დონეზე. ასეთი დოკუმენტები, გარდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა (გადაწყვეტილებები, განჩინებები, მორიგებები და ა.შ), შესაძლოა იყოს ასევე კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე ადმინ. ორგანოების მიერ გამოცემული აქტები (გერმანიაში მაგ: ფინანსთა სამინისტროს, ბავშვთა და მოზარდთა მზრუნველობის სამსახურებისა, ნოტარიუსების და რიგ შემთხვევებში ასევე ადვოკატების აქტები; საქართველოში, მაგალითად, სარეგისტრაციო ტერიტორიული სამსახურების აქტები სსსკ-ის 258¹ მუხლი და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის მე-2, მე-20 და 83¹ მუხლები). ანუ ყოველთვის კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი დოკუმენტების საფუძველზეა შესაძლებელი აღსრულება და ასევე მისი მოპოვების გზასაც. საზღვარგარეთ გამოცემული დოკუმენტებიც ექვემდებარება აღსრულებას, თუ ისინი აღიარებულია, როგორც წესი, ადგილობრივი სასამართლოს მიერ. აღიარება ხდება საერთაშორისო შეთანხმებებისა თუ ხელშეკრულებების საფუძველზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში (მაგ. ევროკავშირის შიგნით, ევროკავშირის №. 44/2001 დადგენილებით, რომელიც შეეხება კერძო სამართლის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას). როდესაც მსგავსი რეგულირებები არაა მოცემული, მოქმედებს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 91-ე მუხლი ან გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 722-ე და 723-ე მუხლები.

მოკლედ რომ შევაჯამოთ: სააღსრულებო დოკუმენტი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შედგენილია არა კრედიტორის, არამედ დამოუკიდებელი და განსაკუთრებული საჯარო უფლებამოსილებითა და ნდობით აღჭურვილი ორგანოს მიერ ან მისი მონაწილეობით, ასევე სამართლებრივად მონესრიგებული წარმოების გზით და ამონებს კრედიტორის მოთხოვნასა და მის აღსასრულებლად მიქცევას.

2. სააღსრულებო დოკუმენტის განსაზღვრულობასთან დაკავშირებით

ის, რომ სააღსრულებო დოკუმენტი წარმოადგენს იძულებითი აღსრულების საფუძველს და მხოლოდ იმის ამოღებაა შესაძლებელი, რაც ამ დოკუმენტით არის გათვალისწინებული, ზემოთ უკვე ამომწურავად განიმარტა. აქედან გამომდინარე, პირს ან უწყებას, რომელსაც მინიჭებული აქვს ასეთი დოკუმენტის შედგენის

უფლებამოსილება, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. მას გადანყვეტილების ან განჩინების სარეზოლუციო ნაწილის, ან მორიგების ოქმის შედგენისას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ აღმასრულებელმა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მიხედვით უნდა შეძლოს იმის განხორციელება და აღსრულება, რაც ფორმულირებულია გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. ანუ აღნიშნულ ნაწილში აღმასრულებლისთვის და ასევე მხარეებისათვის გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რისი ამოღება (აღსრულება) შეუძლია კრედიტორის ამ დოკუმენტით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 პუნქტი). მართალია გარკვეულწილად (თუმცა შეზღუდულად) გადანყვეტილებებიც ექვემდებარება განმარტებას, მაგრამ აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც განმარტებისათვის აუცილებელი ელემენტები (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 პუნქტი) გამომდინარეობს უშუალოდ გადანყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილებიდან, ისე, რომ ნათელი იყოს, რომ ეს ელემენტები თვითონ ამ გადანყვეტილების შემადგენელი ნაწილია. განმარტების შედეგად დაუშვებელია შეიცვალოს გადანყვეტილების შინაარსი და, მაგალითად, მოვალეს დაეკისროს სხვა რამ, ვიდრე გათვალისწინებული იყო თავდაპირველად. აღნიშნული ენინააღმდეგება პრინციპს, რომ პირს, რომელმაც მოიპოვა სააღსრულებო დოკუმენტი, აქვს ნდობა მისი შინაარსის მიმართ და ასევე მეორე მხარესაც უნდა შეეძლოს იმის ვარაუდი, რომ დაცული და გათვალისწინებული იქნება გადანყვეტილებით დადგენილი ვალდებულების ფარგლები. გადანყვეტილება არ შეიძლება იყოს იმდენად ღიად ფორმულირებული, რომ მისი „შეცება“ შესაბამისი კონკრეტული შინაარსით მოხდეს უკვე აღსრულების ეტაპზე და მის ფარგლებში.

მაგალითად, არ იქნებოდა აღსრულებადი გადანყვეტილება, რომელიც თუმცა ასახელებს ზუსტ თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს მოვალემ, მაგრამ არ განსაზღვრავს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესაძლებლობის შემთხვევაში, ასეთი გაქვითვის ფარგლებს. არ შეიძლება აღმასრულებლის ამოცანა იყოს ასეთ საკითხებზე გადანყვეტილებების მიღება, ვინაიდან იგი არ არის „შემდეგი ეტაპის მოსამართლე“. მაშასადამე, გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შედგენისას მოსამართლემ თუ სხვა საჯარო მოხელემ ყოველთვის უნდა გაიაზროს, რომ ამ გადანყვეტილებით იგი არა მხოლოდ ასრულებს წინამდებარე სამართლებრივ დავას, არამედ ქმნის საფუძველს და პირველ წინაპირობას იძულებითი აღსრულებისათვის, რომელიც ხშირად მოსდევს სამართლებრივ დავებს. ადვოკატმაც უნდა გაითვალისწინოს იძულებითი აღსრულება თავის განცხადებებსა და წარდგინებებში. იგი არ შეიძლება იყოს იმის იმედად, რომ მოსამართლე აღმოაჩენს განაცხადის ხარვეზს და თავად აღმოფხვრის მას.

3. ცალკეული მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილდებდეს

სააღსრულებო დოკუმენტი:

დოკუმენტი ორი კუთხით უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული:

- ა) არ უნდა არსებობდეს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არიან **მასში დასახელებული მხარეები**, ანუ კრედიტორი და მოვალე. ამასთან, მექანიკური შეცდომა ან სახელის შემოკლება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანობაში, გადანყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე ცხადია, ვინ არიან ნაგულისხმები. სააღსრულებო დოკუმენტის „განმარტებამ“ არ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მოვალედ ან კრედიტორად დასახელდეს პირი, რომელიც არსად არ არის მოხსენიებული გადაყვეტილებაში. გერმანიის მაგალითი აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც თითქმის ყველა სამართლებრივ სისტემაში გვხვდება: დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული სახლიდან „უცნობი მაცხოვრებლების“ გამოსახლებას, არ გამოდგება აღსრულებისათვის. მოცემულ შემთხვევაში სრულიად გაურკვეველია, თუ ვინ იყო დოკუმენტის გამოცემის მომენტისათვის მაცხოვრებელი პირი და ასევე ისიც, არის თუ არა გამოსახლების დროს (თუკი მართლა უნდა მოხდეს გამოსახლება) აღნიშნულ სახლში მაცხოვრები პირი იმ პირის იდენტური, რომელიც დოკუმენტის გამოცემისას ცხოვრობდა იქ. რაც შეეხება დოკუმენტის შემდგომ გადაკეთებას, კერძოდ, სათანადო მოვალის დაფიქსირებას მას შემდეგ, რაც კრედიტორმა და მოსამართლემ არასწორი პირი დაასახელეს მოვალედ, გამორიცხულია. მაგალითი ისევ გერმანიიდან: როდესაც სასამართლო გამამტყუნებელ გადანყვეტი-

ლებას გამოიტანს ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის მიმართ და სათანადო მოვალე კი არიან ამხანაგობის ცალკეული წევრები, როგორც სოლიდარული მოვალეები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან საკუთარი ქონებით, შეუძლებელია გადაწყვეტილების (ანუ სააღსრულებო დოკუმენტის) შემდგომი გასწორება შესაბამისი დამატებითი დოკუმენტით.

ამრიგად, სააღსრულებო ორგანოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია სააღსრულებო დოკუმენტის განმარტება მასში მოხსენიებული მხარეების კუთხით, როდესაც თვითონ დოკუმენტიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, თუ ვინ იყო სასამართლოს ნებით გათვალისწინებული მხარედ. თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესავალი ნაწილი (სადაც დასახელებული არიან მხარეები) სხვადასხვა მიზეზების გამო ბუნდოვანია, მაშინ განმარტება განხორციელდება მხოლოდ გადაწყვეტილების სხვა დარჩენილი ნაწილების, ან სხვა სააღსრულებო დოკუმენტის შემთხვევაში, ამ დოკუმენტის მთლიანი შინაარსის საფუძველზე. სააღსრულებო დოკუმენტი ასევე მოიცავს დამატებით და ჩასწორების განჩინებებს, რომლებიც გამოცემულია სასამართლოს მიერ. სააღსრულებო ორგანოს ამოცანაა „ჩაასწოროს“ თავდაპირველად სწორად ფორმულირებული და განსაზღვრული სააღსრულებო დოკუმენტი, როდესაც აღსრულებისას სირთულეები წარმოიქმნება იმის გამო, რომ ერთ-ერთმა მხარემ შემდეგში გამოიცვალა გვარი ან სახელწოდება. ასეთ შემთხვევაში სააღსრულებო ორგანოს თავად უნევს გადაამონმოს პირის მონაცემები, რაც უმთავრესად ხდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის გზით (მაგალითად, თუ მხარემ გვარი შეიცვალა ქორწინების მიზეზით, იგი აღმასრულებელს წარმოუდგენს ქორწინების მოწმობას). თუ მხარე წარმოდგენილია სხვა პირის მიერ (მაგალითად მეურვე ან მშობლები, როგორც შვილის წარმომადგენლები) და ამ პირის სახელი, გვარი და მისამართი საკმარისია იმისათვის, რომ მოხდეს მისი იდენტიფიცირება, მაშინ სააღსრულებო დოკუმენტი არ ჩაითვლება განუსაზღვრელად მხოლოდ იმიტომ, რომ, მაგალითად, არ არის მითითებული პირის საკუთარი მისამართი. თუ სახელდება რამოდენიმე კრედიტორი ან მოვალე, მაშინ დოკუმენტის განსაზღვრულობისათვის აუცილებელია ასევე მათი პასუხისმგებლობის განაწილების განსაზღვრა (მაგალითად, სოლიდარული მოვალეები, სოლიდარული კრედიტორები და ა.შ.) და ამასთან, ასევე შესაძლებელია დოკუმენტის სხვა ნაწილების მოშველიება ამ კუთხით მისი განმარტებისათვის. თუ გადაწყვეტილება ან სხვა რაიმე დოკუმენტი ეჭვს ტოვებს მხარეების პერსონალური მონაცემების ან მათი პასუხისმგებლობის განაწილების ფორმისა და მასშტაბის კუთხით, მაშინ იგი ვერ მიექცევა აღსასრულებლად.

ბ) გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ბუნებრივია, არ შეიძლება საეჭვო და ბუნდოვანი იყოს, თუ **რა უნდა აღსრულდეს**. თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ამ კუთხით არის ბუნდოვანი, ან რაიმეს გამორჩენისა თუ მექანიკური შეცდომების შედეგად, გაუგებარია, მაშინ განმარტება განხორციელდება გადაწყვეტილებისა თუ სხვა დოკუმენტის მთლიანი შინაარსის საფუძველზე და დახმარებით. ბუნებრივია, დაუშვებელია, რომ ამგვარმა განმარტებამ გამოიწვიოს გადაწყვეტილების შეცვლა ან მისი ერთგვარი კორექტურა. ასევე დაუშვებელია, მხოლოდ განმარტებით გამოვლინდეს მოვალის ვალდებულება. ფულადი ვალდებულებების შემთხვევებში ასეთი გაუგებრობები უფრო იშვიათი იქნება, ვიდრე ისეთი გადაწყვეტილებებისას, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული მოქმედების შესრულებას. ამ კუთხით ბუნდოვანი იქნებოდა გადაწყვეტილება, რომელიც მოვალეს აკისრებს შენობის ფასადზე მშენებლობის ხარვეზების აღმოფხვრას და კონკრეტულად არ დასახელებს ამ ხარვეზებს. ასევე ვერ აღსრულდება გადაწყვეტილება, რომელიც მოვალეს აკისრებს გარკვეული თანხის გადახდას იმ თანხის გამოკლებით, რომელიც გამოანგარიშდება ავტომობილით გავლილი და ტახომეტრზე დაფიქსირებული კილომეტრების რაოდენობის მეშვეობით.

გ) აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი **შუალედური დასკვნა**: რაც უფრო უკეთ გაიაზრებს ადვოკატი თავისი განცხადებებისა და წარდგინებების შედეგისას და მოსამართლე გადაწყვეტილებების შედეგისას აღმასრულებლის შემდგომ საქმიანობას და წარმოდგენს თავს მის ადგილას, მით უფრო მარტივი იქნება შესაბამისი დოკუმენტების აღსრულება. თუმცა, ეს უნდა შედიოდეს გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლის ინტერესებში. ამიტომ გერმანიაში იურისტების პრაქტიკული მომზადების ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იძულებით აღსრულებას, რომელიც ასევე არის მეორე, საბოლოო სახელმწიფო გამოცდის საგანი.

V. სააღსრულებო დოკუმენტის შემდგომი „განმარტებისა“ და კორექტურის ფარგლები

1. განცხადება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით მხარეებსა და აღმასრულებელს წერილობით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს სააღსრულებო დოკუმენტის განმარტების მოთხოვნით. აღნიშნული წარმოება მონესრიგებულია სსსკ-ის 262-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა მიუღებლად ღიად არის ფორმულირებული. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიძლება ასევე იყოს „ბუნდოვანი“, თუ იგი მხარეს აკისრებს რაიმე სხვას, ვიდრე გათვალისწინებულია სამოტივაციო ნაწილში. იმ შემთხვევაში, თუ არ არის სახეზე სსსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული მექანიკური შეცდომა, ან თუ არ არის გამორჩენილი რაიმე მნიშვნელოვანი ასპექტი (რაზეც გავრცელდებოდა სსსკ-ის 261-ე მუხლი), აუცილებელია უკიდურესი სიფრთხილე იმისათვის, რომ არ მოხდეს ჩუმად სასამართლოს მიერ დაშვებული შესაძლო შეცდომის გამოსწორება, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოში უნდა გასწორდეს მხოლოდ სამართლებრივი საშუალების გამოყენების გზით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ. კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებების მიღმა განხორციელებული გადაწყვეტილების ასეთი ცვლილებები არახელსაყრელ მდგომარეობას უქმნის იმ მხარეს, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ნდობა გადაწყვეტილების შინაარსის მიმართ და გარდა ამისა ეწინააღმდეგება სსსკ-ის 265-ე მუხლის არსს. ვინაიდან სსსკ-ის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილი გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შემთხვევაში ითვალისწინებს მხოლოდ ერთ სამართლებრივ საშუალებას და არანაირ საშუალებას თვითონ გადაწყვეტილების განმარტების გასაჩივრებისათვის (სხვანაირად ვიდრე სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 პუნქტი; 267¹ მუხლის მე-2 პუნქტი არ უნდა ვრცელდებოდეს აღნიშნულ შემთხვევაზე, ვინაიდან უბრალო სასამართლო განჩინების განმარტება არ შეიძლება იყოს „აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების“ გადაწყვეტა), ნორმის გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო. მიზანშეწონილი იქნება სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდეს ნორმის ვიწრო განმარტება, რომლის მიხედვითაც ბუნდოვანება გულისხმობს არითმეტიკული ან ორთოგრაფიული შეცდომის მსგავს უსწორებებს. თუმცა, ასეთი ნორმა წესით ზედმეტიცაა, ვინაიდან იგი გარკვეულ წილად უგულვებელყოფს შემდგომში აღსასრულებელი გადაწყვეტილების ჩამოყალიბებისას სათანადო კონცენტრაციისა და სიზუსტის მნიშვნელობას. აღნიშნულმა ნორმამ ასევე არ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ხარვეზიანი სააღსრულებო დოკუმენტი ნებისმიერ ფასად გახდეს აღსრულებადი. მართლმსაჯულებამ უნდა აღიაროს თავისი შეცდომები და ის გარემოება, რომ ხანდახან სასამართლოები გამოსცემენ ხარვეზიან გადაწყვეტილებებს.

2. უსწორებები და არითმეტიკული შეცდომები სსსკ-ის 260-ე მუხლის მიხედვით

აღნიშნული ნორმა მისაღებია, თუკი იგი განიმარტება და გამოიყენება ვიწროდ. მსგავს რეგულირებას ყველა ევროპული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს. ხელახალი არითმეტიკული შეცდომებისაგან კი იცავს მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობას.

3. დამატებითი გადაწყვეტილება სსსკ-ის 261-ე მუხლის მიხედვით

გერმანელი მკითხველისათვის აღნიშნული ნორმა არის ნამდვილი დამატებითი გადაწყვეტილების (სასამართლომ შეცდომით არ მიიღო გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რაც იყო განცხადების, დავის საგანი ან რის შესახებაც საკუთარი ინიციატივით უნდა მიეღო გადაწყვეტილება და აღნიშნული ხარვეზი უნდა გასწორდეს – პირველი ნაწილის „გ“) და ნაწილობრივი, შუალედური გადაწყვეტილების შემდეგ გამოცემული საბოლოო გადაწყვეტილების (პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“) ერთგვარი განშტოება. ამ კუთხით ჩემთვის ცოტა გაუგებარია კავშირი 245-ე და 246-ე მუხლებს შორის. ნაწილობრივი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოების გაგრძელებისათვის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადა მეტად მოკლეა. აქ ხომ არ არის საუბარი

გადაწყვეტილების შემდგომ კორექტურაზე, არამედ ჯერ კიდევ დაუსრულებელი წარმოების გაგრძელებაზე. გარდა ამისა, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც, მაგალითად, გამორჩენილია გადაწყვეტილება პროცენტის (სარგებელის) მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებით (ამ შემთხვევას ვერ ესადაგება პირველი ნაწილის „ა“).

4. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები სსსკ-ის 268-ე და 269-ე მუხლების მიხედვით და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა სსსკ-ის 271-ე და 191-199-ე მუხლების მიხედვით

სსსკ-ის 268-ე მუხლი მსგავსია ევროპის ბევრ ქვეყანაში და ასევე გერმანიაში არსებული წინასწარი (დაუყოვნებლივ) აღსრულების ინსტიტუტისა, რომლის შესახებაც უმთავრესად გადაწყვეტილებაშივე აღინიშნება და რომელიც დამოუკიდებლად ვერ იქნება გასაჩივრების საგანი. აღნიშნული ინსტიტუტის ქართული გადაწყვეტა (სსსკ-ის 270-ე და 271-ე მუხლები) გახლავთ უფლების წინასწარი დაცვა უკვე შემდგომ ეტაპზე ანუ პოსტ სკრიპტუმ. მოგვიანებით, ანუ შემდგომში უფლების წინასწარი დაცვის გათვალისწინებისას სახეზეა დამატებითი გადაწყვეტილების ერთგვარი ფორმა, ანუ თავდაპირველი სახით არასრულყოფილი გადაწყვეტილების სრულყოფა.

5. დასკვნა

რეგულირებები, რომლებსაც შეიცავს სსსკ-ის 260-ე და მომდევნო მუხლები, აუცილებელია ყველა სამართლებრივი სისტემისათვის, ვინაიდან მოსამართლეები არიან ადამიანები, რომელთაც ასევე მოსდით შეცდომები. ხოლო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც მასვე შეუძლია შეცდომის გასწორება, რომელმაც დაუშვა იგი, უნდა იყოს დადგენილი და განსაზღვრული მხოლოდ კანონით. მოსამართლისათვის კი, ასეთი რეგულირებების გამოყენება უნდა იყოს აბსოლუტური გამონაკლისი.

ნაწილი III

სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად

I. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის სტრუქტურა

1. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი აწესრიგებს პირველივე მუხლში არა მხოლოდ ყველა სახის სამოქალაქო-სამართლებრივი სააღსრულებო ფურცლისა თუ მოთხოვნის სააღსრულებო წარმოებას, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (მაგალითად, უკანონო მშენებლობების დანგრევის განკარგულებები), სხვადასხვა სახის ფულადი ჯარიმებისა თუ სახდელების, აგრეთვე მართვის მოწმობის ჩამორთმევის აღსრულებასაც. თუმცა ქართული სააღსრულებო კანონი წარმოადგენს არა მხოლოდ იძულებითი აღსრულების წესებისა და პრინციპების ამსახველ წარმოების კანონს. მასში დამატებით გაერთიანებულია ორგანოთა მოწყობის კანონი, ანუ სააღსრულებო ორგანოთა სტრუქტურის ამსახველი დებულებები (აღსრულების ეროვნული ბიუროსა და ადგილობრივი სააღსრულებო ბიუროების მოწყობა სააღსრულებო პოლიციის ჩათვლით) და კერძო აღმასრულებლად დაშვების ნორმები ამ კერძო აღმასრულებელთა პროფესიული უფლება-მოვალეობების ჩათვლით. ამას გარდა, სააღსრულებო კანონი აწესრიგებს ისეთ დებულებებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო აღსრულების მოწყობასა და განხორციელებასთან და რომლებიც ეხება

აღმასრულებელთა და სააღსრულებო პოლიციელთა საჯარო-სამართლებრივ სტატუსს (მათი შვებულებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების ჩათვლით). თავს უფლებას ვაძლევ, ეჭვქვეშ დავაყენო მსგავსი დებულებების სააღსრულებო კანონში გამაგრების მართებულობა იმ მოსაზრებით, რომ ასეთი სპეციალური ნორმები არღვევს საჯარო სამსახურის ერთიანობას. საქართველოში ხომ არსებობს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. სააღსრულებო წარმოებათა კანონი, წესით, არ უნდა ანესრიგებდეს ასევე დებულებებს კერძო აღმასრულებლის უმაღლესი განათლების, სტატუსის, დაშვებისა და კონტროლის შესახებ.

2. ძალიან პროგრესული (სხვა ევროპული ქვეყნების სამართლებრივი სისტემების, მაგალითად, გერმანული სააღსრულებო სამართლის ქრილში) და, ჩემი აზრით, ძალზე მისასაღმებელია ქართულ სააღსრულებო სამართალში ის გარემოება, რომ აღსრულების ერთიანი **ეროვნული ბიურო პასუხისმგებელია**, ფაქტობრივად, პასუხისმგებელია ყველა სახის იძულებით აღსრულებაზე და რომ არ არსებობს სხვადასხვანაირი სახის სააღსრულებო ორგანო, რომლის სწორად შერჩევამაც შეიძლება გარკვეული სირთულეები შეუქმნას კრედიტორს.

3. მისასაღმებელია ასევე ის გარემოებაც, რომ ქართული სააღსრულებო სამართალი საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს უყენებს აღმასრულებელს უმაღლესი იურიდიული განათლების თვალსაზრისით. სააღსრულებო სამართალი წარმოადგენს სამართლის საკმაოდ რთულ სფეროს, რომელიც სრულყოფილად ათვისებადია მხოლოდ მაღალკვალიფიციური იურიდიული განათლების მიღების შემდეგ. სააღსრულებო სამართალში თავს იჩენს ახალი სამართლებრივი სირთულეები, რომელთა დაძლევაც ხელეწიფება მხოლოდ სრული იურიდიული განათლების მქონე იურისტს.

II. იძულებითი აღსრულების დანყება სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად

წინამდებარე მოსაზრებები, ძირითადად, ვრცელდება მხოლოდ **სამოქალაქო-სამართლებრივი აღსასრულებელი მოთხოვნების** იძულებით აღსრულებაზე, ფულადი ჯარიმებისა და სახდელების ამოღებაზე სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სფეროში და არა ადმინისტრაციულ აღსრულებაზე.

1. იძულებითი აღსრულება იწყება კრედიტორისათვის იმ მომენტიდან, რომ, პირველ რიგში, კრედიტორმა უნდა მოიპოვოს მისივე აღსასრულებელი მოთხოვნის ამსახველი **სააღსრულებო ფურცელი** (სააღსრულებო კანონის მე-20 მუხლი). სააღსრულებო ფურცლის გაცემის მიზანია იძულებითი აღსრულების დანყებამდე კრედიტორის ხელთ არსებული სააღსრულებო საბუთის კიდევ ერთხელ საფუძვლიანად გადამოწმება და საქმეში არსებული საბუთის ორიგინალთან შედარება. ანუ, რამდენად წარმოადგენს კრედიტორის მიერ სააღსრულებო ორგანოსათვის წარდგენილი დოკუმენტი სინამდვილეში სააღსრულებო ფურცელს.

სააღსრულებო კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მუხლი მკაფიოდ არ აფიქსირებს, შეიძლება თუ არა სააღსრულებო ფურცლის გაცემა განცხადების გარეშე. თუმცა ამავე მუხლის მე-2 პუნქტის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, დასაშვებია სააღსრულებო ფურცლის გაცემა განცხადების წარდგენის გარეშე. კანონი მკაფიოდ არ ანესრიგებს, თუ ვინ გასცემს სააღსრულებო ფურცელს სასამართლოში (მოსამართლე, კანცელარია, სასამართლოს სხვა თანამშრომელი), განსაკუთრებით კი, კრიტიკულ შემთხვევებში (22-ე მუხლი – ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა), ან კიდევ 24-ე მუხლით (სააღსრულებო ფურცლის გაცემა უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მის სანინააღმდეგოდ). ნამდვილად მიზანშეწონილი იქნებოდა, მსგავსი ფორმულირების კანონში გამაგრება გაცემული სააღსრულებო ფურცლის სინამდვილის მარტივად გადამოწმების მიზნით.

2. სააღსრულებო კანონის 25-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, კრედიტორმა, პირველ რიგში, უნდა წარუდგინოს სააღსრულებო ფურცელი **წერილობით განცხადებასთან** ერთად ეროვნულ

სააღსრულებო ბიუროს (მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით), ხოლო რამდენადაც კერძო აღმასრულებლის კონპეტენციას ექვემდებარება, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძო აღმასრულებელს. სრულიად გაუგებარია, თუ რატომ უნდა წარადგინოს კრედიტორმა უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან გამოთხოვისას სააღსრულებო ფურცელთან ერთად დამატებით კიდევ ამ ნივთის საბაზრო ღირებულების ამსახველი ექსპერტისა თუ აუდიტის დასკვნა, რადგანაც ეს დამატებით ზედმეტ ხარჯებს წარმოშობს კრედიტორისათვის. საფასურის დანესების თვალსაზრისით საკმარისი უნდა იყოს კრედიტორის ახსნა-განმარტება.

მეტისმეტად დიდსულოვნად მეჩვენება არაკეთილსინდისიერი მოვალის მიმართ კანონის ის დებულება, რომ აღმასრულებელმა კანონის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სააღსრულებო მოქმედებების დაწყებამდე ყოველთვის უნდა მიმართოს მოვალეს, 7 დღის განმავლობაში ნებაყოფლობით შეასრულოს აღსასრულებელი მოთხოვნა (და არა მხოლოდ ნებაყოფლობით სესრულებაზე „hic et nunc“, როდესაც იგი აღსრულებას იწყებს). არაკეთილსინდისიერ მოვალეს ხომ, ფაქტობრივად, ხელ-ფეხი ეხსნება და ეძლევა შესაძლებლობა, ძალიან მშვიდად გადამალოს დასაყადლებელი ქონება. იძულებითი აღსრულების წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია ე. წ. მოულოდნელობის ეფექტის ფაქტორის არსებობა.

კეთილსინდისიერი მოვალის მიერ ვადაში გადახდის დროს გარანტირებული შეღავათები (28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ხარჯების შემცირება) არ უნდა ახდენდნენ დიდი ალბათობით მოულოდნელობის ეფექტის დაკარგვის კომპენსაციას. ძალზედ მისასალმებელია 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც მოვალეს ბარდება დაწვრილებითი ახსნა-განმარტება (წინადადება), რომელსაც აღმასრულებელი მოვალეს აღსრულების დაწყებამდე გადასცემს. ეს ახსნა-განმარტება სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად აღმასრულებლის მიერ აქტში უნდა იქნეს შეტანილი.

3. თუ 7 დღის ვადაში არ მოხდება მოვალის მიერ კრედიტორის ნებაყოფლობითი დაკმაყოფილება, აღმასრულებელი იღებს გადაწყვეტილებას მოვალის მოვალეთა რეესტრში შეტანის თაობაზე (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 19¹-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი, მე-2 წინადადება)

მრავალი ევროპული ქვეყნის მისწრაფებაა ისეთი ტიპის მოვალეთა რეესტრის ჩამოყალიბება, რომელიც 2009 წელს იქნა შემოღებული და საბოლოო სახით 2010 წელს ჩამოყალიბდა. **მოვალეთა რეესტრი**, უწინარეს ყოვლისა, აერთიანებს ნებაყოფლობითი შესრულებისათვის მზად არმყოფი მოვალეების ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ მონაცემებს, რომლებიც დიდ დახმარებას წარმოადგენს როგორც აღსრულების დაწყებამდე, ისე სამომავლოდ განსახორციელებელი სააღსრულებო მოქმედებების თვალსაზრისით. მსგავსი სისტემა ამოქმედდა სულ ახლახან გერმანიაშიც იძულებითი აღსრულების მანამდე არსებული სისტემის ნაცვლად, რომელიც ითვალისწინებდა საჭირო ინფორმაციის აღსრულების დასრულების შემდგომ მოძიებას. თუმცა ძალიან სათუთა და კიდევ ერთხელ სერიოზულ გადახედვას საჭიროებს მოვალეთა რეესტრის ცალკეული დეტალები, როგორებიცაა, მაგალითად, მასში არსებულ მონაცემთა გაცნობის უფლება, და ჩანაწერის ვადები. ჩემი აზრით, ეს დებულებები არ შეესაბამება მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ნორმებს. ხოლო, მეორე მხრივ, მოვალის გონივრულად შეზღუდული ძირითადი უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ მოვალეთა რეესტრში შეგროვილი მოცულობითი მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი ადამიანისათვის მხოლოდ და მხოლოდ საფასურის გადახდის შემდეგ, როგორც ამას ითვალისწინებს მე-19¹ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები, მოვალეთა მონაცემები სრულიად უსამართლოდ იქცევა საჯაროდ. ის ინფორმაცია, რომელიც ინახება მოვალეთა რეესტრში აშკარად სცილდება დასაშვებ და აღსრულებისათვის აუცილებელ ფარგლებს. მსგავსი დებულება წარმოადგენს მოვალის ფინანსური მდგომარეობის დისკრიმინაციასა და სამომავლოდ აფერხებს მისი ფინანსური გაჯანსაღების პროცესს, რომლის მიმართაც, ცხადია, არსებობს სახელმწიფო ინტერესიც.

III. იძულებითი აღსრულება ფულადი მოთხოვნის მიმართ არსებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ **შესაბამისი სააღსრულებო ბიურო**, ანუ ადგილობრივი აღმასრულებელი პასუხისმგებელია ყველა სახის აღსრულებაზე – უძრავი თუ მოძრავის ქონებისა თუ ფულადი მოთხოვნის აღსრულებაზე, რადგან ნებისმიერი მათგანის მიმართ მოქმედებს ერთი და იგივე მოთხოვნა – უმაღლესი იურიდიული განათლება. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში აღსრულების სხვადასხვა სააღსრულებო ორგანოებისათვის გადაცემა და ნაწილობრივ აგრეთვე სასამართლოებზე განპირობებული ამ სააღსრულებო ორგანოთა განსხვავებული დონის უმაღლესი განათლებით. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში გარკვეული სააღსრულებო მოქმედებების შესასრულებლად, თითქოსდა, საკმარისია უფრო ნაკლები ცოდნა, მაშინ როცა სხვა სისტემა მაქსიმალურ მოთხოვნებს აყენებს, რისთვისაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური უმაღლესი განათლება. თუმცა ამ საკითხისადმი მიდგომა შეიძლება იყოს ისეთივე, როგორც საქართველოში, სადაც აღმასრულებლისათვის დაწესებულია ერთიანი მოთხოვნები.

ის ფაქტი, რომ კერძო აღმასრულებლის კომპეტენციაში შედის მხოლოდ საჯარო აუქციონის მომზადება და არა მისი ჩატარება, რომელიც, როგორც ასეთი, ყოველთვის სააღსრულებო ბიუროს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა (სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 14⁶-ე მუხლის მე-6 პუნქტი, 14⁷-ის მე-5 და მე-11-ე პუნქტები), აუქციონის მნიშვნელობისა და სასამართლო წარმოების მსგავსი პროცედურების გათვალისწინებით, ჩემთვის გასაგები და მისაღებია. ამგვარი რეგულირება სწორად მეჩვენება სხვა დანარჩენი ევროპის ქვეყნების რეგულირებების ფონზე, რომლებიც თავისუფალი პროფესიის მქონე სასამართლო აღმასრულებლებს იცნობს, მაგ. ჰოლანდიაში და სადაც თავისუფალი პროფესიის აღმასრულებლები უფლებამოსილი არიან ყველა სააღსრულებო ქმედებაზე.

2. ჩვენ უკვე შევხებით იმას, რომ **იძულებითი აღსრულება**, რომელიც წარმოადგენს სააღსრულებო კანონის საგანს, არ უნდა ვრცელდებოდეს მოვალის მთლიანი ქონების დაყადაღებას ან ამოღებაზე, როგორც ამას ადგილი აქვს გაკოტრების წარმოებისას. ცოტა ზედმეტად მეჩვენება სააღსრულებო კანონის მე-40 და 44-ე მუხლების დებულებები მოვალის მიერ საკუთარი ქონების განკარგვის აკრძალვის შესახებ. იმთავითვე მიზანშეწონილი იქნებოდა, იძულებითი აღსრულების ქრილში მხოლოდ იმდენი ქონების აღწერა ან დაყადაღება, რამდენიც აუცილებელია კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 803-ე მუხლი ამბობს: „არ შეიძლება ყადაღა დაედოს იმაზე მეტ ქონებას, რამდენიც საკმარისია კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და იძულებითი აღსრულების ხარჯების დასაფარად“.

ქონებასთან დაკავშირებით, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება, **45-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა ქვეპუნქტის** დასკვნითი ნახევარი წინადადება იმგვარად უნდა იქნას შეზღუდული, რომ იგულისხმებოდეს მხოლოდ ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალის „პროფესიული საქმიანობისათვის, ცხოვრებისა თუ საოჯახო მეურნეობისათვის“, რადგან ფუფუნების პირობებში მცხოვრებ მოვალეს მეტი „ესაჭიროება“, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ყადაღას დაუქვემდებარებელი ნივთებით. **ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის ე ქვეპუნქტი ნაწილობრივ ეხმიანება ა ქვეპუნქტს** მოვალის საქმიანობისათვის საჭირო ნივთების კუთხით. ამდენად, ზედმეტია ეს ტაფტოლოგია.

გერმანიაში ძალზე სადავოა ის საკითხი, შეიძლება თუ არა მოვალემ მისი ქონების დაყადაღებისას დააყადაღებინოს ისეთი ნივთიც, რომელიც, წესით, არ ექვემდებარება დაყადაღებას. არ ვიცი, იჩინა თუ არა ამ პრობლემამ საქართველოშიც თავი.

ყადაღადადებული ნივთების აუქციონს სააღსრულებო ბიურო ატარებს საჯაროდ დათქმულ დროს (სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 50-ე მუხლი), როდესაც მხარეების მიერ რეალიზაციის სხვაგვარ სახეზე ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება და ამ შეთანხმების შესაბამისად განცხადებული (სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 53-ე მუხლი).

ამის შესაბამისად მოხდა გერმანული სააღსრულებო სამართლის განახლებისას ქართული ნორმის მსგავსი რეგულირების შემოღება:

მოდრავი ნივთების აუქციონი გერმანიაში ტარდებოდა სასამართლო აღმასრულებლის მიერ გაზეთებში ინფორმაციის საჯაროდ გაცხადებით და მათ მიერვე დაქირავებულ დარბაზებში, სამუშაო დროის პერიოდში. ამით ხდებოდა იმ ადამიანების მიზიდვა, რომლებიც გაზეთებს კითხულობდნენ და იმავდროულად დრო ჰქონდათ, მაგრამ მაინცდამაინც მყიდველუნარიანები არ იყვნენ. სასამართლო აღმასრულებელს რეალიზაციის სხვა გზა რომ აერჩია, ამისთვის ესაჭიროებოდა სასამართლოს მკაფიო გადაწყვეტილება. ახალი რეგულირებით კი სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია აუქციონი, როგორც რეალიზაციის ჩვეულებრივი ფორმა, ყოველგვარი განსაკუთრებული სასამართლო ნებართვის გარეშე იუსტიციის მიერ საამისოდ შექმნილ პორტალზე, **ინტერნეტში**, განახორციელოს. ამით ხდება იმ გარემოების გათვალისწინება, რომ დღესდღეობით ბევრი ადამიანი ინტერნეტში ვაჭრობს და ისინი კომერციული თვალსაზრისით ფლობენ ინტერნეტში აუქციონის ჩასატარებელი პორტალების გამოყენების ტექნიკას. ამით წარმოიშობა შემძენთა ახალი კატეგორია და ეს კი აჩენს იმედს, რომ უფრო მეტი გაიყიდება და შესაბამისად უფრო მაღალ ფასში. ის ფაქტი, რომ იუსტიცია საკუთარ პორტალს იყენებს და არა უკვე რომელიმე არსებულის, მდგომარეობს მასში, რომ იუსტიცია თავისთავად ვერ დაექვემდებარებოდა მსგავსი პორტალების (მაგ. „Ebay“) სტანდარტულ პირობებს.

3. კანონში ნაკლებად კონკრეტულია ფორმულირება ფულადი მოთხოვნის დაყადაღებასთან დაკავშირებით, ვინაიდან უბრალოდ გადამისამართება ხდება კანონზე (კანონის 55-ე მუხლი). სააღსრულებო კანონმა ზუსტად უნდა მოაწესრიგოს, თუ რა თანხები შეიძლება შეუნარჩუნდეს მოვალესა და მის ოჯახს მოკრძალებული ოჯახური მეურნეობისათვის. ვვარაუდობ, რომ შრომითი ანაზღაურების დამცავი დებულებები გამყარებულია სხვა, ჩემთვის უცნობ ქართულ კანონებში. თუმცა ნამდვილად მისასაღმებელი იქნებოდა სააღსრულებო კანონშიც ანალოგიური ფორმულირების ასახვა.

სააღსრულებო კანონის **58-ე მუხლი** ვერ გამოხატავს მკაფიოდ, შეიძლება თუ არა კრედიტორმა დამოუკიდებლად აღძრას სარჩელი დავალებული პირის ინფორმაციის ვალდებულების საკითხზე. კრედიტორი ვერ აღძრავს დამოუკიდებლად სარჩელს დავალებული პირის ინფორმაციის გაცემის ვალდებულების მოთხოვნით გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 840-ე მუხლის შესაბამისად. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა კი აძლევს კრედიტორს მხოლოდ და მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წამოყენების უფლებას.

4. კანონში ვერ ვხვდებით „სხვა ქონების“ იძულებითი აღსრულების ამსახველ დებულებას, რომლებიც არ წარმოადგენს არც მოძრავ, არც უძრავ ქონებასა და არც ფულად მოთხოვნას (მაგალითად, საზოგადოების წილი, ერთობლივი მემკვიდრეობის წევრის სტატუსი მათ დაპირისპირებამდე, პატენტის რეალიზაციის უფლება, ინტერნეტი-დომენი და ა.შ.).

5. უძრავი ქონების იძულებითი აღსრულების სამ სახეს იცნობს ქართული კანონი, სახელდობრ იძულებითი იპოთეკას, აუქციონს და სეკვესტრს (მართვას). იძულებითი აუქციონის ნორმები საქართველოში, რომლებიც უძრავი ქონების აღსრულებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთი გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს, 2009 წლიდან მრავალჯერ გადამუშავდა და ახლებურად აისახა კანონში. ახალმა დებულებებმა ხელი უნდა შეუშალოს მოვალის და მისი ოჯახის წევრების გარკვეულ მანიპულაციებს (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 71-ე მუხლის თანახმად აუქციონის საწყისი რეალური ფასის დადგენას, შესაძლებლობის შეზღუდვას, როდესაც 70-ე მუხლის მიხედვით აუქციონის განხორციელება ჩერდება ან წყდება) და, მეორე მხრივ, თავიდან აიცილოს მოვალის უძრავი ქონების დაბალ ფასად გაყიდვა. ამავე კონტექსტში აღნიშვნის ღირსია აუქციონის ჩატარების შესახებ შეტყობინებებისა და უწყებების სისტემის შემოღება. ამ მოდელმა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს მოვალისათვის სასამართლო მოსმენის შეუზღუდავად განხორციელების შესაძლებლობა და მეორეს მხრივ, თავიდან უნდა იქნას აცილებული მოვალის მიერ საცხოვრებელი ადგილის მუდმივი შეცვლით იძულებითი აღსრულებისათვის თავის არიდება.

კარგად უნდა იქნას გააზრებული 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება უძრავი ქონების იძულებითი აღსრულების თვალსაზრისით. იძულებითი აუქციონი დიდხანს ვერ გაჭიანურდება. ამდენად, მიზანშეწონილი

იქნებოდა, რომ ქონების მმართველმა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა ქირის, საიჯარო პროცენტებისა თუ მიწის ნაკვეთის ხარჯების დასაფარად. გერმანული სამართალი ითვალისწინებს, მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 866-ე მუხლის მე-2 ნაწილით ქონების იძულებითი მართვისა (სეკვესტრი) და იძულებითი აუქციონის ერთდროულად განხორციელების შესაძლებლობას.

63¹ მუხლის შესახებ შეიძლება გამოითქვას იგივე ეჭვი, რომელიც აღინიშნა მე-40 მუხლის მიმართაც. კრედიტორმა უნდა მოითხოვოს მიწის ცალკეული ნაკვეთების იძულებითი აღსრულება და არ უნდა ჰქონდეს უფლება, ერთი ხელის მოსმით მოითხოვოს მოვალის მთელი ქონების დაყადაღება ან გასხვისება. მოვალის მთელი ქონების დაყადაღებით ან რაიმე სახის დატვირთვით, რომლის გაუქმებასაც შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, საჭიროზე ზედმეტად იზღუდება მოვალის ეკონომიკური თავისუფლება და შესაძლებლობა, გამოიტანოს დამატებითი კრედიტები. მოვალის მთელი ქონების დაყადაღება და ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ გადახდისუნარიანობის წარმოების ფარგლებში, რომლის შედეგადაც მოვალის მთელი ქონება უნდა იქნას გამოყენებული მისი ყველა კრედიტორის თანაზომიერად დასაკმაყოფილებლად.

ახლად დარეგულირებული შესაძლებლობა (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 76¹-ე მუხლი), განმეორებითი აუქციონის ჩატარებამდე პირმა შეიძინოს ქონება, აუქციონის პროცესს სავარაუდოდ დააჩქარებს და დაინტერესებულ პირთა წრეს გაზრდის.

6. აღსრულების შეჩერება სააღსრულებო კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები

ა. ქართული სააღსრულებო სამართალი ითვალისწინებს სააღსრულებო წარმოების შეჩერების 6 სხვა-დასხვა შემთხვევას (36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). ფორმულირების თანახმად, საუბარია ვალდებულებაზე და არა დისკრეციულ გადაწყვეტილებაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის დებულებისაგან განსხვავებით, ეს ნორმა არ ითვალისწინებს განცხადების წარდგენის ვალდებულებას. დებულებას აკლია გასაჩივრების მკაფიო ნორმა. ამ შემთხვევაში ვერ გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის მე-3 ნაწილის დებულებები.

ბ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით განაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება“ (და არა აღმასრულებლის შუამდგომლობით). აღმასრულებელმა შეიძლება, მხოლოდ კრედიტორის მოთხოვნით (სააღსრულებო კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა ქვეპუნქტი) 3 თვემდე ვადით შეაჩეროს იძულებითი აღსრულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სასამართლო იღებს განჩინებას, რომელიც თვისობრივად ცვლის სააღსრულებო მოთხოვნას. მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული განჩინება სავსებით სამართლიანადა შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის მეშვეობით.

ანალოგიური პროცედურები გათვალისწინებულია მრავალი ევროპული ქვეყნის სააღსრულებო კანონმდებლობაშიც: ნაწილობრივ გადადებისა და კონტროლის უფლება აღმასრულებლის კომპეტენციასაც კი წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ კრედიტორის თანხმობის შემთხვევაში (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-900 მუხლის მე-3 ნაწილი).

IV. სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი აღსარულებელი მოთხოვნების იძულებითი აღსრულება სააღსრულებო კანონის 83-90-ე მუხლებით

მსურს, მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთო ამ საკითხთან დაკავშირებით:

1. უკანონო მფლობელობიდან გადასაცემი ნივთის აღსრულებისას (85-ე მუხლი) მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ აღმასრულებელმა არა მხოლოდ ყადაღა დაადოს ნივთს, არამედ დააყადაღოს მოვალის მესამე პირის მიმართ არსებული გადასაცემი ნივთიც და გადასცეს იგი კრედიტორს (გადაცემა აღმასრულებელზე). როდესაც მესამე პირი ნებაყოფლობით არ დააბრუნებს ნივთს, კრედიტორს უფლება აქვს მოვალის წინააღმდეგ მოთხოვნა ნივთის გადმოცემაზე მესამე პირის წინააღმდეგ განახორციელოს (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 60-ე მუხლის 1 პუნქტის, მე-2 წინადადება).

2. სააღსრულებო კანონის 86-ე მუხლი (მოქმედება, რომელიც შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა) უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოს მიერ საფასურის წინასწარ გადახდის შესაძლებლობას, რომელსაც აღმასრულებელი ამოიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, რათა კრედიტორმა საერთოდ შეძლოს მოვალის ხარჯზე შესაბამისი მოქმედების განხორციელება. არსებული დებულება, რომელიც იძლევა კრედიტორის მიერ განუხლები ხარჯების მხოლოდ სასამართლო წესით ანაზღაურების შესაძლებლობას, არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს უქონელ კრედიტორს.

3. ერთობ საეჭვოდ მიმაჩნია (როგორც ამას ითვალისწინებს 87-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) მოქმედებების, რომლებიც არ შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა, შეუსრულებლობისას მათი დაკავშირება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის 1-ლი ნაწილის თვალსაზრისით. იმთავითვე გამორიცხული უნდა იყოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. არა მგონია, სახელმწიფოს ჩარევამ და „დასჯამ“ ის შედეგი გამოიღოს, რომ მოვალემ შეასრულოს აღნიშნული მოქმედება. ერთხელ დასჯილი მოვალე აღარ ისურვებს რაიმე მოქმედების განხორციელებას. გერმანულმა სამართალმა აირჩია სხვა გზა მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 888-ე მუხლი): სასამართლო უწესებს მოვალეს, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებია მოქმედება, „ჯარიმას/იძულებით სახდელს“, რომლის გადახდის თავიდან აცილებაც მოვალეს შეუძლია მოქმედების შესრულებით. ეს ე.წ. „იძულებითი სახდელი“ განსხვავდება ჩვეულებრივი ჯარიმისა თუ სახდელისაგან იმით, რომ ამ უკანასკნელის თავიდან აცილება შეუძლებელია „მონანიებით“, ხოლო იძულებითი სახდელი, რომლის ამოღებაც ხდება მხოლოდ „ურჩი გადამხდელისაგან“, კი გამოიყენება მოვალის იძულებისათვის, შეასრულოს გარკვეული მოქმედება. იძულებითი სახდელი დაწესებადია რამდენიმეჯერ პარალელურად, თუ პირველ ვერზე ვერ მოხერხდება თანხის ამოღება. რამდენადაც ვხედავ, ქართული სამართალი არ იცნობს ასეთი სახის ინსტიტუტს.

„სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“, ცხადია, გულისხმობს პირის იძულებას გარკვეული მოქმედების შესასრულებლად, თუმცა ის დაკისრებადი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს შეუძლია მოქმედების შესრულება, მაგრამ ბრალეულად არ ასრულებს მას. თუმცა იმავდროულად კანონმა ზუსტად და მკაფიოდ უნდა განსაზღვროს, რომ ნებისმიერი სახის იძულებითი ღონისძიება დაუყოვნებლივ ექვემდებარება გაუქმებას, თუ მოვალე გადაწყვეტს მოქმედების შესრულებას. 87-ე მუხლის ძველი დებულება უფრო ადეკვატური მეჩვენება ამ ასპექტების გათვალისწინებით, ვიდრე მოქმედი, 2008 წლის ივლისის რეფორმის შედეგად ამოქმედებული ახალი ნორმა.

4. შენობიდან გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების ძველი რეგულირება (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 90-ე მუხლი) 2010 წლის დეკემბერში სრულად იქნა ამოღებული. მუხლის გაუქმების მიზეზი ჩემთვის უცნობია, თუმცა, ნამდვილად მიზანშეწონილი იქნებოდა ამ სფეროში არსებული პრობლემების ფონზე შენობიდან გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების დეტალური რეგულირების არსებობა.

5. ქართული სააღსრულებო სამართალში არაფერს ამბობს ისეთი მოთხოვნების აღსრულებაზე, რომლებიც დაკავშირებულია სამოქალაქო-სამართლებრივი **ნეგატორული ვალდებულების** დარღვევასთან (მაგალითად, გარკვეული ნიშნით სარგებლობის შეუსრულებლობა, გარკვეული გამონათქვამებისაგან თავის შეკავება და ა. შ.). როგორ შეიძლება წინასწარ ავიცილოთ თავიდან გარკვეული ვალდებულებების შეუსრულებლობა? რა სახისა და ოდენობის ჯარიმაა დაწესებადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში? რომელ წარმოებისას მონდება, თუ რამდენად სამართლიანად წესდება აღნიშნული ჯარიმა? ვვარაუდობ, რომ ასეთ შემთხვევებში ანალოგიით გამოიყენება სააღსრულებო კანონის 87-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. თუმცა, ერთობ მოულოდნელია, რომ მოქმედების შეუსრულებლობამ შეიძლება დაუყოვნებლივ გამოიწვიოს „სასჯელი“. ვინაიდან სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერი სასჯელი უკიდურესი ზომაა, მიზანშეწონილი იქნებოდა, ქართულ სამართალში არსებული ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება. თუმცა ამის კომპეტენცია უნდა ჰქონდეს საქმის განმხილველ სასამართლოსა და არა სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოს. სამართლებრივმა სახელმწიფომ ასევე წინასწარ უნდა გააფრთხილოს დაინტერესებული პირი ნეგატორული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე (არ არსებობს სასჯელი, რომელიც არ არის მითითებული კანონში).

6. ამას გარდა, სააღსრულებო კანონში ვერ ვხვდებით **ნების გამოვლენასთან** დაკავშირებული მოთხოვნების ამსახველ დებულებებს (მაგალითად, თანხმობის განცხადება, თანხმობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ). ვვარაუდობ, რომ მსგავსი მოთხოვნების მიმართ ანალოგიით გამოიყენება 87-ე მუხლის დებულებები (ანუ მოქმედებები, რომლებიც არც შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა), რაც საკმაოდ ბიუროკრატიულია. გერმანულ სამართალში არსებობს დებულება, რომელიც ნაკლებ ბიუროკრატიული და უფრო ეფექტიანი გვეჩვენება: გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 892-ე და შემდგომი მუხლებით, ნება გამოვლენილად მიიჩნევა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლასთან ერთად. ცხადია, ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსამართლეს: მან ზუსტად და მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს ნების გამოვლენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რადგან, თუ მოსამართლე არასაკმარისად ჩამოაყალიბებს ნების გამოვლენას სწორედ სარეზოლუციო ნაწილში, მაშინ აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნება არასაკმარისად იქნება გამოვლენილი. ამისდა მიუხედავად, პრაქტიკაში ძალზე იშვიათად წარმოიშობა სირთულეები. კრედიტორმა, ფაქტობრივად, ყველგან უნდა წარმოადგინოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის ცნობა მოვალის მიერ გამოვლენილი ნების დასადასტურებლად. დაზუსტებას საჭიროებს, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ანალოგიური ინსტიტუტის საქართველოშიც შემოღება.

V. იძულებითი აღსრულების ხარჯები და საფასური ქართულ სამართალში

ქართული სააღსრულებო კანონი ითვალისწინებს **აღსრულების საფასურს**, რომელიც მოიცავს ასევე 2008 წლამდეც კანონში არსებულ ხარჯებს აღმასრულებლის განსაკუთრებული მომსახურებისათვის და დღესდღეობით შეადგენს აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნის 7%-სა და უკანონო მფლობელობიდან გადასაცემი ნივთის საბაზრო ღირებულების 1%-ს. აღნიშნულმა ნოვაციამ, როგორც ეს განმარტა პარლამენტმა, „მატერიალური თვალსაზრისით უნდა უზრუნველყოს“ სააღსრულებო ორგანოების არსებობა. შემოსავლის ნაწილი (დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით) კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. მეტისმეტად მაღალი მეჩვენება ეს საფასური, რომელიც, საბოლოო ჯამში, უნდა გადაიხადოს მოვალემ, რაც მნიშვნელოვნად დაამძიმებს მის ეკონომიკურ-ფინანსურ მდგომარეობას. ოდნავ მოგვიანებით მსურს, შედარებისთვის კონკრეტული მაგალითიც კი მოვიყვანო გერმანული სამართლიდან.

წმინდა სამართლიანობის მოტივითაც კი სრულიად გაუმართლებელია აღსრულების საფასურის ახალი სისტემა:

იმდენად, რამდენადაც დამატებით ამოსაღები ხარჯები ველარ მოეთხოვება მოვალეს, მაღალი დანახარჯები კი პრაქტიკულად გაერთიანდა აღსრულების საფასურთან, საბოლოო ჯამში, მაღალი დანახარჯები, რომლის გამომწვევი მიზეზებიც არის მხოლოდ რამდენიმე მოვალე (მაგალითად, შენახვის, განთავსების, დაპატიმრების ხარჯები), გადაიხდება არა მათი გამომწვევი პირების, არამედ იმ მოვალეთა მიერ, რომლებმაც მაქსიმალურად დაბალი ხარჯები გამოიწვიეს. მსგავსი ეფექტი აქვს ასევე აღსრულების საფასურის დაწესებას არა აღმასრულებლის მიერ განეული მომსახურების, არამედ აღსრულების საგნის ღირებულების საფუძველზე. ვინაიდან ხარჯები არ იზრდება აღმასრულებლის მიერ განეული მომსახურების ამოსაღები თანხის პროპორციულად, პრაქტიკულად დიდი ვალის მქონე მოვალეებმა (ანუ ვისაც გადასახდელი აქვს დიდი ფულადი მოთხოვნები იძულებითი აღსრულების ფარგლებში) უნდა მოახდინონ მცირე მოვალეების „სუბსიდირება“.

ვინაიდან აღსრულების საფასურმა მთლიანად უნდა დაფაროს აღსრულების ხარჯები და კიდევ უნდა დარჩეს გარკვეული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტისათვისაც, ფაქტობრივად, სახელმწიფო ამოცანის შესრულება მთლიანად ხდება მცირე და მოქალაქეთა ეკონომიკურად განსაკუთრებით სუსტი კატეგორიის ხარჯზე. ძირითადად, სააღსრულებო ორგანოები (კადრები, შენობები, ავტომობილები და ა. შ.) არსებობენ კრედიტორთა თვითდახმარების აღსაკვეთად, იძულებითი აღსრულების, როგორც სახელმწიფო კომპეტენციის მიმდინარეობის სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი სახით უზრუნველსაყოფად და სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ურჩი მოვალეების წინააღმდეგ აღსასრულებლად. ყოველივე ეს ხომ წარმოადგენს **საერთო სახელმწიფოებრივ ამოცანას, რომლის დაფინანსებაც უნდა ხდებოდეს სახელმწიფო გადასახადებიდან**. ამდენად, ყოველად დაუშვებელია საუბარი სახელმწიფოსათვის არსებულ ნამეტ შემოსავლებზე. ამის საწინააღმდეგოდ, შესაძლოა **საფასური**, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული სააღსრულებო მოქმედებების განხორციელებასთან, გაერთიანდეს კონკრეტული აღსასრულებელი აქტის ცალკეულ ხარჯებთან. თუმცა, ყოველად დაუშვებელია ამის განსაზღვრა ნამეტ შემოსავლად. რადგანაც საჯარო-სამართლებრივ საფასურზე ყოველთვის ვრცელდება ეკვივალენტობის პრინციპი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების შტოს მიერ ცალკეულ შემთხვევაში შესრულებულ მოთხოვნას.

გერმანიაშიც და ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს აღსრულების ბევრად უფრო დაბალი განაკვეთები, რომელთა მიზანია არც სახელმწიფოს გაკოტრება და არც მოვალისა თუ კრედიტორის გაკოტრება იძულებითი აღსრულების გზით. მინდა, განვმარტო ყოველივე კონკრეტული მაგალითის საფუძველზე:

წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში ამოსაღები ფულადი თანხა შეადგენს 100 000 ლარს. მაშასადამე, აღსრულების საფასური 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად შეადგენს 7 000 ლარს აღსრულების ხარჯების ჩათვლით.

ახლა კი ავიღოთ გერმანიის მაგალითი, სადაც უნდა გავმიჯნოთ, აღსასრულებელი 100 000 ევრო უნდა იქნას ამოღებული აღსრულებისა თუ აუქციონის მეშვეობით: წარმოვიდგინოთ, რომ სასამართლოს მოხელემ აღსასრულა კონკრეტული მოთხოვნის დაყადაღება ან გადაცემა ან კიდევ აღმასრულებელმა დააყადაღა ან აუქციონზე გაყიდა რომელიმე მოძრავი ნივთი. სასამართლო მოხელის მიერ დააყადაღებისა ან გადაცემის განჩინების გამოცემის შემთხვევაში აღსრულების საფასური და ხარჯები შეადგენს 31 ევროს, ხოლო აღმასრულებლის მიერ მოძრავი ნივთების დაყადაღების შემთხვევაში კი – 97 ევროს. ლარსა და ევროს შორის სავალუტო სხვაობის გათვალისწინებითაც კი დამატებით მტკიცებას აღარ საჭიროებს ის გარემოება, რომ საქართველოში არსებული აღსრულების საფასურის სისტემა ბევრად აღემატება გერმანიაში მოქმედ სატარიფო მოდელს.

სასამართლო ხარჯებიც კი სადავო წარმოებისას დავის საგნის 100 000 ევროს ღირებულების შემთხვევაში მტკიცებულებათა შეგროვების ჩათვლით (უნყების გაგზავნის ხარჯების ჩათვლით და ა. შ.) გერმანიაში შეადგენს მხოლოდ 2 590 ევროს, ანუ დაახლოებით 2,5%-ს.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში ამჟამად იგეგმება სააღსრულებო ხარჯების გაზრდა, დაგეგმილი ზღვრული განაკვეთები ყველა შემთხვევაში საქართველოში არსებულზე ნაკლებია.

VI. რეზუმე

წინამდებარე მოკლე და არასრული მიმოხილვა წარმოადგენს საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის შესაბამისი სამოქალაქო-სამართლებრივი აღსასრულებელი მოთხოვნების იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის სირთულეების ანალიზს, რომლებიც განსაკუთრებულ გააზრებას საჭიროებს სამართლებრივი თვალსაზრისით. წინამდებარე კანონის კრიტიკა ხდება, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ეს მასტიმულირებელი იყოს რალაციის გასაუმჯობესებლად, სამართლებრივ სახელმწიფოზე ორიენტირებული დებულებების შემოსაღებად. არსად არსებობს უხარვეზო კანონი. თუმცაღა ამან არ უნდა გამოიწვიოს კმაყოფილებისა და სრულყოფილების გრძნობა.

ნაწილი IV

უფლების დაცვა იძულებითი აღსრულების მონაწილე მხარეებისთვის (გასაჩივრების შესაძლებლობები კრედიტორის, მოვალისა და დაინტერესებული მესამე პირებისათვის)

ა. უფლების დაცვის მოქნილი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა

იძულებითი სააღსრულებო სამართალი წარმოადგენს გასაჩივრებისა და უფლებადაცვის მოქნილ სისტემას, რომელიც შედის სამართლებრივი სახელმწიფოს ინტერესებში. იძულებითი სააღსრულებო სამართალი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს კრედიტორისა და მოვალის ძირითადი უფლებების ერთგვარ ხელყოფას. ამდენად, მთლიანი სისტემა იმგვარად უნდა იქნას ჩამოყალიბებული, რომ **სასამართლო** სისტემატურად სწრაფი რეაგირება მოახდინოს და კრედიტორმაც, რომელმაც ძალიან დიდი დრო დაკარგა მოთხოვნის აღსასრულებლად, და მოვალემაც, რომელმაც აღსრულების შედეგად, შესაძლოა, უკვე დაკარგა მისი კუთვნილი ქონების დიდი ნაწილი, იცოდნენ თავიანთი შესაძლებლობების შესახებ.

ბ. გასაჩივრების ცალკეულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით:

1. გასაჩივრების შესაძლებლობა უფლებამონაცვლე პირთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ გაცემულ სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით (სააღსრულებო კანონის 24-ე მუხლი)

ქართული სააღსრულებო კანონის 24-ე მუხლი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ გაცემის შესაძლებლობასა და უფლებას აძლევს კრედიტორს ან უფლებამონაცვლე პირს, წარადგინოს სარჩელი სასამართლოში სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ ახერხებენ ნოტარიუსის მიერ შესაბამისად დამონებული დოკუმენტის წარდგენას (24-ე მუხლის მე-2 წინადადება). მსგავსი წარმოების ფარგლებში დასაშვებია ყველა ის მტკიცებულება, რომლებსაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.

სააღსრულებო კანონმა აუცილებლად უნდა მოაწესრიგოს მოვალის მიერ უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლის შესახებ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა (მოვალის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტები იძლევა უფლებამონაცვლეობის ფაქტის დაჯერების საფუძველს). მაგალითად, მოვალეს სურს, გასაჩივროს, რომ ბათილია ნოტარიული აქტით გაფორმებული მოთხოვნის დათმობა, რადგან დათმობის მიმღები პირი ქმედუუნაროა. ან კიდევ: სამკვიდრო მონაწილეობა, რომელიც ადასტურებს უფლებამონაცვლეობას, ყალბია, რადგან ნაპოვნია მამკვიდრებლის ახალი ანდერძი, რომელიც ასახელებს სხვა მემკვიდრეს. ან კიდევ: ანალოგიურ შემთხვევებში, ერთი შეხედვით, კანონისმიერი მოთხოვნების დაცვით გაცემული სააღსრულებო ფურცელი ჩაითვლება კანონის დებულებათა დარღვევით გაცემულად. აქ აუცილებლად უნდა გამყარდეს მოსალოდნელი ცვლილებებისა და დამატე-

ბების ქრილში მოვალის მიერ შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლება, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევა სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების განხორციელებას.

II. სააღსრულებო წარმოების ფორმალური მიმდინარეობა სააღსრულებო წარმოების მხარეთა პრეტენზიისა თუ საჩივართან, ასევე იმ მესამე პირებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებულნი არიან აღნიშნული წარმოებით

1. შესავალი ნაწილი

სააღსრულებო სამართლის საპროცესო ნორმებმა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ იძულებითი აღსრულების განხორციელება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ფარგლებში. კრედიტორმა უნდა მოახერხოს საჭიროებისას ყველა სააღსრულებო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში მისი აღსასრულებელი მოთხოვნის აღსრულება. მოვალემ, თავის მხრივ, უნდა შეძლოს თავის დაცვა, თუ სააღსრულებო მოქმედებებმა დაარღვია მისი უფლებები. მაგალითად, თუ აღმასრულებელმა დააყადაღა ნივთები, რომლებიც არ ექვემდებარებოდა დაყადაღებას. მესამე პირებმა კი უნდა დაიცვან თავი იმ შემთხვევაში, თუ დასაშვებზე მეტად მოხდა მათი ჩართვა იძულებით სააღსრულებო წარმოებაში, ვიდრე ამას იმპერატიულად ითვალისწინებს კანონი. თითოეულმა მათგანმა – კრედიტორმა, მოვალემ და მესამე პირმა – უნდა შეძლოს კონკრეტული სააღსრულებო მოქმედების გასაჩივრება, რათა სასამართლომ გამოასწოროს აღსრულებისას დაშვებული შეცდომები. ქართული სააღსრულებო კანონი მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავს გასაჩივრების შესაძლებლობებს.

2. საქართველოს სააღსრულებო კანონის მე-18³ მუხლი

2010 წლის დეკემბერში შემოღებული სააღსრულებო კანონის მე-18³ მუხლი აღსრულების მონაწილე მხარეებს („მონაწილეების“ დეფინიცია მოცემულია მე-15 მუხლის ახალ რედაქციაში) აძლევს შესაძლებლობას, აღმასრულებლის მოქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან **გაასაჩივრონ** 10 კალენდარული დღის ვადაში. აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს უფლება აქვს საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, სააღსრულებო მოქმედება შეაჩეროს (კანონის 18³-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 წინადადება). იგი უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გააუქმოს აღმასრულებლის მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება (კანონის 18³-ე მუხლის მე-11 პუნქტი). ნორმა ამასთანავე არეგულირებს სარჩელის ფორმალურ მხარეებს და იმ შემთხვევებს, თუ როდის არ უნდა განიხილოს თავმჯდომარემ საჩივარი, როგორც ფორმალური, ასევე შინაარსობრივით თვალსაზრისით (რამდენადაც პრობლემურად მეჩვენება მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომაროს გადაწყვეტილების სასამართლოს მხრიდან კონტროლი შესაძლებელია კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში სასამართლოში გასაჩივრებით. რამდენადაც საჯარო მოხელის მიერ გასაჩივრებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პროცესი გართულებული და დროში განელილია.

უკეთესი იქნებოდა, როდესაც საჩივრის განხილვა სსსკ-ის 267¹-ე მუხლის მიხედვით უფრო სწრაფი და შედარებით არაფორმალური წარმოებით სასამართლოს მიერ მოხდებოდა.

ჩემს მიერ შეთავაზებულ იქნა ეროვნულ სააღსრულებო ბიუროსათვის რეგულირების შემდეგი ვარიანტი, რომლის გათვალისწინებაც არ მოხდა და რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

„წარმოებასთან დაკავშირებული პრეტენზიების (საჩივრის) განხილვა:

1. კრედიტორის, მოვალის და ასევე იმ მესამე პირთა სააღსრულებო წარმოების პროცესში წარმოშობილ პრეტენზიებზე, რომლებიც შეეხება იძულებითი აღსრულების სახეობას, აღმასრულებლის მიერ განსახორციელებელ სააღსრულებო მოქმედებებს და სააღსრულებო ბიუროს მიერ დადგენილ აღსრულების მოსაკრებელს, გადანყვეტილებას იღებს ის სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹-ე მუხლის შესაბამისად. სააღსრულებო ბიუროს შეუძლია სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანამდე თვითონ მიიღოს გადანყვეტილება სააღსრულებო წარმოების პროცესში წარმოშობილ პრეტენზიებთან დაკავშირებით.
2. გადანყვეტილების მიღებამდე სასამართლო უფლებამოსილია დროებით შეაჩეროს იძულებითი აღსრულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები გამოიყენება შესაბამისად.

მსგავსი წარმოება იქნებოდა ნამდვილად უფრო სწრაფი, ვიდრე ადმინისტრაციული სასამართლოს სამართალწარმოება. მაგალითად, მსგავს ნორმას იცნობს გერმანიის სააღსრულებო კანონმდებლობა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 766-ის სახით და რომელიც ეფექტიანად მოქმედებს.

3. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 147-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული კერძო აღმასრულებლის „სამართლებრივი ინსტრუმენტი“, მის მიერ აუქციონის მოსამზადებელი პროცედურისთვის წარდგენილ განცხადებაზე უარის თქმის შემთხვევაში

უარი კერძო აღმასრულებლის მიერ სააღსრულებო ბიუროში წარდგენილ განცხადებაზე (სააღსრულებო კანონის 147-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად), რომელიც მიზნად ისახავს იძულებითი აღსრულების დაწყების შემდგომ იძულებითი აუქციონის მომზადებას (კანონი უნოდებს ამ პროცესს „აუქციონის მოსამზადებელ პროცედურებს“) და ბიუროს მიერ მის განხორციელებას (სააღსრულებო კანონის 147-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად), კერძო აღმასრულებლის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის შეტყობიდან 1 თვის ვადაში (სააღსრულებო კანონის 147-ე მუხლის მე-9 პუნქტი). იგულისხმება ისე და ისე გასაჩივრების უფლება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად. ეს გზა იმდენად პრობლემურია, რამდენადაც ერთი სახელისუფლებო ორგანო მეორეს წინააღმდეგ ადმინისტრაციულ პროცესში დახმარების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

4. ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების განკარგულების გასაჩივრება სააღსრულებო კანონის 183-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით

ქონების შემძენისათვის საკუთრების უფლების მინიჭების განკარგულება, როგორც ასეთი, წარმოადგენს აუქციონის განმარტებული აღმასრულებლის აღსრულებასთან დაკავშირებით განხორციელებულ ლონისძიებას. კანონი არ ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ საკუთრების უფლების მინიჭებას „ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის“ კლასიფიკაციას აკუთვნებს, რომელზეც შესაძლებელია საჩივრის შეტანა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტით.

III. მოვალის მიერ მოგვიანებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის გამოყენება

1. შესავალი ნაწილი

სააღსრულებო ფურცლის გაცემა, განსაკუთრებით კი, გადაწყვეტილების მიღება, ასახავს მხოლოდ და მხოლოდ კრედიტორსა და მოვალეს შორის იმ მომენტისათვის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღსრულების საგანი მათი ურთიერთობების შესაბამისად მისაღებია ორივე მხარისათვის, შესაძლოა, მოგვიანებით გაჩნდეს ახალი მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც მოვალემ მიიჩნიოს, რომ აღსრულების საგანი აღარ შეესაბამება ახალ სამართლებრივ მდგომარეობას, იმ შემთხვევაში თუ: სააღსრულებო მოთხოვნა შეწყდა ნებაყოფლობითი გადახდით ან შეგებებული ურთიერთმოთხოვნების გაქვითვით; ამასობაში მოხდა თავდაპირველი მოთხოვნის განაწილვა; მოთხოვნის დათმობის, დაყადაღებისა თუ კანონიერი მოთხოვნის გადაცემის შემთხვევაში კრედიტორი აღარ არის მოთხოვნის ავტორი; აღარ არსებობს მოთხოვნის საქმიანი საფუძველი; წარმოიშვა დამატებითი მოთხოვნები. ყველა ეს მოთხოვნა ვერ გამოიყენება თავად სააღსრულებო წარმოებაში, იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნები სადაოა ან კიდევ საჭიროებს დამატებით მტკიცებულებებს, ვინაიდან აღმასრულებელს არ შეუძლია მათი გადამოწმება სამართლებრივი სახელმწიფოს არსის შესაბამისად. ეს არ ეხება თავად სააღსრულებო წარმოების მიმდინარეობას და, ამდენად, არ წარმოადგენს „გასაჩივრების“ საგანს მე-18³ მუხლის შესაბამისად. ვინაიდან სააღსრულებო წარმოება ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური სამართლის მიზანს, რომელიც განსაზღვრულია სააღსრულებო ფურცელში, უნდა არსებობდეს მატერიალურ სამართალთან შესაბამისებაში არ მყოფი სააღსრულებო მოთხოვნის (დროებით) შეწყვეტის შესაძლებლობა. ხშირ შემთხვევაში, სადაოა ფაქტები, რომლებიც ადასტურებს მოვალის შესაგებელსა და ხშირად საჭიროებს სასამართლო წესით სასარჩელო წარმოებას. ამიტომაც ასეთი შემთხვევებისათვის კანონითაა გათვალისწინებული ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოება.

2. სააღსრულებო კანონის 34-ე მუხლი

ქართულ სააღსრულებო სამართალში გამყარებულია მოვალის სააღსრულებო წარმოების დროს გათვალისწინებელი მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნები: კრედიტორის მიერ გადახდევინებაზე უარის თქმა – 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა ქვეპუნქტი, კრედიტორისა და მოვალის მორიგება – 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ ქვეპუნქტი, მოთხოვნის შეწყვეტა მოვალის გარდაცვალების გამო – 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის გ ქვეპუნქტი, გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი – 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დ ქვეპუნქტი, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დადგომა – 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ე ქვეპუნქტი. ეს მოთხოვნები შეიძლება წაყენებულ იქნას არა სასამართლო წარმოების ფარგლებში, არამედ მათი გათვალისწინება ხდება აღმასრულებლის მიერ. ეს, მართლაც, ეჭვქვეშ დგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღმასრულებელს აქვს მე-6 მუხლის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი იურიდიული განათლება, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინება გულისხმობს, მათ შორის, გადაწყვეტილების შეცვლის საშუალებასაც (ყოველ შემთხვევაში, სამომავლოდ), რაც არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის კომპეტენცია. აქ საქმე ეხება მოთხოვნებს (34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დ ქვეპუნქტის გარდა), რომლებიც გამომდინარეობს ოფიციალური დოკუმენტიდან და, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს მტკიცებულებათა შეგროვებისას.

კანონში ვერ ვხვდებით სხვა მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს. რა დებულება მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე სააღსრულებო მოთხოვნის ძალაში შესვლის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც სააღსრულებო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას, სააღსრულებო მოთხოვნა შესრულდა, ოფიციალური დოკუმენტის არსებობის გარეშე, ურთიერთგაქვითვის გარეშე, მოთხოვნის დავალებული პირისათვის გადაცემის გარეშე, და, ამგვარად, კრედიტორი ველარ განკარგავს სიტუაციას, რომ მოხდეს აღსრულების

გარკვეული დროით განაწილვადება? კიდევ არაერთი სხვა სახის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელსაც არ ანესრიგებს 34-ე მუხლი. როგორ ხდება მათი გამოყენება? როგორ მიიღწევა იმავდროულად, რომ იძულებითი აღსრულების გაჭიანურება სულ უფრო ხშირად ხდება არა ჰაერიდან მოტანილი მოთხოვნებისა თუ სხვა ნებისმიერი სახის მოთხოვნების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც უნდა მომხდარიყო თავდაპირველ პროცესზე, თუმცა არ მომხდარა გარკვეული დაუდევრობის გამო (ე. წ. პრეკლუზია – ანუ დაგვიანებულ მოთხოვნათა დაუშვებლობა)?

ეს საკითხები საჭიროებს დეტალურ მონესრიგებას, რასაც ვერ ვხვდებით ვერც სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში და ვერც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ეს უკანასკნელი, მართალია, 267¹ მუხლით ნაწილობრივ ანესრიგებს იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების ცალკეულ საკითხებს, მაგრამ მეტწილად მაინც ეხება აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ამავე კოდექსის 262-ე, 263-ე, 267²-ე, 269-271-ე მუხლებს. მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელი გამოსავალი არ არის აღიარებითი სარჩელი, რომელიც მოვალემ, ფაქტობრივად, შეიძლება დაუსრულებლად აღძრას აღსასრულებელი მოთხოვნის არარსებობის კუთხით (როგორც ამას ცხადყოფს დღესდღეობით მოქმედი პრაქტიკა, რამდენადაც მე მოვახერხე ამაში გარკვევა). აღიარებითი სარჩელი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლომ დროებით შეაჩეროს სააღსრულებო წარმოება ან/და განაახლოს იგი მხოლოდ დამატებითი პირობების გათვალისწინებით. მოვალეს რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი – უსამართლოდ განხორციელებული იძულებითი აღსრულების შემდეგ მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება კრედიტორისგან.

ანალოგიური პრობლემა მოგვარდა გერმანიაში ე.წ. აღსრულების ნეგატორული სარჩელით, რომელიც მონესრიგებულია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 767-ე მუხლით. ეს სარჩელი იძლევა აღსასრულებელი მოთხოვნის წინააღმდეგ მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობას და დასაბუთებულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ

1. არსებობს აღსასრულებელი მოთხოვნის წინააღმდეგ შეტანილი **მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი** (შესაგებელი, რომ აღსასრულებელი მოთხოვნა ამასობაში შესრულდა, ან შეწყდა ურთიერთ-მოთხოვნათა გაქვითვით, ან კიდევ კრედიტორმა დაკარგა მოთხოვნის აღსრულების უფლება მოთხოვნის დათმობით, სხვა პირზე გადაცემითა თუ დაყადაღებით, ამასობაში ამოიწურა მოთხოვნის აღსრულებისათვის განკუთვნილი ხანდაზმულობის ვადა – გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-3 ქვეპუნქტი).

2. ეს შესაგებელი არ გამოირიცხება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 767-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და 796-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ამ პრეკლუზიური პრინციპების აზრი და მიზანია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების დაცვა. პრეკლუზიის მიზანია (**მე-2 ნაწილის შესაბამისად**), რომ კონტრადიქტორულ სასამართლო გადაწყვეტილებებში დასაშვები იყოს მხოლოდ უფლების იმ შემზღუდველი ან შემლახველი (და არა უფლებადამაბრკოლებელი შესაგებელი, რომელთა წარდგენაც უნდა მომხდარიყო მთავარ სხდომაზე) შესაგებლების წარდგენა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არსებობდა სასამართლო ინსტანციის მიერ საქმის ფაქტობრივი ზეპირი განხილვისას, რამაც შეუძლებელი გახადა მათი სასამართლოზე წარდგენა. სადავოა შესაგებლის წარდგენა (შესრულება, ბათილობა და ა. შ.) ისეთი უფლებების საფუძველზე, როგორებიცაა გაქვითვა, შეცილება. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს მუდმივმოქმედი სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღსრულების ნეგატორული სარჩელი შეიძლება ილიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული უფლების გამოყენება შეუძლებელი იყო აღნიშნული საქმის უკანასკნელ სასამართლო განხილვაზე. რაც შეეხება გაქვითვის მოთხოვნას, ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს მოგვიანებით გაუჩნდა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის პრეტენზია ან კიდევ ეს მოთხოვნა დადგა მოგვიანებით.

პრეკლუზიამ (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 767-ე მუხლის მე-3 ნაწილი) უნდა უზრუნველყოს, რომ შესაგებელი, რომელიც ობიექტურად შეიძლებოდა წარმოდგენილიყო აღსრულების შეგებებული სარჩელის სახით, გამორიცხული და დაუშვებელია აღსრულების ნეგატორული სარჩელით.

მოვალემ, რომლის აღსრულების შეგებებულმა სარჩელმაც წარმატება იქონია, შეიძლება მოითხოვოს კრედიტორისაგან უკვე გადაცემული ნივთის უკან დაბრუნება. მოთხოვნის საფუძველია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლი. მოვალემ შეიძლება მოითხოვოს ამავე სარჩელით (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 769-ე მუხლი) იძულებითი აღსრულების დროებით, გადაწყვეტილების გამოტანამდე შეწყვეტა და მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, კრედიტორმა უნდა განახორციელოს საპროცესო უზრუნველყოფა აღსრულებამდე) განახლება.

მე ადრევე წამოვაცენე წინადადება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ანალოგიური ინსტიტუტის შემოღების თაობაზე და კონკრეტულად ჩამოვაცალიბე კიდეც მუხლი:

„აღსრულების შეგებებული სარჩელი“

1. მოთხოვნები, რომლებიც უშუალოდ შეეხება სააღსრულებო ფურცელში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას, შესაძლოა, წაყენებულ იქნას მოვალის მიერ სასარჩელო წარმოების გზით 1-ლი ინსტანციის სასამართლოში.
2. მსგავსი სახის მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც მიზეზები, რომლებსაც ისინი ეფუძნება, წარმოიშვა მხოლოდ სასამართლოს მთავარი სხდომის შემდეგ, რომელზეც შესაძლებელი იყო მოთხოვნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად წამოყენება და რომელთა გასაჩივრებაც უკვე დაგვიანებულია.
3. მოვალემ უნდა წამოაყენოს ყველა ის სასარჩელო მოთხოვნა, რომლებსაც ის წამოაყენებდა სარჩელის აღძვრის მომენტისათვის.
4. აღსრულების შეგებებული სარჩელის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საპროცესო სასამართლომ შეიძლება, გასცეს განკარგულება იძულებითი აღსრულების დროებით შეწყვეტის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.“
3. მსურს გავამახვილო ყურადღება ამავე კონტექსტში გერმანული სამართლის კიდეც ერთ ინსტიტუტზე, რომლის დანერგვაც შესაძლებელი იქნებოდა ქართულ სამართალშიც, თუმცა რომელიც დღესდღეობით არ არსებობს: საუბარია დელიქტური ქმედებების წინააღმდეგ მოტყუებითა თუ თაღლითური გზით მოპოვებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების საკითხზე შესაგებლისა ან სარჩელის აღძვრის შესაძლებლობებზე (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლი).

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს შესაგებლის წარდგენის მხოლოდ ძალზე შეზღუდულ შესაძლებლობებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის თაობაზე, შესაგებლებისა, რომელთა წარდგენაც შესაძლებელი იყო სასამართლო განხილვის დროს. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს უმაღლეს სამართლებრივ სიკეთეს: ერთი მხრივ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (579-ე და 580-ე მუხლები) იძლევა ძალზე კონკრეტული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ბათილობისა და რესტიტუციური სარჩელის აღძვრისა და, ამგვარად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობას. მსგავსი სარჩელის მიზანია კანონიერ ძალაში შესული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გადახედვა. მეორე მხრივ, შესაძლებელია პროგნოზზე დაფუძნებული პერიოდული გადახედვის შემთხვევაში, როდესაც ივარაუდება, რომ ფაქტობრივი გარემოებები სამომავლოდ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება (მატერიალური დახმარების საკითხზე სააღსრულებო ფურცლის გაცემით ივარაუდება, რომ კრედიტორს კვლავინდებურად დასჭირდება ეს დახმარება, ხოლო მოვალეს შემდგომშიც შეეძლება მატერიალური დახმარების განევა), გადაწყვეტილების შეცვლის მოთხოვნით სარჩელის აღძვრა იმ დასაბუთებით, რომ პროგნოზი აღარ მართლდება (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 323-ე მუხლი). მსგავსი ინსტიტუტები არსებობს ქართულ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც. თუ არასწორია სასამართლო გადაწყვეტილება ან

ნებისმიერ სხვა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას დაფუძნებული სააღსრულებო ფურცელი, მაშინ გადაწყვეტილება მაინც უნდა აღსრულდეს. გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება არასწორი ან უზუსტო სააღსრულებო ფურცლის არსებობის შემთხვევაშიც (მოსამართლემაც შეიძლება დაუშვას სამართლებრივი შეცდომა ან კიდევ არასწორად გაიგოს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი). ამდენად, დაუშვებელია ასეთ შემთხვევებშიც კი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადახედვა, განსაკუთრებით, თუ ამონაწერი მათი გასაჩივრების ვადები.

გერმანიის მრავალწლიანი სასამართლო პრაქტიკა უშვებს გამონაკლისს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, მართალია, არ არსებობს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა თუ გადახედვის შესაძლებლობები გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მაგრამ როდესაც სამართლიანობის ზოგადი განცდა აღემატება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ყველა ფაქტორსა და ზოგადზნობრივი ნორმებისა და პრინციპების უხეშ დარღვევად მიიჩნევა არასწორი ან დაუზუსტებელი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გადაწყვეტილების აღსრულებას. ასეთი პრინციპები გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებიდან:

- ზოგადზნობრივი ნორმების დარღვევით აღსრულებული გადაწყვეტილების გაუქმება (თუ აღსრულება უხეშად დაარღვია ზოგადზნობრივი ნორმები);
- შემდგომი ან განმეორებითი იძულებითი აღსრულების დაუშვებლობა;
- აღსრულების შედეგად დაბრუნებული ან ამოღებული ნივთის უკან დაბრუნება.

ზიანის ასეთი ანაზღაურება მოთხოვნადია ჩვეულებრივი წესით დასაშვები მიკუთვნებითი სარჩელით, რომელიც აღძვრადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სარჩელის აღძვრა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წამოყენებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორი ან არაზუსტია სააღსრულებო ფურცელი. ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვის მიზანი ვერ იქნება უზუსტობის გამოვლენა მტკიცებულებათა მოცულობითი შეგროვების დროს. ზიანის ანაზღაურების საპროცესო განხილვის (კანონისმიერი შეზღუდვების გათვალისწინებით) მიზანი არ არის ძველი სასამართლო პროცესის გამეორება „სწორი შედეგის“ მიღწევის მიზნით.

ამას გარდა, კრედიტორს ან მოტყუებით უნდა ჰქონდეს მოპოვებული სასამართლო გადაწყვეტილება (ან სააღსრულებო ფურცელი), ან სააღსრულებო ფურცლის გამოყენებით უხეშად უნდა იყოს დარღვეული სამართლიანობისა და ზნეობის ზოგადი პრინციპები შემდგომში წარმოშობილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.

თეორიულად დასაშვებია მსგავსი წარმოების საქართველოში არსებობაც, რის გამოც კიდევ ერთხელ ხაზი გავეუსვი ანალოგიურ გერმანულ ინსტიტუტს.

IV. მესამე პირის უფლება, დაიცვას იძულებითი აღსრულებისას მის საკუთრებაში არსებული ნივთები

1. შესავალი ნაწილი

აღმასრულებელი ამონაწერს მოძრავი ნივთების დაყადაღებისას, არის თუ არა ისინი მოვალის მფლობელობაში და არ ითვალისწინებს, რომ, შესაძლოა, ესა თუ ის დასაყადაღებელი ნივთი წარმოადგენდეს მესამე პირის საკუთრებას ან მასვე ჰქონდეს სხვა რაიმე უფლება. მესამე პირი ვერც მოახერხებს ამას მტკიცებულებათა მოცულობითი შეგროვების გარეშე. ამიტომაც, სააღსრულებო კანონმა უნდა გაითვალისწინოს მესამე პირისათვის სარჩელის აღძვრის შესაძლებლობები აღსრულების საგანზე უფლების დაცვის მიზნით.

2. მესამე პირის სარჩელი სხვისი ვალების გამო აღწერილი ქონების საკუთრების უფლების

შესახებ (სააღსრულებო კანონის 32-ე მუხლი)

კანონის ამ მუხლის საკმაოდ გაუგებარი ფორმულირება ვერ განმარტავს ზუსტად, თუ რომელი „უფლებები“ იგულისხმება ამ სახის სარჩელში. არის ეს დაყადაღებული ნივთის მხოლოდ სანივთო უფლებები თუ კიდევ ამავე ნივთის ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნებიც (მონათხოვრის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც არ არის მიმართული ამ ნივთის მესაკუთრის წინააღმდეგ) ან კიდევ წმინდა ფაქტობრივი პოზიციები (ფლობა)? ბუნებრივია, შეუძლებელია ყველა ცალკეული „უფლების“ გამყარება, მაგრამ შესაძლებელი უნდა იყოს მკაფიო შემაჯამებელი განსაზღვრება, რომელიც განიხილავს კონკრეტულ უფლებას სწორედ 32-ე მუხლის დებულებით.

გადახედვას საჭიროებს **32-ე მუხლის მე-3 პუნქტიც**, რომ თუ დაყადაღებული ქონება უკვე რეალიზებულია, სარჩელი წარედგინება იმ პირებს, რომელთაც გადაეცათ ეს ქონება. რეალიზებული ქონების დაბრუნების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დავა ქონების შემძენს, კრედიტორსა და მოვალეს შორის განიხილება სასამართლო წესით. სამართლებრივი უსაფრთხოებისა და გარეგნულად უნაკლო სუვერენული აქტების მდგრადობის ნდობის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე (სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის ყველა საპროცესო ნორმის გათვალისწინებით შემდგარი აუქციონი), შესაძლებელი უნდა იყოს სახელმწიფო აუქციონზე შექმნილი საკუთრების გასაჩივრება. სახელმწიფო აუქციონზე ქონების შემძენი პირი, რომლის წინააღმდეგაც არ აღძრულა მესამე პირის სარჩელი (წინააღმდეგ შემთხვევაში შეწყდებოდა იძულებითი აუქციონი), დარწმუნებული უნდა იყოს აღნიშნული ქონების საბოლოოდ შექმნაში. ხოლო თუ ქონების შემძენმა, გამონაკლისის სახით, არაკეთილსინდისიერად ითანამშრომლა კრედიტორსა და მოვალესთან, მაშინ მის წინააღმდეგ შეიძლება წარმოიშვას მოთხოვნები დელიქტური ქმედების გამო, რაც ქმნის მის წინააღმდეგ მესამე პირის სარჩელის აღძვრის საფუძველს. მესამე პირი უნდა შემოიფარგლებოდეს და დაკმაყოფილდეს მხოლოდ ამონაგებითა და კრედიტორისა და მოვალის წინააღმდეგ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით წარმატებულად ჩატარებული იძულებითი აუქციონის შემდეგ.

3. სარჩელის უპირატესი წესით დაკმაყოფილება (სააღსრულებო კანონის 41-ე მუხლი)

ძალიან გაურკვეველი და ბუნდოვანია 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დებულება, ანუ როდის წარმოიშობა ნივთზე უპირატესი წესით დაკმაყოფილების მოთხოვნა, ან კიდევ რა შესაბამისობაშია მსგავსი მოთხოვნის დასაბუთებული უფლება ისეთ უფლებებთან, რომლებიც ასაბუთებს მესამე პირების სარჩელს (32-ე მუხლი)? დასაშვებია ორივე სარჩელის ალტერნატიულად, პარალელურად აღძვრა? რამდენადაც ვიცი, ეს სარჩელი, ფაქტობრივად, არანაირ როლს არ თამაშობს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. ამისდა მიუხედავად, მისა-საღმებელი იქნებოდა კანონის ამ დებულების მკაფიო ფორმულირება.

უპირატესი წესით დაკმაყოფილების სარჩელის გამოყენების ძირითადი სფეროა გამქირავებლის გირავნობის უფლება (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 805-ე მუხლი), რომელიც ასახულია ქართულ სამოქალაქო კოდექსშიც (სსკ-ის 568-ე მუხლი, რომელსაც პრაქტიკაში უმნიშვნელო გამოყენება აქვს). მესამე პირს სარჩელს რომ მივანიჭოთ იმის შესაძლებლობა, რომ ნივთი გაათავისუფლოს აღსრულების პროცესიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ მიმდინარე ქირის გადახდა ევალება, მიანიჭებს მას იმაზე მეტის უფლებას, ვიდრე გააჩნია.

V. რამდენიმე კრედიტორის შორის ამონაგების საკითხზე არსებული დავა, რომელიც არ არის საკმარისი ყველა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად

1. შესავალი ნაწილი

იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე კრედიტორმა ერთდროულად აწარმოა იძულებითი აღსრულება, რომლის დასრულების შემდეგაც ამონაგები საკმარისი არ აღმოჩნდა თითოეული მათგანის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ არ შეიძლება, რომ ამონაგების დანაწილება იყოს მხოლოდ აღმასრულებლის დისკრეცია. აუცილებელია სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც გაირკვევა კრედიტორების მოთხოვნათა დასაბუთებულობა.

2. სააღსრულებო კანონის 82⁴-ე მუხლის მე-2 პუნქტი

თუ ყველა კრედიტორი არ დაეთანხმება აღმასრულებლის მიერ შედგენილ გაანგარიშებას, მაშინ აღმასრულებელი ვალდებულია, წარუდგინოს გაანგარიშება დასამტკიცებლად სასამართლოს (82⁴-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სააღსრულებო კანონი სხვას არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რომელი სხვა ნორმებია გამოსაყენებელი ასეთ შემთხვევებში. თუმცა სასამართლო, ალბათ, მოქმედებს საკუთარი ინიციატივით, როგორც კი აღმასრულებელი წარუდგენს მას გადასაწყვეტად შესაბამის საქმეს.

აღსრულების ეროვნული ბიურო გაანგარიშებას სასამართლოს წარუდგენს 3 დღის ვადაში. შედგენილი გაანგარიშების დამტკიცების ან შეცვლის შესახებ სასამართლო განჩინებაზე შესაძლებელია კერძო საჩივრის შეტანა. (82⁴-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ამონაგების განაწილების წარმოება, რომელიც იწყება იძულებით აღსრულებაში რამდენიმე კრედიტორის მონაწილეობის შემთხვევაში, განსაზღვრულია სარჩელის სახით (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 878-ე მუხლი) გერმანულ სამართალშიც. აღნიშნული სარჩელი აღიძვრება იმ კრედიტორის მიერ, რომელიც არ ეთანხმება აღმასრულებლის გაანგარიშებას. სარჩელის კანონით განსაზღვრულ ვადაში აღუძვრელობის შემთხვევაში ხდება გაანგარიშების შესრულება, რაზეც მოგვიანებით დაუშვებელია სარჩელის შეტანა. ამის მიზანია, რომ სასამართლომ არამართო ზედმეტად არ განიხილოს ყველა საჩივარი თუ შესაგებელი, არამედ გაანგარიშებით უკმაყოფილო კრედიტორმა კარგად გაიაზროს, სურს თუ არა მას სასარჩელო წარმოება ყველა სავარაუდო ხარჯითა და შედეგით.

VI. მოვალის სასარგებლოდ დათქმა

1. შესავალი ნაწილი

ყოველთვის შეიძლება, ადგილი ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ფორმალურ-სამართლებრივი მოტივით არანაირი დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს იძულებითი აღსრულების განსახორციელებლად და არც აღსასრულებელი მოთხოვნის წინააღმდეგ არსებობს თითქოს მატერიალური შესაგებელი, მაგრამ ამ ფორმით დაუყოვნებლივ აღსრულება დაარღვევდა სამართლებრივ შეგნებას. ამდენად, აუცილებელია დებულება, რომელიც შეაჩერებს ან შეზღუდავს იძულებით აღსრულებას სოციალური მოტივით. მსგავსი სახის ნორმა არსებობს ქართულ და გერმანულ სამართალშიც, როდესაც ძალზე თავისებურია სააღსრულებო წარმოება.

2. მოვალის განსაკუთრებული ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინება

(სააღსრულებო კანონის 31-ე მუხლი)

თუ იძულებითი აღსრულება მიმდინარეობს სააღსრულებო კანონის ძირითადი ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინებით (რაც შეუძლებელს ხდის ამავე კანონის 18³ მუხლით სასამართლოსადმი მიმართვას), მაგრამ სახეზეა განსაკუთრებული ვითარება, რომელიც შეუძლებელს ხდის აღსრულებას ზოგადი ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, მაშინ აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეძლევა შესაძლებლობა (31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი), 6 თვის ვადაში გადადოს აღსრულება, ხოლო, იგი უფლებამოსილია მის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვით. როდესაც საქმის გარემოება არ იცვლება, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს შესაძლებლობას, მოვალის განცხადებით სასამართლომ მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს სააღსრულებო წარმოება მაქსიმუმ 3 თვის ვადით. კრედიტორს კი შეუძლია საპირისპიროდ, როდესაც საქმის ვითარება შეიცვალა, რომელიც სააღსრულებო ბიურომ თავის გადაწყვეტილებას დაუდო საფუძველად, სასამართლოსგან გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა მოითხოვოს (მე-3 აბზაცი). განცხადებები განიხილება ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით (31-ე მუხლის მე-4 პუნქტი). სასამართლო იღებს საქმეზე განჩინებას, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრის მეშვეობით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლი).

საბოლოო მიმოხილვა: სააღსრულებო სამართალი მუდმივი ცვლილებების პროცესში:

საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვამ დაგვანახა, რომ კანონის რეგულირებები ამ სფეროში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. აღნიშნული სფერო არც ერთ ქვეყანაში არ არის მონესრიგებული სრულყოფილად, რაზეც მეტყველებს ევროპის ქვეყნების შესაბამის კანონთა სისტემური ცვლილებები. საქართველოს სააღსრულებო კანონის 2010 წლის დეკემბრის ცვლილებები არ იქნება საბოლოო. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სააღსრულებო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისადაგება, რომელიც 2011 წელს დაიწყება და 2 წელი გაგრძელდება, მიზეზი იქნება ახალი ცვლილებების განხორციელებისთვის.

იძულებითი აღსრულების სამართალი ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ გამოწვევებს, ერთი მხრივ, ეფექტურ ინსტრუმენტად რომ დარჩეს და მეორე მხრივ, მოვალის დაცვის საჭიროება არ უგულვებელყოს.

I. რეფორმის მაგალითები გერმანიიდან

ისევე როგორც ქართული სააღსრულებო სამართალი 2008 წლის ზაფხულში მუდმივი ცვლილებების პროცესში იმყოფებოდა, გერმანიაშიც, 2009 წლის ზაფხულში, მნიშვნელოვანი სააღსრულებო სამართლის საკანონმდებლო რეფორმა განხორციელდა. ძალაში შესული კანონებიდან მხოლოდ ორის განხილვით შემოვიფარგლები, ვინაიდან ისინი განსაკუთრებით უსვამენ ხაზს სააღსრულებო სამართლის ცვლილებების საზოგადოების განვითარებაზე დამოკიდებულებას და რომლებიც მოგვცემენ შესაძლებლობას განვსაზღვროთ, თუ რა ცვლილებელია მოსალოდნელი ქართული სააღსრულებო სამართლის განვითარების პროცესში:

1. ყადაღისგან დაცული ანგარიში

გერმანიის პარლამენტის მიერ 2009 წლის მაისში მიღებული კანონი ანგარიშის დაყადაღებისგან დაცვის თაობაზე აწესებს ყველა მოქალაქისთვის (კერძო პირები, დამსაქმებლები, დასაქმებულები, სოციალური შეღავათების მიმღებნი და ა.შ.) თავიანთ მიმდინარე ანგარიშზე რიცხული საარსებო მინიმუმის (იგი შეადგენს დღესდღეობით თვეში 985,15 ევროს) დაყადაღებისგან დაცვის საშუალებას, როდესაც მიმდინარე ანგარიში საკრედიტო დაწესებულებაში როგორც ე.წ. „დაუყადაღებელ ანგარიშად“ არის რეგისტრირებული. მნიშ-

ენელობა არ აქვს რომელ შემოსავალს (სესხი, ხელფასი, ნაჩუქარი, სოციალური შეღავათი) ეხება ანგარიშის თანხა. თუ ეს საბაზისო თანხა თვის განმავლობაში არ ამოიწურება, იგი ავტომატურად გადავა მეორე თვეში. ამგავარად, ანგარიშის მფლობელს შეუძლია დაზოგილი თანხა არც თუ მაღალი ხარჯებისთვის გადაინახოს, რომლის განწევაც მას ხანდახან უწევს (მაგ. ავტომობილის დაზღვევა, საშობაო საჩუქარი, ქირავნობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. თითო მოქალაქეს მხოლოდ ერთი ამგვარი ანგარიშის ქონის უფლება გააჩნია (გადამონმება ხდება ინფორმაციის ერთიან ბანკებში, მაგალითად SCHUFA). საარსებო მინიმუმის თანხაში შედის აგრეთვე განსაზღვრული სოციალური შეღავათები, როგორცაა ბავშვების თანხა, რომელიც ავტომატურად დაუყადალებელია. თუ მსგავსი ანგარიში მაინც დაყადალდება, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს ყადაღის გაუქმება, როდესაც ის დაასაბუთებს, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ანგარიშზე უმეტესწილად ყადაღადაუდებელი შემოსავლებია დარიცხული და მომდევნო 6 თვის განმავლობაშიც ასევე უმეტესწილად ყადაღადაუდებელი შემოსავლებია მოსალოდნელი. ყადაღადაუდებელი ანგარიშის შექმნა გამოიწვია შემდეგმა ფაქტორმა: ძველი რეგულირებით, მოვალე, რომლის საბანკო ანგარიშსაც ყადაღა დაედებოდა, ვერ განახორციელებდა ანგარიშთან დაკავშირებულ რაიმე ქმედებას მანამ, სანამ იგი თანხის სოციალური საფუძვლით დაუყადადებლობას სასამართლოში დაამტკიცებდა და ყადაღის მოხსნის შემდეგ თანხას გამოიტანდა. გარდა ამისა, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 850-ე და მომდევნო მუხლები (ყადაღისგან თავდაცვის ნორმები) მოქმედებდა მხოლოდ დასაქმებულისთვის, ხოლო გერმანიის სოციალური კოდექსის 1-ლი წიგნის მსგავსი რეგულირებები სოციალური შეღავათის მიმღები პირებისთვის. ვინაიდან დაყადაღებული ანგარიშიდან შეუძლებელი იყო გადარიცხვების წარმოება, ეს ყველაფერი იწვევდა ქირის გადახადის, სადაზღვევო შენატანების და ა.შ. არადროულ დაფარვას. გარდა ამისა, ბანკები ანგარიშის დაყადაღებას ანგარიშის შეწყვეტის მიზეზად იყენებდნენ. მყარი საბანკო ანგარიშის გარეშე კი არავის შეეძლო ბინა ექირავა, მუშაობა დაენყო და ა.შ. მიმდინარე ანგარიშის დაყადაღებას შეეძლო პირის სოციალური მდგომარეობა სწრაფად შეეცვალა. „ყადაღისგან დაცულმა ანგარიშმა“ მომავალში უნდა აგვაცილოს მსგავსი შემთხვევები.

ეს ცვლილება რამდენად წარმატებული იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში გაჩნდეს ცვლილების საჭიროება.

2. საგნის გამოკვლევის გაუმჯობესება

ქართული რეგულირების მსგავსად, გერმანიაშიც იქნა შემოღებული რეგულირება, რომლის მიხედვითაც მოვალე ვალდებულია წარუდგინოს აღსრულების კრედიტორს მისი ქონების აღმწერი საბუთი და საბუთის სისწორე დაადასტუროს ფიცის ჩვენების მიცემით, როდესაც ის იძულებითი აღსრულების დანყებამდე კრედიტორის მოთხოვნას არ აკმაყოფილებს (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 802-ე და მომდევნო მუხლები). ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 802დ-ის მიხედვით აღსრულების კრედიტორს, როდესაც მისი დაკმაყოფილება ნებაყოფლობით არ ხდება, საშუალებას აძლევს მას იცოდეს სად მდებარეობს მოვალის ქონება და რომელი ქონებით ღირს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ვინაიდან იგი ჯერ კიდევ იძულებითი აღსრულების საწყის ფაზაში იმყოფება, მოვალის რეესტრის (802-ე და მომდევნო მუხლები) ფუნქციას წარმოადგენს, ყველა დაინტერესებულ ხელშეკრულების მხარეს და პოტენციულ კრედიტორს მიუთითოს მოვალის ფინანსური კუთხით სანდოობაზე, რომელიც უკვე დასრულებული აღსრულების პროცესში არასანდოობით გამოირჩეოდა. ჩანაწერის გაკეთება რეესტრში ხდება მაშინ, როდესაც კრედიტორის სააღმსრულებლო მცდელობები შედეგს არ იღებს. მოვალესთან დაკავშირებული ჩანაწერის შინაარსი (§ 882ბ-ის მე-2 და მე-3 ნაწილი) შემოიფარგლება მოვალის პიროვნებასთან ერთად იმ აუცილებელი ფაქტებით, რომლებიც მისი რეესტრში შეტანის საფუძველი გახდა.

მოვალის მონაცემების რეესტრში შეტანა ხდება ფედერალური მინის მხოლოდ ე.წ. ცენტრალურ სააღმსრულებლო სასამართლოში (§ 882თ-ის 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადება) და შესაძლებელია მათი ფედერალური მასშტაბით ინტერნეტში მოძიება, როდესაც მაძიებელს § 882ვ-ის 1-ლი წინადადების № 1-6 ჩამოთვლილი მიზეზებიდან ერთ-ერთის დასაბუთება შეუძლია (§ 882თ-ის 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადება. № 4 უფრო

ფართო შესაძლებლობებს იძლევა, კერძოდ, ყველას აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მოვალეზე, როდესაც ვარაუდობს, რომ შესაძლებელია მოვალესთან საქმიანი ურთიერთობა წარმოემყვას. ამის საპირისპიროდ, ქონების აღწერასთან წვდომა (რომლის წარდგენაც ასევე სააღსრულებო სასამართლოში ხდება) შეზღუდულია და მხოლოდ იმ კრედიტორებს აქვთ მისი მიღების უფლება, რომლებიც იძულებითი აღსრულებას აწარმოებენ და შეზღუდულები არიან თავის მხრივ ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმეორედ მიიღონ. ისინი ინფორმაციას იღებენ არა უშუალოდ, არამედ მათთვის მიერ იძულებითი აღსრულების ფარგლებში მოქმედი აღმასრულებლისგან.

II. სამოსამართლო პრაქტიკის მონაწილეობა სამომავლო რეფორმის პროცესებში

დასავლეთ-ევროპის ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, აპრობირებული პრაქტიკის თანახმად, იუსტიციის ადმინისტრაცია ნებისმიერ კანონპროექტს პარლამენტში წარდგენამდე განიხილავს შესაბამისი სპეციალისტებისა და ექსპერტების და ასევე იმ პრაქტიკოსების წრეში (ხშირ შემთხვევაში ხდება აღნიშნულ სფეროში სპეციალიზირებული მოსამართლეების შერჩევა, რომლებიც წარმოადგენენ წერილობით დასკვნებს პრაქტიკული ხედვიდან გამომდინარე), რომლებსაც შემდეგ უშუალო შეხება ექნებათ ნორმებთან. თუკი აღნიშნული პრაქტიკოსები არსებითად უარყოფითად შეაფასებენ ცვლილებათა პროექტს, მისი საბოლოო ვერსიის შემუშავებისას უმთავრესად ხდება წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინება. გარდა ამისა, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი (როგორც წესი, იურიდიული კომიტეტი) ექსპერტებად იწვევს პრაქტიკოსებს და ისმენს მათ მოსაზრებებს კანონის პრაქტიკული ეფექტიანობის ან შესაძლო ხარვეზების შესახებ თუნდაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების კუთხით. გერმანიის შესახებ მოგახსენებთ, რომ ბუნებრივია, პოლიტიკოსები ყოველთვის არ თმობენ თავიანთ პოზიციებს და მართლმსაჯულებას და საკონსტიტუციო სასამართლოს მაინც საკმარისად უტოვებენ გამოსასწორებელ სამუშაოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად და მნიშვნელოვნად მიმაჩნია საწყის ეტაპზევე პრაქტიკოსების ჩართვა კანონშემოქმედებით პროცესში. საქართველოში რომ მომხდარიყო მოსამართლეებისა და ადვოკატების დროული და ამომწურავი მოსმენა სააღსრულებო კანონთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რეგულირებები სააღსრულებო წარმოებაში სასამართლოს მონაწილეობასა და განსაკუთრებით უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებების სისტემასთან დაკავშირებით არ იქნებოდა ასეთი ნაკლოვანი და შესაბამისი ნორმების ფორმულირებებიც უფრო მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი იქნებოდა. ვფიქრობ, თვითონ მოსამართლეებმაც და ადვოკატებმაც უნდა მოითხოვონ ადრეულ პროცესშივე მათი ჩაბმა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაკავშირებული დამატებით დროსთან. ადვოკატებისთვის და მოსამართლეებისთვის, რომლებისთვისაც მსგავსი დასკვნის მომზადება დამატებით სამუშაოს წარმოადგენს და ხშირად ისინი იმედგაცრუებულიც რჩებიან, როდესაც მათი მოსაზრებების გათვალისწინება არ ხდება. თუმცა მათ ჩართულობა ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი თავიანთ გამოცდილებას გამოყენებამდს ხდიან, მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო ტექსტების მომზადების პროცესში, განსაკუთრებით ისეთების, რომლებიც სასამართლო პროცესს შეეხება. ნამდვილად არ არის მიზანშეწონილი, სააღსრულებო კანონმდებლობის დახვეწა, რომლის პრაქტიკაში დანერგვა საკმაოდ რთულია, მხოლოდ პარლამენტს ჰქონდეს მინდობილი.

შესავალი საავტორო და სასაქონლო ნიშნების სამართალში

ა. საავტორო სამართლის საფუძვლები*

I. საფუძვლები

1. საავტორო სამართლის რეგულირების სფერო

საავტორო სამართალი იცავს შემოქმედებით საქმიანობას. დაცვით უზრუნველყოფილია, როგორც მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ასევე შემსრულებლის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლების, მონაცემთა ბაზის დამამზადებლების და სამაუწყებლო დაწესებულებების საქმიანობა (საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის პირველი მუხლი). ტრადიციულად, საავტორო სამართლით დაცული სიკეთე ორ კატეგორიად იყოფა:

- ნაწარმოების დაცვა: ეს არის საავტორო სამართლის დაცვის კლასიკური სფერო, რომელიც მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებების დაცვას უზრუნველყოფს, ანუ უზრუნველყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების დაცვას. სამეცნიერო ნაშრომებიც ხვდებიან ამ დაცვის სფეროში. ნაწარმოები არის ცენტრალური ცნება.
- შესრულების დაცვა: შესრულების დაცვა მოიცავს მრავალფეროვან შემოქმედებით და ორგანიზატორულ საქმიანობას, რაც თავად ნაწარმოები არ არის, მაგრამ უშუალო კავშირშია თავდაპირველი ავტორის შემოქმედებასთან. ასეთების რიცხვში შედიან: მომღერლები, მუსიკოსები, აუდიო და ვიდეოგრამების დამამზადებლები, სამაუწყებლო კომპანიები და მონაცემთა ბაზის დამამზადებლები.

2. საავტორო სამართლის არსი და მიზანი

საავტორო სამართალი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგების დაცვას ემსახურება. ამდენად ის საპატენტო სამართლის გვერდით მოიხზრება, რომელიც ასევე ინტელექტუალური შემოქმედების შედეგებს იცავს, მაგრამ ეს დაცვა ტექნიკაზე (ტექნიკურ აღმოჩენებზე) არის აქცენტირებული. საავტორო სამართლისგან განსხვავებით საპატენტო სამართალში მნიშვნელოვანია ნაწარმოების სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენება. საავტორო და საპატენტო სამართალი ეგრეთწოდებული ინტელექტუალური საკუთრების (Intellectual Property) ნაწილია. აღნიშნული ტერმინიდან ნათლად ჩანს, რომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ინტელექტუალური საკუთრება და ფიზიკური სახით გამოხატული ნაწარმოების ნივთობრივი საკუთრება (მაგალითად ნახატის, პლასტიკატის, თუ კომპაქტდისკის).

საავტორო უფლების მახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ დაცვის ობიექტი არა ფიზიკური არამედ ინტელექტუალური სიკეთეა. ასეთი ტიპის სიკეთეები ნივთობრივი საკუთრებისგან განსხვავებით ხასიათდებიან იმ ეკონომიკური თავისებურებებით, რომლებიც განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის აუცილებლობას განაპირობებენ. რადგან არამატერიალური სიკეთის შელახვა საკმაოდ ადვილია, როგორც არის მაგალითად, შესაძლებლობა სურვილისამებრ ხშირად და ძალზედ დაბალ ფასებში გაამრავლონ, გაუშვან ან საჯაროდ შეასრულონ იგივე ხარისხის მუსიკალური ნაწარმოებები, ავტორისთვის ძალზედ რთულია აკონტროლოს და დაიცვას თავი სხვისი მხრიდან საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობით მიღებული შედეგებით სარგებლობისაგან. სწორედ, ამიტომაც საავტორო სამართლით პირველ რიგში უზრუნველყოფილია ის რომ, შექმნილი ღირებული ინტელექტუალური ნაწარმოები მის ავტორს ეკუთვნის, რათა მან თავისი შემო-

* თუ სხვა აღნიშნვა არ არის, ნორმების მითითება ხდება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონიდან 2010 წლის 4 მაისის მდგომარეობით.

ქმედებითი საქმიანობით შექმნილი სარგებლის მიღება შეძლოს. აქედან შეგვიძლია იმ დასკვნის გამოტანა, რომ საავტორო სამართლის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს რომ ავტორი, თანაზიარი უნდა იყოს იმ ეკონომიკური სარგებლისა, რომელიც მის ნაწარმოებს მოაქვს. საავტორო სამართლის ეს ფუნქციონირება პრინციპი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცალკეული ნორმების განმარტებისას.

გარდა ამ ქონებრივ-სამართლებრივი განზომილებისა, საავტორო სამართალი იცავს ავტორის პიროვნულ-სულიერ დამოკიდებულებას მის ნაწარმოებთან. ამას ეწოდება საავტორო უფლების პირადსამართლებრივი განზომილება, ეგრეთ წოდებული ავტორის პირადი უფლება. მასში იგულისხმება მაგალითად, ავტორის უფლება ნაწარმოების პირველად გამოქვეყნებაზე და ავტორად აღიარების უფლება.

3. საავტორო სამართლის წყაროები

საავტორო უფლებას უპირველეს ყოვლისა იცავს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-2 მუხლის თანახმად ქართულ საავტორო სამართალში საერთაშორისო ხელშეკრულებებიც იგულისხმება, რომლებსაც ეროვნულ რეგულირებებთან მიმართებაში უპირატესი იურიდიული ძალაც კი აქვთ. მათ რიცხვებშია:

- 1886 წლის ბერნის შესწორებული კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ, ბოლოს შესწორდა 1971 წელს
- 1952 წლის კონვენცია მსოფლიო საავტორო უფლებების შესახებ
- 1961 წლის რომის კონვენცია შემსრულებელი ხელოვნების, აუდიოგრამების დამამზადებლებისა და მაუნუფაქტურის ორგანიზაციების დაცვის შესახებ
- 1994 წლის შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლების სავაჭრო ასპექტების შესახებ (TRIPS)
- 1996 წლის კონვენცია საავტორო უფლებების გამოყენების შესახებ (WIPO)
- 1961 წლის შეთანხმება შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ

4. კანონის სტრუქტურის მიმოხილვა

- საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის პირველი თავი კანონის მოქმედების სფეროს არეგულირებს. პირველი მუხლი განსაზღვრავს რეგულირების მიზანს, მე-3 მუხლი ეხება კანონის მოქმედების შინაარსობრივ და გეოგრაფიულ სფეროს. მე-4 მუხლი კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს შეიცავს. მე-2 მუხლი ადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებების ამ კანონთან მიმართებაში უპირატეს იურიდიულ ძალას იმ შემთხვევებისათვის, თუ ისინი ამ კანონისაგან განსხვავებულ წესებს შეიცავენ.
- თავი II არეგულირებს ნაწარმოებზე საავტორო უფლებების დაცვის ძირითად ნაწილს. მე-5 და მე-6 მუხლები უფრო დეტალურად გამოყოფენ ნაწარმოების დაცვის საგანს, ხოლო მე-7 მუხლი განმარტავს განსხვავებას ინტელექტუალურ უფლებასა და ნივთიერ საკუთრებას შორის. მე-8 მუხლი გამორიცხავს საავტორო სამართლის მოქმედების სფეროდან გარკვეულ ნაწარმოებებს, ისეთებს, როგორცაა, მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს დოკუმენტაცია. მე-10 მუხლი მნიშვნელოვან წესს შეიცავს, ავტორობის პრეზუმციასთან დაკავშირებით, მე-11 მუხლით რეგულირდება სამართლებრივი ურთიერთობები თანავტორებს შორის, მუხლი 12 განსაზღვრავს უფლებებს შედგენილ ნაწარმოებებზე, ხოლო მე-13 მუხლი გადამუშავებულ ნაწარმოებებზე. მე-14 მუხლი ადგენს პერიოდული გამოცემების გამომცემლების უფლებას გამოიყენონ ამ გამოცემებში შესული ნაწარმოებები. მე-15 მუხლი არეგულირებს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების (ფილმების) ავტორობის საკითხებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს ფილმის ავტორებსა და ფილმის შემქმნელებს შორის. მე-16 მუხლი შეიცავს დებულებებს საავტორო უფლებებზე შრომით ურთიერთობებში. უმნიშვნელოვანესი

ნორმებია შემდგომი, მე-17 და მე-18 მუხლები. ამ მუხლებში განმარტებულია, როგორც პირადი არა-ქონებრივი საავტორო უფლებები, რომლებიც ნაწარმოების საავტორო სამართლებრივი დაცვიდან გამომდინარეობს, ასევე ქონებრივ სამართლებრივი უფლებები იგივე განკარგვის უფლებები. საბოლოოდ, მე-19 მუხლი არეგულირებს მონაცემთა ბაზებსა და კომპიუტერულ პროგრამებზე ქონებრივ უფლებებს.

- თავი III შეეხება საავტორო უფლებების საზღვრებს. ამ ნაწილში საავტორო უფლებების დაცვის სფეროდან ამოღებულია კონკრეტული შემადგენლობები, ისეთები როგორიცაა, მაგალითად, უფლება ასლზე პირადი სარგებლობისათვის, ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ნაწარმოების გადამრავლების უფლება.
- თავი IV საავტორო უფლებების დაცვის ხანგრძლივობას არეგულირებს.
- თავი V შეიცავს ნორმებს ეგრეთ წოდებული საავტორო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ. საავტორო სახელშეკრულებო სამართალი არეგულირებს, თუ რა წინაპირობების არსებობისას შეუძლიათ ავტორებს ნაწარმოებით სარგებლობის უფლება გადასცენ მესამე პირებს.
- თავი VI შეეხება მომიჯნავე უფლებებს, როგორიცაა მომღერლების, მუსიკოსების, აუდიო და ვიდეო-გრამების დამამზადებლის უფლებები, ასევე შეეხება ამ უფლებების მოქმედების ფარგლებს.
- თავი VII არეგულირებს მონაცემთა ბაზის დამამზადებელთა უფლებებსა და ამ უფლებების მოქმედების ფარგლებს.
- თავი VIII არეგულირებს მომიჯნავე უფლებების დაცვის ვადას.
- თავი IX შეიცავს დებულებებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევისას უფლებამოსილი პირების მოთხოვნების შესახებ: მათ შორის გარკვეული მოქმედებებისგან თავის შეკავებისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, აგრეთვე მოთხოვნას არალეგალურად გადამრავლებული საქონლის ჩამორთმევის შესახებ. ამასთანავე, 61-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო წარმოებას ავტორებისა და მომიჯნავე უფლებების მატარებელი პირების მოთხოვნების დროებით უზრუნველყოფის მიზნით.
- თავი X შეიცავს დებულებებს საავტორო უფლებების მმართველი ორგანიზაციების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

II. საავტორო სამართლებრივი შემთხვევის შემონმების ტიპური სქემა

1. უფლების დაცვის შესაძლებლობა
 - ა) ნაწარმოებები და მომიჯნავე უფლებები
 - ბ) უფლების მოქმედების ვადა
2. აქტიური ლეგიტიმაცია (დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნა)
3. უფლების დარღვევა
 - ა) პირადი არაქონებრივი უფლებები
 - ბ) ქონებრივი უფლებები
4. უფლების დარღვევის მართლწინააღმდეგობა
 - ა) ნებადართულია კანონით ან მინიჭებული უფლებით
 - ბ) პრივილეგირებულია უფლების მოქმედებაზე დადგენილი საზღვრებით
5. პასიური ლეგიტიმაცია (პასუხისმგებლობა)
6. სამართლებრივი შედეგები
 - ა) ავტორობის აღიარება
 - ბ) დარღვევის აღმოფხვრა და შემდგომი უფლებების დარღვევის პრევენცია
 - გ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება
 - დ) სხვა მითითებები

- ე) არალეგალურად დამზადებული ნაწარმოებების და ასევე, ამ პროცესში გამოყენებული მასალებისა და დანადგარების დაყადაღება
 ვ) დროებითი ღონისძიებები

III. საავტორო სამართლებრივი მოთხოვნების შემოწმება

შემდგომში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ის ზემოაღნიშნული თითოეული საკითხი (პუნქტი), რომელიც საავტორო სამართლებრივი მოთხოვნების განხილვისას არის გასათვალისწინებელი. ეს სქემა ნებისმიერი სახის მოთხოვნის გამოყენების საფუძვლის არსებობისას ერთნაირად საყურადღებოა, როგორც მიყენებული ზარალის ანაზღაურების, ასევე უმოქმედობის მოთხოვნის დროს.

1. დაცვის ობიექტი: ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლებების დაცვა

თავდაპირველად გადამოწმებულ უნდა იქნეს, იცავს თუ არა საავტორო სამართალი იმ ობიექტს, რომელზეც მომჩივანი საავტორო უფლებას აცხადებს. ამასთან, ერთმანეთისაგან განსხვავდება ნაწარმოების და მომიჯნავე უფლების დაცვა.

ა) ნაწარმოებები

თუ რა სახის ნაწარმოებებს მოიცავს საავტორო სამართალი განსაზღვრულია მე-5 და მე-6 მუხლებში. ეს კატალოგი, როგორც ეს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს არ არის ამომწურავი. საავტორო სამართლით დაცული ობიექტებისაგან ზოგად გამიჯვნის კრიტერიუმს ადგენს მე-5 მუხლი. ეს შეეხება პირად ინტელექტუალურ შემოქმედებას. მხოლოდ პირადი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგები ექცევიან საავტორო სამართლის დაცვის სფეროში. აქვე მნიშვნელოვანია, რომ საავტორო სამართალი იცავს არა იდეას, მეთოდს ან მეცნიერულ აღმოჩენას როგორც ასეთს. საავტორო სამართალი იცავს მხოლოდ ინტელექტუალურ სამუშაოს, რომელმაც რაღაც გარკვეული ფორმა შეიძინა და ადამიანების (საზოგადოების) ცნობიერებისთვის აღქმადია. თუმცა ამის ფიზიკური გამოხატულება სავალდებულო არ არის. ისიც კი საკმარისია მაგალითად, როდესაც ლექსს წაიკითხავენ, საავტორო უფლების მოპოვებისათვის არ არის აუცილებელი, რომ ეს ლექსი წერილობითი ფორმის იყოს. არც მისი გამოქვეყნება აუცილებელია, როგორც ეს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტშია მითითებული. საავტორო უფლება წარმოიშობა კონკრეტული ხარისხის, მიზნის, ჟანრისა თუ ფორმისაგან დამოუკიდებლად. ეს დამოკიდებული არ არის ასევე იმაზე, თუ ავტორმა ნაწარმოების შექმნისას რა კონკრეტული ძალისხმევა ან ფინანსური ინვესტიციები გასწია.

ცნება – პირადი ინტელექტუალური შემოქმედება – გულისხმობს, რომ საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოები უნდა იყოს ადამიანის მიერ შემოქმედებითად განეული საქმიანობა. ამიტომაც მხოლოდ დანადგარებით და აპარატებით და მითუმეტეს მხოლოდ კომპიუტერის გამოყენებით მიღებული პროდუქცია ამოღებულია საავტორო სამართლის დაცვის არეალიდან. მხოლოდ კომპიუტერით გადათარგმნილი ტექსტი არ არის ნაწარმოები. თუმცა ასეთი ნაწარმოებები, რომლებიც ტექნიკური საშუალებების დახმარებით შეიქმნა, არ გამოირიცხება საავტორო სამართლის დაცვის არეალიდან, მაგალითად, ისეთი როგორიცაა კომპიუტერის საშუალებით შექმნილი არქიტექტურული ნახაზები. ასევე, ცხოველების გამოყენებით შექმნილი ნაწარმოებები არ იგულისხმება საავტორო სამართალში.

უფრო რთულია ინტელექტუალური მნიშვნელობის დადგენა, რომელიც ნაწარმოებს უნდა გააჩნდეს, იმისთვის რომ დაცულ იქნეს საავტორო სამართლით. ეს არსებითად იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ინტელექტი, მისი აზრები და გრძნობები კონკრეტულ ნაწარმოებში უნდა აისახოს. ამ კრიტერიუმის აღსაწერად გამოიყენება სხვა ცნებაც – ინდივიდუალიზმი. ნაწარმოები ინდივიდუალური გამოხატულებით უნდა იყოს შექმნილი. სხვა განსაზღვრებებია შემოქმედებითი თავისებურება, ინდივიდუალური ხასიათი ან თავისებუ-

რი შემოქმედებითი გამომსახველობა. ინდივიდუალიზმი შეიძლება გამომდინარეობდეს ან (შინაარსობრივი) კონცეფციიდან ან შექმნილი ფორმიდან. ეს ნაწარმოებების სახეების და მიხედვით უნდა დადგინდეს.

ინდივიდუალიზმის ცნების ერთი-ერთი ფუნქციაა საავტორო სამართლით დაცული და მისი მოქმედების სფეროდან ამოღებული „ნაწარმოებები“ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ინდივიდუალურობის საფუძველზე ხდება საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოების განსხვავება ყოველდღიური, ბანალური, საშუალო, წმინდა ხელოსნობისა და რუტინული სამუშაოს მოცულობისგან. მაშინაც კი, როცა ეს ქმედება სოლიდურად და პროფესიონალურად იქმნება, არ ხდება ავტომატურად ინდივიდუალური. მაგრამ ყოველი ინდივიდუალობა არ არის საკმარისი, რომ ობიექტი საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ მოექცეს. გარკვეული გამომსახველობითი დონე უნდა იყოს მიღწეული, თუმცა არ არის საჭირო იყოს უბადლო. გერმანული სამართლის მიხედვით მხოლოდ გამოყენებითი ხელოვნების დარგშია აუცილებელი საშუალო შესაძლებლობებზე მნიშვნელოვნად მაღალი გამომსახველობითი დონე. სხვა ნაწარმოებებში კი საკმარისია ინდივიდუალურობის მინიმუმიც, ე.წ. „პატარა ხურდები“.

ინდივიდუალიზმის ცენტრალურ კრიტერიუმს კიდევ ერთი ფუნქცია ემატება. ის განსაზღვრავს კონკრეტული ნაწარმოების დაცვის არეალს. ამიტომაც, რაც უფრო ფართოა ინდივიდუალიზმი, რაც უფრო ძლიერია ნაწარმოების სტილის თავისებურებანი, მით უფრო ფართოა დაცვის შესაძლებლობა.

აუცილებელია ყველა შექმნილი ელემენტის ღირებულებითი და შემაჯამებელი შეფასება. ამის საზომი არის ნაწარმოების შექმნის მომენტში შესაბამის გამომსახველობით მიმდინარეობასთან გარკვეულწილად დაახლოებული და ღია წრეების დასკვნა. ეს ორ ეტაპად ხორციელდება:

პირველ რიგში შედარება ხდება ნაწარმოების საერთო სახისა თავისი კონკრეტული ფორმების მიხედვით მანამდე არსებულ გამოსახულებებთან, ისე რომ შემონმდეს, საერთოდ გააჩნია თუ არა ამ კონკრეტულ ფორმას ინდივიდუალური თავისებურება მანამდე არსებულთან მიმართებაში. შემდეგ, მეორე ეტაპზე ინდივიდუალური თავისებურებების საფუძველზე მონმდება ფლობს თუ არა ნაწარმოები აუცილებელ გამომსახველობით დონეს. თუ შემოქმედებითი თავისუფლება შეზღუდულია, რადგან მაგალითად ქალაქის დაგეგმარებისას გარკვეული მონაცემები წინასწარაა მოცემული, მაშინ მოთხოვნები საავტორო სამართლის გავრცელებაზე უფრო დაბალია, რადგან ინდივიდუალური შემოქმედების თავისუფლება მცირეა.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი არაა სიახლის შექმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული ორი ნაწარმოები ანუ იდენტური და ერთმანეთს ძალიან მიახლოებული ტექსტებიც სრულიად შესაძლებელია ერთდროულად იყვნენ უფლებრივად დაცული.

ბ) დაცვის უფლების წარმოშობა

სავტორო უფლებები ნაწარმოების შექმნის მომენტიდანვე წარმოიშობიან, როგორც კი ეს ადამიანური ცნობიერებისთვის აღქმადი და გადამუშავებადი ხდება (მე-9 მუხლის პირველი პუნქტი). დარეგისტრირება ან რაიმე სახის ფორმალობების დაცვა არ არის სავალდებულო (მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი). მე-9¹ მუხლი იძლევა შესაძლებლობას დეპონირება გაუკეთდეს ნაწარმოებს „საქპატენტში“. ამან შეიძლება ავტორს თავისი უფლების დარღვევის შემთხვევაში გაუადვილოს საკუთარი ნაწარმოების პრიორიტეტულობის დამტკიცება.

ძირითადად, ის, ვინც ინდივიდუალურ-ინტელექტუალური ქმედებით ნაწარმოებს ქმნის, ავტორია და უფლებამოსილია მთლიანად ისარგებლოს საავტორო სამართლიდან გამომდინარე უფლებებით, აქედან მე-16 და 43-ე მუხლის მე-8 პუნქტი საყურადღებო გამონაკლისებს ადგენენ: შრომითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოქმნილი საავტორო უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს, თუ შრომის ხელშეკრულება ამ წესისაგან განსხვავებულ რეგულირებას არ შეიცავს. დავალების ხელშეკრულებისას მოქმედებს იგივე პრინციპი, ისე რომ მთელი საავტორო სამართლებრივი უფლებამოსილებები დამკვეთს გააჩნია.

განსაკუთრებული წესები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ რამოდენიმე პირი მონაწილეობს ერთი ნაწარმოების შექმნაში. ეს წესები მე-11 მუხლშია მოცემული.

გ) ნაწარმოების ნაწილები

შესაძლებელია დაცული იყოს არა მხოლოდ მთლიანი ნაწარმოები, არამედ ნაწარმოების შემადგენელი ნაწილებიც. თუ შემადგენელი ნაწილები საჭირო წინაპირობებს ასრულებს, მაშინ ის შეიძლება დაცულ იქნეს საავტორო სამართლით. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება მნიშვნელოვანი, როდესაც ნაწარმოების ნაწილები ახალ ნაწარმოებში გამოიყენება.

დ) გადამუშავებული ნაწარმოებები

უკვე შექმნილი ნაწარმოების გადამუშავებული ვარიანტიც შეიძლება სარგებლობდეს საავტორო სამართლის დაცვით, თუ თავად ეს გადამუშავება ინდივიდუალურ-ინტელექტუალური საქმიანობის შედეგია. ამ შემთხვევაში ხშირად ისმება კითხვა, შეეხება ეს თავისუფალ გამოყენებას თუ არათავისუფალ გადამუშავებას, ანუ გადასამუშავებლად ესაჭიროება თუ არა ავტორს ორიგინალი ნაწარმოების ავტორის თანხმობა.

ე) ცალკეული ნაწარმოებები

შემდეგი ნაწარმოებები ექცევიან საავტორო სამართლებრივი დაცვის ქვეშ:

- ენობრივი ნაწარმოებები, მათ რიგებში კომპიუტერული პროგრამებიც შედის
- დრამატურგიული ნაწარმოებები (სასცენო პიესები) და მუსიკალურ-დრამატურგიული ნაწარმოებები (ოპერები), ქორეგრაფიული, პანტომიმისა და სხვა თეატრალური ნაწარმოებები
- მუსიკალური ნაწარმოებები (ტექსტით ან ტექსტის გარეშე)
- აუდიოვიზუალური ნაწარმოებები (ფილმები)
- ნახატები, ქანდაკებები, გრაფიკული, ლითნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები
- გამოყენებითი ხელოვნება
- სასცენო ესკიზები
- არქიტექტურული, ქალაქის დაგეგმარებისა და ლანდშაფტის დაგეგმარების ნაწარმოებები
- ფოტოგრაფიის ან/და მასთან მიახლოებული ნაწარმოებები, როდესაც ფილმის ცალკეული კადრები არ წარმოადგენენ ფოტოგრაფიის შედეგს
- რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები და იგივე ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც ემსახურებიან გეოგრაფიულ ან კარტოგრაფიულ მიზნებს
- რეპროდუქციები როგორცაა თარგმანები, ადაპტირებული ტექსტები, ფილმები, სასცენო პიესები, სატელევიზიო გადაცემები, მუსიკალური არანჟირებები, პოპური
- ნაწარმოებების კრებულები, როგორცაა მაგალითად ენციკლოპედიები, ანთოლოგიისა და მონაცემთა ბაზის ნაშრომები, რომლებშიც შინაარსია და ელემენტების შედგენა და არჩევა პირად-ინტელექტუალურ ნაშრომს წარმოადგენენ
- სხვა ნაწარმოებები

ვ) საავტორო უფლებების დაცვის ვადები

დადგინდა, რომ ნაწარმოები, რომელიც საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ ექცევა, უნდა გადამოწმდეს დაცვის ვადის თვალსაზრისით. 31-ე მუხლის თანახმად ნაწარმოებები ავტორის გარდაცვალებიდან კიდევ 70 წელია დაცული. ვადა იწყება ავტორის გარდაცვალებიდან მომდევნო წლის პირველი იანვრიდან. ამ პრინციპიდან ცალკეულ გამონაკლისებს 32-ე მუხლი არეგულირებს. განსაკუთრებულად რეგულირდება ანონიმური ნიმუშები ან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული. განსხვავებული ვადების ათვლის წესი ვრცელდება კრებულებსა და რეპროდუქციებზე.

ისეთი უფლებები, რომლებიც ავტორის პიროვნებიდან გამომდინარეობს, მაგალითად როგორცაა ავტორობის აღიარების უფლება (იხილეთ ქვემოთ) ყოველგვარი ვადების გარეშეა დაცული (33-ე მუხლი). მაშინაც კი, როდესაც დაცვის ვადა გასულია, სხვა ავტორებს არ აქვთ უფლება, ნაწარმოების სათაური იგივე ჟანრის ნაწარმოებებისათვის გამოიყენონ, თუ ამან გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს.

34-ე მუხლი კიდევ ერთხელ განსაზღვრავს, რომ საავტორო უფლების დაცვის ვადების გასვლის შემდეგ, შესაძლებელია ნიმუშების თავისუფლად გამოყენება საავტორო ჰონორარის გადახდის ვალდებულების გარეშე.

ზ) საგნები, რომლებიც საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ ვერ ექცევა

საავტორო სამართლით დაცვას არ ექვემდებარება ოფიციალური დოკუმენტაცია. ეს გამომდინარეობს მე-8 მუხლიდან.

თ) მომიჯნავე უფლებების დაცვა

შესრულებით მიღებული უფლებები იგივე მომიჯნავე უფლებები, საავტორო უფლებებისგან განსხვავებით იცავს, არა შემოქმედებით წარმონაქმნს, არამედ სხვა ხასიათის შესრულებას, რომლებიც შემოქმედებით საქმიანობას ჰგავს ან ხორციელდება მასთან მჭიდრო კავშირში. ნაწილობრივ, მათ საავტორო უფლებისათვის დამახასიათებელი ანალოგიური საფუძვლები (განუხილ სამუშაოს დაცვა) აქვთ, როგორცაა მაგალითად შემსრულებელი ხელოვანების უფლებები, ნაწილობრივ კი ისინი მიმართულნი არიან იქითკენ, რომ ტექნიკური ან ორგანიზატორული შესრულებისათვის უზრუნველყონ წმინდა ეკონომიკური მიზნებით მოტივირებული საინვესტიციო დაცვა. შემსრულებლების უფლებების დაცვის შინაარსი იმისდა მიხედვით რეგულირდება, თუ რა სახის საშემსრულებლო საქმიანობაა (იხილეთ ქვემოთ „უფლებების დარღვევა“). ნებისმიერი საშემსრულებლო უფლებებისათვის საერთო მახასიათებელი მდგომარეობს იმაში, რომ მათი გამოყენება მხოლოდ მათ საფუძვლად არსებული საავტორო უფლებების დაცვის პირობითაა შესაძლებელი (46-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ შემსრულებელმა ხელოვანებმა კონკრეტული სიმღერის შესრულებისას უნდა დაიცვან კომპოზიტორის საავტორო უფლებები. აუდიოგრამების დამამზადებელმა ჩანერისას კომპოზიტორის საავტორო უფლებებთან ერთად უნდა დაიცვან შემსრულებელი ხელოვანების უფლებებიც. ასევე, არ არის საჭირო გარკვეული ფორმალობები, როგორცაა მაგალითად, დარეგისტრირება მომიჯნავე უფლებების წარმოშობისათვის. მომიჯნავე უფლების დაცვის ვადა ორმოცდაათ წელს შეადგენს (შეადარეთ 57-ე მუხლი), თუმცა ვადის ათვლა პირველივე წარმოდგენიდან, ან თუ ეს ჩანერით განხორციელდა, ჩანანერის პირველად გამოქვეყნებით ანუ აუდიოგრამის პირველად გამოქვეყნებით ან პირველადი სატელევიზიო გაცემიდან იწყება. მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები ამ მონაცემთა ბაზის შექმნიდან თხუთმეტი წლის ვადით შემოიფარგლება.

(1) შემსრულებელ ხელოვანთა უფლებები

შემსრულებელი ხელოვანი ეს ის პირია, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებებს წარმოგვიდგენს. ამასთან, მე-4 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილია მაგალითად თეატრის, კინოს მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები და მოცეკვავეები ასევე სხვა პირები, რომლებიც წარმოგვიდგენენ, ციტირებენ, მღერიან, აკომპანიმენტს უწევენ და ა.შ. უფლების დაცვის საგანია შესრულება, სადაც „ხელოვნებაში წვლილია“ სავალდებულო. როგორც წესი შემოქმედებით თანამონაწილეობას არ წარმოადგენს ხმის რეჟისორების, გრიმიორების, დეკორატორებისა და გამნათებლების საქმიანობა.

(2) ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლის უფლებები

ფონოგრამებისა და ვიდეოგრამების დამამზადებლის განსაზღვრება მე-4 მუხლის „თ“ და „ქ“ ქვეპუნქტებშია მოცემული. აღნიშნული პირები ეკონომიკურ და ორგანიზატორულ (სამენარმეო) საქმიანობას ახორციელებენ ფონოგრამისა თუ ვიდეოგრამის ჩანერისას.

(3) მაუნყებლების უფლებები

ამ მომიჯნავე უფლების დაცვის საგანია მაუნყებლობა, დაცვის მიზანია ტექნიკური და ორგანიზატორული სამუშაოს განევა, რომელიც მაუნყებლობისათვის აუცილებელია.

(4) მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებები

მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დაცვის საგანია ეკონომიკური და ტექნიკური სამუშაოს შესრულება მონაცემთა ბაზის შექმნისათვის. ეს მომიჯნავე უფლებები საავტორო უფლებებისგან უნდა გან-

ვასხვავოთ. მონაცემთა ბაზის არსს განსაზღვრავს მე-4 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტი და მოიცავს ნაწარმოებების, მონაცემებისა და სხვა დამოუკიდებელი ელემენტების ნაკრებს, რომლებიც სისტემურად ან მეთოდურადაა დალაგებული და ცალცალკე ელექტრონული საშუალებების დახმარებით ან სხვა რაიმე გზით ხდება ხელმისაწვდომი. 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მონაცემთა ბაზის ის დამამზადებლები არიან დაცული, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ ელემენტების მოპოვება, გადამონმება თუ წარმოდგენა მათი ხასიათისა და მოცულობიდან გამომდინარე სოლიდურ ინვესტიციას საჭიროებდა. მონაცემთა ბაზის მაგალითებია, სატელეფონო ნიგნები, სასტუმროს და სამოგზაურო ტურების დაჯავშნის სისტემები. საავტორო უფლებების დაცვისგან განსხვავებით, მომიჯნავე უფლებებით დაცული მონაცემთა ბაზის ელემენტების დასალაგებლად და ასარჩევად პირადი ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება არ არის აუცილებელი.

ი) პროცესუალური

საავტორო სამართალში მიმდინარე პროცესის ფარგლებში პირმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს საავტორო სამართლით დაცულ პოზიციაზე, უნდა დაადასტუროს, რომ საქმე ეხება პირად-ინტელექტუალურ შემოქმედებას. ეს როგორც წესი ხორციელდება ნაწარმოების წარდგენით, რასაც პროცესში ეწოდება „საჩივრის ნიმუში“. ხშირად, განსაკუთრებით ლიტერატურის, მუსიკის, ფილმებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების დროს, საკმარისია დაკვირვების შედეგად მიღებული საერთოშმაბეჭდილება. მხოლოდ წარდგენა არ არის საკმარისი, როდესაც გამომსახველობითი დონის მაღალი მოთხოვნებია დაყენებული ან როცა შემოქმედებითი ინდივიდუალიზმი სხვაგვარად არ იძლევა განსჯის საშუალებას (ამის მაგალითებია მონაცემთა ბაზები, კრებულები, სტანდარტული ნაწარმოებები). მოსარჩელემ უნდა აღნიშნოს, საიდან გამომდინარეობს ნამუშევრის ინდივიდუალიზმი და რითი განსხვავდება ეს ნაწარმოები მანამდე არსებული საშუალო დონის ფორმებისგან.

წინაპირობების განხილვისას, ექცევა თუ არა ობიექტი საავტორო სამართლის დაცვის სფეროში, საქმე გვაქვს სამართლებრივ და არა ფაქტობრივ საკითხთან.

2. აქტიური ლეგიტიმაცია

აქტიური ლეგიტიმაციის დადგენისას უნდა განიმარტოს, არის თუ არა კონკრეტული მოსარჩელე, რომელიც საავტორო სამართლიდან გამომდინარე აცხადებს პრეტენზიას, უფლებამოსილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსარჩელეს გააჩნია თუ არა მოთხოვნის უფლება. პრობლემატური არ არის, როდესაც თვითონ ავტორს შეაქვს სარჩელი და სარჩელის შეტანის მომენტამდე სადაო საგნის გამოყენების უფლებები ჯერ არ არის ლიცენზირებული. რთული ფაქტობრივი კითხვები შეიძლება გაჩნდეს მაშინ, თუ სარჩელი შეაქვს არა ავტორს არამედ ლიცენზიანტს ან როდესაც ავტორს სურს თავისი მოთხოვნების სასამართლო გზით დაყენება, მაგრამ მან უკვე ყველა განსაკუთრებული ლიცენზია გასცა.

თუ ავტორმა ერთ ლიცენზიანტს გადასცა სარგებლობის განსაკუთრებული უფლებები, მაშინ ეს განსაკუთრებული ლიცენზია ნებისმიერი პირის მიმართ მოქმედებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მას როგორც ნივთობრივი აგრეთვე აბსოლუტური მოქმედების ძალა აქვს. ამ შემთხვევაში ლიცენზიანტი უფლებამოსილია საავტორო უფლებების დარღვევისას მოთხოვნები წამოაყენოს, მაგრამ მხოლოდ მისი ლიცენზიის მოქმედების ფარგლებში, ანუ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც გადაეცა მას უფლებები. საკითხავია ამ შემთხვევაში, აქვს თუ არა ამ დროს თავად ავტორს მოთხოვნების წამოყენების უფლება. ამას ყოველ შემთხვევაში უმოქმედობაზე პრეტენზიასთან მიმართებაში დადებითად უნდა გაეცეს პასუხი, როდესაც ავტორი თავად სამართლიანად კიდევ დაინტერესებულია უმოქმედობით. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევაა, როდესაც ავტორი ლიცენზიანტის მიერ მიღებული მოგების მენილვა.

თუ ავტორმა ჩვეულებრივი უფლებები გადასცა, მაშინ ის არ მოქმედებს ნებისმიერი პირის მიმართ, ისე რომ ლიცენზიანტს არ შეუძლია მარტომ უპასუხოს სამართალდარღვევებს. თუ ლიცენზიანტმა ავტორისგან, მოთხოვნების წაყენების უფლებამოსილება მოიპოვა, მაშინ საავტორო უფლებების დაცვის პროცესში ის

აქტიურად ლეგიტიმირებულია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სხვისი უფლებების დაცვა საკუთარი სახელით ხორციელდება.

საავტორო უფლება მემკვიდრეობითია, ისე რომ საავტორო უფლება ავტორის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებზე გადადის. ამ საფუძვლით მე-10 მუხლით დადგენილი პრეზუმფცია ძალზედ მნიშვნელოვანია. 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მოსარგებლის მიერ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ შესაბამისი უფლებების მქონეა კოლექტიური მართვის ორგანიზაცია.

ხშირად განსაკუთრებული უფლებები რამდენიმე დონეზე ხორციელდება, ისე რომ აქტიური ლეგიტიმურობის დადასტურებისათვის ლიცენზიების გრძელი ჯაჭვის განხილვა საჭირო და მოპასუხის პრეტენზიის შემთხვევაში, ამ ლიცენზიების არსებობა უნდა დამტკიცდეს კიდევ. მოსარჩელეს ამან შესაძლოა ნაწილობრივ დიდი პრობლემა შეუქმნას, რადგან უფლებების გადაცემა ხშირად არასაკმარისადაა დოკუმენტირებული და ხშირად მრავალი ათწლეულია გასული.

3. უფლებების დარღვევა

იმის შემდეგ რაც დამტკიცდება, რომ ნიმუში ექვემდებარება დაცვას და მოსარჩელეც უფლებამოსილი პირია, მოწმდება, საერთოდ დარღვეულია თუ არა საავტორო სამართლიდან გამომდინარე უფლებები. საავტორო სამართლიდან გამომდინარე უფლებები როგორც წესი ორ ჯგუფად იყოფა:

- ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები
- ქონებრივი უფლებები

ეს დიფერენციაცია მე-17 და მე-18 მუხლებშია გარკვევით გადმოცემული. უფლებების დარღვევის პროცესში ქონებრივი უფლებების დარღვევა უპირატეს როლს თამაშობს.

ა) ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

საავტორო უფლებები იცავს ავტორის პირად დამოკიდებულებას თავის ნაწარმოებთან იმ მოტივით, რომ ეს ინდივიდუალურ-ინტელექტუალური წარმონაქმნია. საავტორო უფლების თავისებურება ის არის, რომ იგი არ შეიძლება გადაეცეს სხვას (მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი). საავტორო უფლებები რჩება ავტორს მაშინაც კი, როდესაც მან ნაწარმოებით სარგებლობის უფლებები გადასცა (მუხლი 17, მე-3 პუნქტი). პირადი არაქონებრივი საავტორო უფლებამოსილებები როგორც წესი, მხოლოდ ნაწარმოების ავტორს გააჩნია, ხოლო მომიჯნავე უფლებების მქონე პირს არა, შემსრულებელ ხელოვანთა გამოკლებით (შეადარეთ 47-ე მუხლის პირველი პუნქტი).

პირად არაქონებრივ საავტორო უფლებებში ნაგულისხმევია შემდეგი უფლებები (მე-17 მუხლის პირველი პუნქტი):

- ავტორობის აღიარების უფლება
- პირველადი გამოქვეყნების უფლება
- გადამუშავების უფლება
- დამახინჯებისაგან და რეპუტაციის შელახვისაგან დაცვა
- მესამე პირის ნაწარმოებით საკუთარი ნაწარმოების შევსების უფლება
- ნაწარმოების გამოხმობის უფლება

ბ) გამოყენების უფლებები

ავტორისთვის გამოყენების უფლებას მთავარი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ეს უფლება მას შესაძლებლობას აძლევს საავტორო უფლების ძირითად მიზანს მიაღწიოს კერძოდ კი მიიღოს მისი ნაწარმოების გამოყენების შედეგად მიღებული მოგებიდან შესაბამისი წილი. გამოყენების უფლებები განიხილება

როგორც განსაკუთრებული (აბსოლუტური) უფლებები. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ყველას მიმართ მოქმედებს, ისე რომ ავტორს უფლება აქვს უარი უთხრას ნებისმიერს საკუთარი ნაწარმოებით სარგებლობაზე ანუ შეუძლია მესამე პირებს უფლება დართოს მხოლოდ თავისი თანხმობით ისარგებლონ ამ ნაწარმოებით. ამდენად, გამოყენების უფლებებს ერთი მხრივ დაცვითი ფუნქციები და მეორე მხრივ ნებადართველობის ფუნქციები გააჩნიათ.

მე-18 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ავტორს გააჩნია განსაკუთრებული უფლება ნებისმიერი ფორმით ისარგებლოს საკუთარი ნაწარმოებით. გამოყენების შემდეგი უფლებები გარკვევითაა დასახელებული, რომელთა შორის განსხვავდება ნივთობრივი და არანივთობრივი გამოყენება:

(1) ნივთობრივი სარგებლობა

- გადამრავლების უფლება
- გავრცელების უფლება
- თხოვების ან გაქირავების უფლება
- იმპორტირების უფლება
- ნაწარმოების ექსპონირების უფლება

მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი შეიცავს გავრცელების უფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას. თუ ნაწარმოების გადამრავლებული ვარიანტი ერთხელ კანონიერად მოექცა ბრუნვაში, მაშინ გავრცელების უფლება ამ გამრავლების უფლებით ამოიწურება. ეს იმას ნიშნავს, რომ ავტორს თავისი საავტორო უფლებამოსილებებით არ შეუძლია შეაფერხოს ნაწარმოების ეგზემპლარის შემდგომი გაყიდვა.

(2) არანივთობრივი სარგებლობა

- წარმოგენის უფლება
- მაუწყებლით გადაცემის უფლება, (საკაბელო) შემდგომი სამაუწყებლო უფლების ჩათვლით
- საჯაროდ ხელმისაწვდომობის უფლება

საჯაროდ ხელმისაწვდომობის უფლება ინტერნეტით სარგებლობის ფარგლებში მნიშვნელოვანი ხდება. ის საავტორო უფლების მქონეს ანიჭებს უფლებამოსილებას, კომპიუტერში დამახსოვრებული ნაწარმოები ინტერნეტის სხვა მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს. ამასთან, მნიშვნელოვანი არ არის რეალურად ინახა თუ არა ნაწარმოები. მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ ნახონ ნაწარმოები მესამე პირებმა საკმარისია. ეს უფლება შესაძლებელია დასახელებულ იქნეს, როგორც ინტერნეტში ნახვის უფლება.

გარდა ამისა ავტორს აქვს როგორც თარგმნის ისე გადამუშავების უფლება.

როგორც მე-18 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ურთიერთშედარებიდან გამომდინარეობს, მეორე პუნქტის კატალოგში არ გვაქვს სრულყოფილი ჩამონათვალი. ამიტომ გამოყენების ის ფორმები, რომლებიც იქ არ არის ჩამოთვლილი, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია როგორც ეგრეთ წოდებული ნაწარმოების გამოყენების დაუსახელებელი უფლებები. მასში იგულისხმება უპირველეს ყოვლისა ვიდეო ან აუდიოგრამით გადმოცემის უფლება.

გ) მომიჯნავე უფლებების მქონე პირების გამოყენების უფლებები

მომიჯნავე უფლებების მქონე პირები ვერ სარგებლობენ მე-18 მუხლით დადგენილი ყველა უფლებით. მათ გამოყენების მხოლოდ რამდენიმე უფლება აქვთ მინიჭებული.

(1) შემსრულებელი ხელოვანები

შემსრულებელ ხელოვანებს 47-ე მუხლის თანახმად გამოყენების შემდეგი განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ:

- წარმოდგენის პირველადი ჩანაწერის გაკეთება
- ჩანაწერის გადამრავლება წარმოდგენის გადაცემა

- ჩანანერის საკაბელო და სატელიტური გადაცემა ასევე ეთერით (ტერესტრული) გადაცემა; მაგრამ მაშინ თუ ჩანანერის გადაცემა არაკომერციული მიზნებით ხდება
- აუდიო ან ვიდეოგრამის გაქირავება
- აუდიოგრამის გავრცელება, ამასთან ეს უფლება ამოიწურება ორიგინალის ან ბრუნვაში არსებულ ორიგინალთან კავშირში არსებული გამრავლებული ეგზემპლარის ან ბრუნვაში არსებული გამრავლებული ეგზემპლარის პირველად ბრუნვაში მოქცევით (ეს ნიშნავს რომ შემდგომი გაყიდვა არ შეიძლება აიკრძალოს).
- შემსრულებელ ხელოვანებსა და აუდიო/ვიდეოგრამების დამამზადებლებს შორის და სამაუწყებლო ორგანიზაციებს შორის ხელშეკრულების დადებით სარგებლობის გარკვეული უფლებები სავალდებულოდ მოსარგებლეზე გადადის (47-ე მუხლი, მე-5 და მე-6 პუნქტები).

(2) აუდიო-ვიდეოგრამების დამამზადებლები

როგორც აუდიო, ასევე ვიდეოგრამების დამამზადებლებს 48-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე შემდეგი განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ:

- აუდიო-ვიდეოგრამის გადამრავლების
- მათი გავრცელების უფლება, ამასთან ეს უფლება ამოიწურება ორიგინალის, ბრუნვაში არსებული ორიგინალის ასლის ან ბრუნვაში არსებული ასლის გადამრავლებული ასლის ბრუნვაში პირველად მოქცევით (ეს ნიშნავს, რომ შემდგომი გაყიდვა არ შეიძლება აიკრძალოს)
- აუდიო ჩანანერის გაქირავება
- გავრცელების მიზნით აუდიო ჩანანერის იმპორტირება
- აუდიო ან ვიდეოგრამის საკაბელო ან არასაკაბელო გადაცემა, გასაჯაროების უფლების ჩათვლით (ინტერნეტით ნახვის უფლება)

(3) მაუწყებლები

მაუწყებლებს 50-ე მუხლით შემდეგი განსაკუთრებული უფლებები გააჩნიათ:

- გადაცემის ჩანერა
- ჩანერილი გადაცემის გამრავლება
- პარალელური შემდგომი ტრანსლაცია ეთერით ან კაბელით
- საჯარო ტრანსლაცია, თუ ეს ანაზღაურებით ხდება ან ტრანსლაცია ისეთ ადგილებში, სადაც შესვლა ფასიანია
- ჩანერილი გადაცემის გავრცელება
- ჩანერილი გადაცემის გაქირავება
- აუდიო ან ვიდეოგრამის საკაბელო ან არასაკაბელო გადაცემა, გასაჯაროების უფლების ჩათვლით (ინტერნეტით ნახვის უფლება)

(4) მონაცემთა ბაზის დამამზადებლები

მონაცემთა ბაზის დამამზადებლებს 54-ე მუხლის საფუძველზე გააჩნიათ განსაკუთრებული უფლება, აკრძალონ ან დაუშვან მონაცემთა ბაზის მთლიანად ან შინაარსისა თუ მოცულობის მიხედვით მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილების ამოღება, აგრეთვე აკრძალონ ან დაუშვან გადამრავლებული ასლების თხოვების ან მფლობელობის სხვაგვარი გადაცემის მეშვეობით მათი განმეორებით გამოქვეყნება და შესაბამისად, ამით სარგებლობა. მონაცემთა ბაზის თვისობრივად და მოცულობით უმნიშვნელო ნაწილებით სისტემატიური თუ განმეორებითი სარგებლობა დაუშვებელია, თუ ეს მონაცემთა ბაზის ნორმალურ გამოყენებას ზიანს აყენებს და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების სამართლიან ინტერესებსაც შეუსაბამოდ ღახავს.

დ) პროცესუალური

უფლებების დარღვევა იმან უნდა დაამტკიცოს, ვინც ასაჩივრებს. როგორც წესი, ეს ხდება ეგრეთ წოდებული უფლების დარღვევის საგნის წარმოდგენით (განსაკუთრებით ნივთობრივი გამოყენებისას). სასა-

მართლმ, კონკრეტული გასაჩივრებული ნივთისა და უფლების დარღვევის საგნის კონკრეტული ფორმების შედარებით უნდა დაადგინოს, უფლების დარღვევის ობიექტს გააჩნია თუ არა გასაჩივრებული ნიმუშისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან მნიშვნელოვანია საერთო შთაბეჭდილება. როგორც წესი, გამრავლების ან შეუცვლელი ფორმით სარგებლობისას, ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

სასამართლოსთვის საქმე რთულდება, როდესაც ეს ორიგინალი ნაწარმოების ნაწილობრივ გადმოღებას ან გადამუშავებას შეეხება. ასეთ შემთხვევებში შემონების მრავალსაფეხურიანი სქემაა გამოსაყენებელი:

- პირველი საფეხურის დროს დასადგენია გასაჩივრებული ნიმუშის დაცვის არეალი. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ უნდა იქნეს ნაწარმოების დამახასიათებელი შემოქმედებითი ნიშან-თვისებები.
- შემდეგ უნდა მოხდეს უფლებების დარღვევის ნიმუშის და გასაჩივრებული ნიმუშის ერთობლივი ნიშნების (მნიშვნელოვანია: არა განსხვავებების) იდენტიფიცირება. ამასთან მნიშვნელოვანია მხოლოდ ისეთი საერთო ნიშნები, რომელიც იმავდროულად ექვემდებარება საავტორო სამართლით დაცვას. თუ, მაგალითად, მხოლოდ ისეთი ნაწილებია გამოყენებული, რომლის დაცვა არ ხორციელდება (მაგალითად: წინადადების ფრაგმენტები ან ისტორიული მასალები), მაშინ აქვე გამოირიცხება საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტი.
- ბოლოს უნდა განვასხვაოთ, უფლებების დარღვევის საგანში აღმოჩენილი ნიშნებით ამოიცნობა თუ არა ორიგინალის ხასიათი. რაც უფრო ნაკლებად არის გადმოცემული ორიგინალი ნაწარმოების ხასიათი, მით უფრო მცირეა მისი დაცვის არეალი. ეს იმავდროულად ნიშნავს, რომ გარკვეულ შემთხვევებში მცირე ცვლილებებიც კი საკმარისია, რომ ისინი ორიგინალის დაცვითი არეალის ფარგლებს გასცდეს.

4. უფლების დარღვევის უკანონობა

შემდეგ ეტაპზე შესამოწმებელია, მართლსაწინააღმდეგოა თუ არა უფლების დარღვევის ობიექტური მხარე. მართლსაწინააღმდეგობა შეიძლება გამოირიცხოს, თუ ავტორმა, სარგებლობის უფლებების მინიჭების გზით, მესამე პირს ნება დართო ესარგებლა ნაწარმოებით ან თუ კანონით ან ორიგინალი უფლებების მოქმედების საზღვრების დამდგენი რეგულირებებით, უპირატესობა ენიჭება მესამე პირის მიერ ნაწარმოებით სარგებლობას.

ა) უფლებების შექმნა სარგებლობის უფლებების მინიჭების გზით

აქ შესამოწმებელია, გააჩნია თუ არა მოსარგებლეს დავის საგნით სარგებლობის საჭირო უფლებები. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევაა, როდესაც მოსარგებლე აცხადებს, რომ მას ლიცენზია უფლებამოსილი პირისგან აქვს მიღებული. ამასთან, ლიცენზია კონკრეტულ ნაწარმოებზე და სარგებლობის კონკრეტულ სახეზე უნდა იყოს მიღებული. თავისთავად უნდა ფარავდეს ის გამოყენების შინაარსს დროსა და სივრცეში. ეს ნიშნავს იმას, რომ საავტორო სახელშეკრულებო სამართლებრივი საკითხები უნდა გადამოწმდეს, განსაკუთრებით უნდა შემოწმდეს სალიცენზიო ხელშეკრულებების ნამდვილობა. ამ საფეხურზე, ისევე როგორც აქტიური ლეგიტიმაციის დროს, შეიძლება აუცილებელი იყოს ლიცენზიების მრავალსაფეხურიანი ჯაჭვის ნამდვილობის გადამოწმება. ამდენად აქ სასურველია ექსკურსის ფარგლებში აისახოს საავტორო სახელშეკრულებო სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები.

ექსკურსი – საავტორო სახელშეკრულებო სამართალი

როგორც აღვნიშნეთ, უფლებების მინიჭება ლიცენზირების გზით ხდება. სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე ლიცენზიის მიმღები სარგებლობის ან განსაკუთრებულ (მუხლი 37) ან ჩვეულებრივ (მუხლი 38) უფლებებს იძენს. განსაკუთრებული ლიცენზია ნებისმიერ პირთან მიმართებით მოქმედებს, თვით ორიგინალის ავტორის მიმართაც კი, ისე რომ ის არ არის უფლებამოსილი ისარგებლოს საკუთარი ნაწარმოებით ლიცენზიის შინაარსობრივი მოცულობის, ასევე სივრცესა და დროში მისი მოქმედების ფარგლებში. ამდენად ავტორი, როგორც წესი აღარ არის უფლებამოსილი, ხელყოფისაგან დაიცვას თავისი უფლებები. მხოლოდ

მაშინ, როდესაც ლიცენზიის მიმღები, ლიცენზიიდან გამომდინარე უფლებებს აღარ იყენებს ნაწარმოების დაცვის მიზნით, შეუძლია ავტორს თვითონ დაიცვას ეს უფლებები (37-ე მუხლის მე-2 პუნქტი)

საავტორო სამართალი განსაკუთრებულ სახელშეკრულებო-სამართლებრივ ნორმებს შეიცავს, რომლებიც ავტორის დაცვას ემსახურება. ამის საფუძველია ის, რომ ავტორები ხშირად მოსარგებლებზე ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან და ამ მიზეზის გამო მოსარგებლებს ხშირად უფრო მეტი უფლებები გადაეცემათ ვიდრე საჭიროა (ე.წ. "Buy-out").

მე-40 მუხლში ჩამოთვლილია სალიცენზიო ხელშეკრულების შინაარსობრივი მოთხოვნები: ჯერ ზუსტად უნდა დასახელდეს ნაწარმოები, რომელიც ხელშეკრულების საგანია, მისი გამოყენების ფორმა, ლიცენზიის მოქმედების ვადა და ტერიტორია. გარდა ამისა, სალიცენზიო ხელშეკრულებაში შეტანილი უნდა იქნეს საზღაურის გამოთვლის პირობები ყოველი ნაწარმოებისთვის ან კონკრეტული საზღაური, გადახდის წესი და აგრეთვე სხვა პირობები, რომლებიც მხარეებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია. 42-ე მუხლის თანახმად, საავტორო სამართლებრივი სალიცენზიო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (პერიოდიკაში ნაწარმოების გამოქვეყნებისას) საკმარისია ხელშეკრულების ზეპირად დადება.

გარდა ამისა მე-40 მუხლი შეიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან განმარტებით წესებს ავტორის დასაცავად: ამ წესების მიხედვით უფლებების გადაცემა ძირითადად ხდება სარგებლობის იმ სახეებზე, რომლებიც სალიცენზიო ხელშეკრულებაში გარკვევითაა მითითებული. ყველა სხვა უფლებები ავტორს რჩება. თუ სალიცენზიო ხელშეკრულებაში არ არის სარგებლობის კონკრეტული გარემოებები განსაზღვრული, მაშინ უფლებების გადაცემა შემოიფარგლება იმგვარ სარგებლობაზე, რომელიც აუცილებელია სალიცენზიო ხელშეკრულების დადების მომენტში ამ ხელშეკრულების მიზნების განხორციელებისათვის. გერმანულ სამართალში ამ პრინციპს მიზნის გადაცემის წესი ეწოდება.

თუ სალიცენზიო ხელშეკრულებაში არ არის მისი მოქმედების ვადა მითითებული, მაშინ ავტორს უფლება აქვს სამი წლის გასვლის შემდეგ მოშალოს ხელშეკრულება, ამასთან ავტორი ხელშეკრულების მოშლამდე ექვსი თვით ადრე აფრთხილებს მხარეს მოშლის შესახებ. ეჭვის შემთხვევაში უფლებების გადაცემა შემოიფარგლება საქართველოს ტერიტორიით. ნაწარმოების გადამრავლების დროს მთლიანი ანაზღაურების შემთხვევაში სავალდებულოა მაქსიმალური ტირაჟის განსაზღვრა. სარგებლობის უფლებების გადაცემა ან მათი ნაწილობრივი გადაცემა მესამე პირებზე დაშვებულია მხოლოდ მაშინ, თუ ამგვარი გადაცემა გარკვევით მითითებულია სალიცენზიო ხელშეკრულებაში.

სალიცენზიო ხელშეკრულების დებულებების დარღვევის სამართლებრივი შედეგია მოვალის ვალდებულება ანაზღაუროს ზიანი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ჩათვლით (მუხლი 44).

ბ) უფლებებზე საზღვრების დამდგენი ნორმებით მინიჭებული პრივილეგიები

მოსარგებლის უფლებამოსილებები, რომელზეც უკვე იყო საუბარი, შეიძლება უშუალოდ კანონის დებულებებიდან გამომდინარეობდნენ. კანონის III ნაწილში ის ნორმებია მითითებული, რომლებიც გამოყენების კონკრეტული ქმედებების პრივილეგიას ახდენენ. ეს შემადგენლობები არანაირ სისტემატიკას არ მისდევენ. ისინი ზღუდავენ საავტორო უფლებამოსილებებს უფრო მაღალი საჯარო თუ სხვა მიზნებით. ნაწილობრივ ისეთი სარგებლობაა ნებადართული, რომელიც იმავდროულად თუ მომავალში მოსარგებლეს სარგებლობისათვის საზღაურის გადახდას აკისრებს. ნაწილობრივ კი სარგებლობა საზღაურის გარეშეც დაიშვება.

- პირადი ასლი (მუხლი 21)
- რეპროგრაფიული გადამრავლება ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ (მუხლი 22)
- ციტირების უფლება (მუხლი 23, პუნქტი „ა“)
- სასწავლო მიზნებისათვის ნაწარმოების ნაწილების გამოყენება (მუხლი 23, პუნქტი „ბ“)
- საგაზეთო სტატიებისა და მედიის კომენტარების გამრავლება და ჩვენება (მუხლი 23, პუნქტი „გ“)

- დღის აქტუალური თემების გაშუქება (მუხლი 23, პუნქტი „დ“)
- საჯარო გამოსვლები (მუხლი 23, პუნქტი „ე“)
- გამოცემა უსინათლოებისათვის (მუხლი 23, პუნქტი „ვ“)
- თავისუფალი დასწრების ადგილებში განლაგებული ნაწარმოების გამრავლება (მუხლი 24)
- მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენება დასაფლავებებზე (მუხლი 24)
- გადამრავლება სამართალწარმოების ფარგლებში (მუხლი 26)
- მოკლევადიანი გადამრავლება მედიის მიერ (მუხლი 27)
- კომპიუტერული პროგრამების შეცვლა, სარეზერვო ასლის შექმნა (მუხლი 28)
- კომპიუტერული პროგრამების დეკომპილირება სხვა პროგრამებთან ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფის მიზნით (მუხლი 29)
- მონაცემთა ბაზით სარგებლობა (მუხლი 30)
- მომიჯნავე უფლებებსაც გააჩნიათ გარკვეული საზღვრები. ეს საზღვრები დეტალურადაა დარეგულირებული 51-52-ე მუხლებში. თუ ცალკეული განსაკუთრებული უფლებები შეიზღუდება, შესაბამის მოსარგებლებმა ნაწილობრივ უნდა გადაიხადონ საზღაური სარგებლობისათვის. საზღაურის გადახდაზე პრეტენზია შეუძლიათ როგორც წესი მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე მმართველმა ორგანიზაციებმა გააკეთონ.

გ) პროცესუალური

მოპასუხის ტვირთია დაასაბუთოს და დამტკიცოს, რომ სარგებლობა არ იყო მართლსაწინააღმდეგო. საჭიროების შემთხვევაში მან უნაკლოდ უნდა დაასაბუთოს უფლებების ჯაჭვი, რომელიც ავტორამდე მიდის.

5. პასიური ლეგიტიმაცია

(პასუხისმგებლობა)

პასიური ლეგიტიმაციის ფარგლებში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა მოპასუხე პასუხისმგებელი საავტორო უფლების დარღვევისთვის. ეს არ არის ყოველთვის იოლად გადასაწყვეტი საკითხი. განსაკუთრებული სირთულეები გვხვდება ციფრული გამოყენების შემთხვევებში. ამდგარი საკითხების მოგვარებით არის ამჟამად (გერმანული) სასამართლოები განსაკუთრებულად დატვირთული. ქართული საავტორო კანონი 58-ე მუხლში ძალზედ ზოგადად განიხილავს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს უფლებების დამრღვევად: კერძოდ ის, ვინც კანონიერ მოთხოვნებს არ ასრულებს. გარდა ამისა, ასევე ის მიიჩნევა კანონის დამრღვევად, ვინც საავტორო უფლებების მართვის სისტემაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის გარეშე მოქმედებს (მუხლი 58, პუნქტი 3, ქვეპუნქტები „ბ“ – „ვ“).

საავტორო უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის საკითხების განხილვისას, მისაღები იქნებოდა პასუხისმგებლობის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობა. ამასთან, გადასამოწმებელია, მხოლოდ დამრღვევი პირია პასუხისმგებელი თუ ხელის შემშლელიც. პასუხისმგებლობის განსაკუთრებით პრობლემატური საკითხები ჩნდება შემდეგ მიმართებებში:

- ინტერნეტ პროვაიდერი (Access-Provider)
- ჰოსტინგის პროვაიდერი (Host-Provider)
- შერიჰოსტერი (Sharehoster)
- სოციალური სექტებისა და ბლოგების ადმინისტრატორი
- საძიებო პროგრამის გამომყენებელი
- ბმულები (Link)
- ფრეიმინგი

6. სამართლებრივი შედეგები

საავტორო უფლებების დარღვევის ან მომიჯნავე უფლებების დარღვევის სამართლებრივი შედეგები 58-ე მუხლითაა რეგულირებული. შემდეგი მუხლები საავტორო უფლებების დამრღვევის სამოქალაქო, სისხლის-სამართლებრივ და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების საკითხებს აწესრიგებენ. იურიდიული პირის მიერ საავტორო უფლებების დარღვევისას მხოლოდ სამოქალაქო პასუხისმგებლობაზეა საუბარი. დამრღვევების მიმართ ავტორებს შემდეგი მოთხოვნის წაყენების უფლება გააჩნიათ (59-ე და მე-60 მუხლები):

- (1) ავტორობის აღიარება
- (2) დარღვევის აღმოფრქვა და მომავალი უფლებების დარღვევებისგან თავის შეკავების მოთხოვნა ან უფლებების დარღვევის საფრთხის თავიდან აცილება
- (3) ზიანის ანაზღაურება, თუმცა უფლებამოსილ პირს ზიანის ანაზღაურების გამომანგარიშების სამი ალტერნატივა გააჩნია (შეადარეთ 59-ე მუხლის მე-2 პუნქტი). გამომანგარიშების განსხვავებული მეთოდების ერთმანეთში აღრევა როგორც წესი დაუშვებელია. თუ მოსარჩელემ ზიანის გამომანგარიშების ერთ-ერთი მეთოდი აირჩია და მისი მოთხოვნა კანონიერად იქნა მიჩნეული, მაშინ სხვა მეთოდის არჩევის უფლება აღარ აქვს.

- კონკრეტული ზიანი (მიუღებელი მოგების ჩათვლით)

საავტორო უფლებების დარღვევის შედეგად თითქმის არ წარმოიშობა კონკრეტული დანაკარგი, რადგან ამ დროს გვაქვს საქმე არამატერიალური სიკეთის დარღვევასთან. მიუღებელი მოგება, როგორც წესი, ძალიან რთლი დასადგენია. ზიანის ოდენობის დამდგენი კრიტერიუმები, რომლებიც 59-ე მუხლის მე-3 პუნქტშია ჩამოთვლილი, არ არის ამომწურავი: მის მიხედვით სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს უფლების დარღვევის არსი, უფლებამოსილი პირის პირადი და ეკონომიკური ზიანი და ასევე მოსალოდნელი შემოსავალი, რომელიც უფლებამოსილ პირს შეიძლებოდა მიეღო ნაწარმოებით კანონიერად სარგებლობისას. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება იმ ვერსიის გათვალისწინება, თუ რა შედეგები დადგებოდა გაყიდული დაზიანებული პროდუქტის ნაცვლად კანონიერად შექმნილი ორიგინალი პროდუქტი, რომ გაყიდულიყო. განსაკუთრებით ამ დროს ჩნდება სირთულეები, რათა დადგინდეს და დამტკიცდეს მიზეზობრივი კავშირი მეკობრული საქონლის გაყიდვასა და ორიგინალი პროდუქტის გასაღების შემცირებას შორის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ინტერნეტით მუსიკალური ნაწარმოებების ჩამოტვირთვის სფეროში. ამ მიზეზის გამო, ზიანის გამომანგარიშების ამ მეთოდს სასამართლო პრაქტიკაში მეორეხარისხოვანი როლი უკავია.

- უფლებების დამრღვევის მიერ მიღებული მოგების ავტორის საკუთრებაში მოქცევა

როგორც უკვე აღინიშნა, მეტად რთულია დაზარალებულისათვის მიუღებელი მოგების აღწერა და მტკიცება, ამიტომ ავტორს შეუძლია უფლებების დამრღვევის მიერ მიღებული მოგება საკუთრებაში მოიქციოს. აქ იგულისხმება ის მოგება, რომელიც მიზეზობრივ კავშირშია უფლებადამრღვევ საქმიანობასთან. შესაბამისად, თუ საავტორო სამართლის დაცვის ქვეშ მყოფი ნაწარმოების გადაცემას შეეხება საქმე, რომელიც გაყიდული პროდუქტის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია, მაშინ შესაბამისად უნდა მოხდეს მხოლოდ ამ ნაწილზე მიღებული მოგების გადახდა. გამომანგარიშების ამ მეთოდის გამოყენების დროს განსაკუთრებული სირთულეები მაშინ ჩნდება, როდესაც დამრღვევს სურს მისთვის წარმოშობილი ხარჯების გამოქვითვა. გერმანული სამართლის თანახმად, დამრღვევს უფლება აქვს პროდუქტზე გაღებული ცვლადი და არა ფიქსირებული ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს. დამრღვევის მოგების გამომანგარიშებისთვის აუცილებელი საფუძვლები ავტორმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს. გამოსანგარიშებელი ხარჯების აღწერისა და მტკიცების ტვირთი ეკისრება დამრღვევს.

- ზიანის ანაზღაურების დადგენა სასამართლოს მიერ

ზიანის ანაზღაურების ეს გამოთვლა სასამართლოს აძლევს თავისუფლებას უფლების დარღვევისათვის დაადგინოს შესაბამისი კომპენსაცია. ამ დროს პირველ რიგში საზომად ეგრეთ წოდებულ ლიცენზიის ანალოგიაზე შეიძლებოდა ფიქრი. ეს წარმოადგენს გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ზიანის გამომანგა-

რიშების ყველაზე ხშირად შერჩეულ ფორმას. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია დაეყრდნოს ლიცენზირების არსებულ პრაქტიკას. ლიცენზიის ანალოგიისას ზიანის გამოანგარიშების დროს დამრღვევმა ფიქტიური ლიცენზიის ათმაგი ოდენობა უნდა აანაზღაუროს, რომელსაც ლიცენზიის ხელშეკრულების დროს კეთილგონიერი ლიცენზიის გამცემი მოითხოვდა და კეთილგონიერი ლიცენზიის მიმღები გასცემდა, იმ შემთხვევაში თუ ორივე მხარეს გადანყვეტილების მიღების დროს არსებული საქმის მდგომარეობა ეცოდინებოდა. ამით დამრღვევი უფრო ცუდ მდომარეობაში უნდა ჩავარდეს, ვიდრე ის იქნებოდა სარგებლობის საჭირო უფლებები რომ მოეთხოვა. საქმის გარემოების მიხედვით ეს არის დამრღვევის როგორც ასეთის მიერ გაღებული დანამატი. გამოანგარიშების ამ მეთოდის დროს, დამრღვევს არ აქვს გარკვეული შესაგებლების უფლება, მაგალითად ის, რომ უფლებამოსილი პირი არ იქნებოდა მზად ლიცენზიისათვის ან ის, რომ თვითონ დამრღვევი არასდროს მოითხოვდა ლიცენზიას. ოდენობის თვალსაზრისით ორიენტირება შესაძლებელია კოლექტიური მართვის ორგანიზაციების ტარიფებზე ან საზოგადოებრივი კავშირების მიერ შეთავაზებულ ჰონორარებზე. თუმცა ხშირად სალიცენზიო ზარალის დასადგენად მაინც სავალდებულოა, ძალზედ ძვირადღირებული ექსპერტების დასკვნის მიღება.

რადგანაც ზიანის გამოანგარიშება, ლიცენზიის ანალოგიის ფარგლებში მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის, პროცესის დროს ბევრი უფლებამოსილი პირი მხოლოდ იმის დადგენას მოითხოვს, რომ მოპასუხე როგორც უფლებადამრღვევი პირი ზიანის ანაზღაურებაზეა პასუხისმგებელი, ისე რომ ზიანის ანაზღაურების ოდენობა სასამართლოს მიერ არ განისაზღვროს. თუ კანონიერად დადგინდა, რომ უფლებადამრღვევი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, მაშინ ეს ამსუბუქებს ზიანის ანაზღაურების შესახებ ურთიერთშეთანხმებას.

(4) ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მითითებები

(5) არაკანონიერად წარმოებული ნაწარმოებების კონფისკაცია, აგრეთვე უფლებების დამრღვევი ნიმუშის შექმნისთვის გამოყენებული მასალებისა და დანადგარების კონფისკაცია.

7. დროებითი ღონისძიებები

სასამართლო პროცესის ჩატარებამდე, მოსამართლეს შეუძლია გამოსცეს განკარგულებები, რომლის საფუძველზე მოპასუხეს ან სხვა პირს, რომელიც საავტორო უფლებების დარღვევაშია ეჭვმიტანილი, აეკრძალება სხვა კანონდარღვევების ჩადენა ან ყადაღა დაედება უფლებადამრღვევ ნიმუშს (მუხლი 61).

თუ არსებობს საკმარისი ნიშნები იმისა, რომ სახეზეა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება, ამ დროს სასამართლო უფლებამოსილია გამოსცეს განკარგულება სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნების მარტივად განხორციელების შესახებ. ამასთან შესაძლებელია შემდეგი ნივთების ჩხრეკა-დაყადაღების შესახებ გამოიცეს ბრძანება:

- უკანონოდ წარმოებული გამრავლებული ეგზემპლარების
- ამ ეგზემპლარების გამრავლებისთვის გამოყენებული დანადგარებისა და მასალების
- წერილობითი დოკუმენტაციის ან სხვა ნივთების, რომლებიც მტკიცებულებად გამოდგება სამოქალაქო პროცესში.

IV. კოლექტიური მართვის ორგანიზაციების უფლება

საავტორო უფლებების შესახებ კანონი საავტორო უფლებების მქონე პირს აძლევს ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის შესაძლებლობას (63-ე და შემდეგი მუხლები). ამ მიზნით მათ შეუძლიათ კოლექტიური მართვის ორგანიზაციების დაფუძნება, რომლებიც კოლექტიურად მართვის მიზნებისათვის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოქმედების არეალში არ ექცვიან.

საავტორო-სამართლებრივი კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ძირითადად ამხანაგური ორგანიზაციებია, რომლებშიც გარკვეული ტიპის ნაწარმოებების ავტორები ერთიანდებიან, იმ მიზნით, რომ საკუთარი უფლებები უფრო ეფექტიანად მართონ. კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ჯერ საავტორო უფლებების სამუსიკო სფეროში შეიქმნა. პირველი კოლექტიური მართვის ორგანიზაცია იყო SACEM რომელიც 1851 წელს დაარსდა. მაშინ როდესაც დიდი ხნის განმავლობაში სამუსიკო საავტორო უფლებების მართვა ინდივიდუალურად მუსიკალური გამომცემების მიერ ხდებოდა (განსაკუთრებით, იმიტომ რომ შეფასება პირველ რიგში ნოტების დაბეჭდვით ხორციელდებოდა), მიხედნენ კომპოზიტორები და ტექსტის ავტორები ძალიან მალე, რომ ახალი საავტორო სამართლის კანონებით მინიჭებული შესრულების უფლებები მუსიკის მზარდი და მასიური გამოყენების ფონზე (სასტუმროები, სავაჭრო ცენტრები და სხვა) მხოლოდ გამომცემლობების მიერ ვერ მოხდებოდა, რადგან მათ საჭირო მაკონტროლებელი და აღმასრულებელი შესაძლებლობები არ ჰქონდათ. საავტორო უფლებების (მუსიკალური) მოსარგებლეებისათვის ასევე დიდი ძალისხმევა იქნებოდა საჭირო, რომ მათ ყოველ უფლებამოსილ პირთან დაედოთ სალიცენზიო ხელშეკრულება. ამისათვის წარმოშობილი ტრანზაქციის ხარჯები იმდენად დიდი იქნებოდა, რომ მისით სარგებლობა აზრს დაკარგავდა.

ამ თვალსაზრისით კოლექტიური მართვა იძლევა შესაძლებლობას ორივე მხარის ინტერესები (ავტორებისა და ნაწარმოებით მოსარგებლეების) თანაბრად და სამართლიანად იყოს გათვალისწინებული. კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები ავტორების გარკვეულ უფლებებს ნაწარმოების ერთ კატეგორიაში უყრის თავს და მოსარგებლეებისათვის მთლიან რეპერტუარზე აკეთებს ლიცენზიას, მუსიკალური საავტორო სამართლის სფეროში როგორც წესი დალიცენზიებული საავტორო სამართლით დაცული მუსიკის მსოფლიო რეპერტუარია.

როგორც წესი, ნაწარმოების ყოველი კატეგორიისათვის მხოლოდ ერთი ნაციონალური კოლექტიური მართვის ორგანიზაციაა. ამდენად, ნაწარმოებით მოსარგებლეები, რომელთაც სურთ საავტორო-სამართლებრივი სარგებლობის უფლებების მიღება, იძულებულნი არიან მხოლოდ ერთ შემომთავაზებელს მიმართონ. ამ მონოპოლური მდგომარეობის გამო კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ვალდებული არიან მთელ რიგ მოსარგებლეებს ლიცენზიები თანაბარი პირობებით შეთავაზონ, გარდა ამისა, მათ ეკრძალებათ უარი უთხრან ნაწარმოებით მოსარგებლეს ლიცენზიაზე გამამართლებელი საფუძვლის გარეშე.

შიდა ურთიერთობაში კოლექტიური მართვის ორგანიზაციები საჭიროებენ მიღებული შემოსავლების გადანაწილების რთულ მექანიზმებს, რომლითაც იფარება ადმინისტრაციული ხარჯები და დარჩენილი თანხა დადგენილი წესებით ნაწილდება წევრებს. იმისდა მიხედვით თუ რამდენად ინტენსიურია სარგებლობა.

კოლექტიური მართვის ორგანიზაციები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მთელი რიგი ურთიერთ-თანხვედრი ხელშეკრულებებით. კოლექტიური მართვის ყოველი ეროვნული ორგანიზაცია სხვას უთმობს ლიცენზირებისათვის მთლიან რეპერტუარს, ისე რომ, მას შეუძლია მისი ნაწარმოებით მოსარგებლეებს მსოფლიო მასშტაბით არსებულ მთლიან რეპერტუარზე გაუკეთოს ლიცენზია. ამ საფუძველით 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი სასამართლო პრაქტიკისათვის ძალზედ მნიშვნელოვან ვარაუდისა და მტკიცების ტვირთის წესს შეიცავს, რომლის მიხედვითაც კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მანამ მიიჩნევა შესაბამის სარგებლობის უფლებების მქონედ, სანამ ნაწარმოებით მოსარგებლე სანინალმდეგოს არ დაამტკიცებს.

ბ. დიზაინის სამართლის მიმოხილვა*

2010 წლის 4 მაისიდან საქართველოში არსებობს ახალი კანონი დიზაინის შესახებ. დიზაინზე უფლება არის ისეთი გადამოწმებული უფლება, რომელიც წარმოიშობა საქპატენტში რეგისტრაციის შედეგად. ამ

* შემდგომში ციტირებული ნორმები, თუ სხვაგვარად არ არის დასახელებული, არიან დიზაინის შესახებ საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონიდან.

უფლებების დაცვის წინაპირობებისა და ამ უფლებებიდან გამომდინარე თავად დიზაინერის უფლებების თვალსაზრისით იგი ძირითადად შეესაბამება გერმანიის დიზაინის სამართალს და ევროკავშირის დიზაინის შესახებ დადგენილების მიხედვით ევროკავშირის დიზაინს.

I. დაცვის საგანი

დიზაინის სამართლის დაცვის საგანია ნიმუში (დიზაინი). დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება ორ ან სამგანზომილებიანი გამოსახულების ფორმები სამრეწველო ან ხელნაკეთი საგნისა, ან მისი ნაწილის, მათ შორის საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლოები, და ტიპოგრაფიული შრიფტები, ამასთან გამოსახულების ფორმა გამოიხატება თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის ხაზებისგან, კონტურებისგან, ფერებისგან, ფორმისგან, ზედაპირის ტექსტურისგან ან/და თავად ნიმუშის მასალისგან, ან/და პროდუქტის მორთვისგან. სამრეწველო და ხელნაკეთი პროდუქტის ცნებაში გადამწყვეტია ის, რომ გამოსახულებები რეპროდუცირებადი უნდა იყოს, რათა შესაძლებელი იყოს მათი შესაბამისობა შენახულ ნიმუშთან. უნდა აღინიშნოს, რომ დაცვას ექვემდებარება დიზაინის კონკრეტული გამოსახულება, რომელიც შენახულია რეგისტრაციის დროს, და არა დიზაინერის იდეა და ასევე არა პროდუქტის გამოსახულების ფორმა.

დაცვას არ ექვემდებარება დიზაინის ის ნიმუშები, რომლებიც განპირობებულია მხოლოდ მათი ტენიკური ფუნქციებით, ესე იგი, რომლებისთვისაც არ არსებობს გამოსახულების ალტერნატივა. ასევე ამოღებულია დაცვიდან კომპიუტერული პროგრამები.

1. სიახლე

დიზაინი ექვემდებარება დაცვას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სიახლეს წარმოადგენს (მუხლი 3, პუნქტები 4, 5). დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის დღემდე არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ ყოფილა ხელმისაწვდომი საჯაროდ. დიზაინები მაშინაც ითვლება იდენტურად, თუ მათი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად მიიჩნევა, თუ იგი იყო გამოქვეყნებული, გამოფენილი, ჩართული სავაჭრო მიმოქცევაში ან სხვა გზით გახდა საჯაროდ ცნობილი. საჯაროობის ეს ფართო ცნება იმით არის შეზღუდული, რომ დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად არ მიიჩნევა, თუ მიუხედავად ზემოთ მოცემული წინაპირობისა საჯაროობასთან დაკავშირებული ქმედებები არ იყო იმგვარი, რომ იგი ჩვეულებრივი წესით საჯაროდ ცნობილი გამხდარიყო პირებისათვის, რომლებიც საქართველოში მოცემულ სფეროში საქმიანობენ. ასევე არ ითვლება დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად, თუ მასზე ინფორმაცია მესამე პირს მიენოდა აშკარა ან კონკლუდენტური კონფიდენციალურობის პირობით.

ამასთან ერთად მე-6 მუხლის მესამე ნაწილი იძლევა დიზაინზე ინფორმაციის დაცვის 12-თვიან ვადას. ამ ვადის განმავლობაში ავტორს შეუძლია თავისი ნიმუში ბაზარზე გატანამდე გასინჯოს, ისე რომ მას რეგისტრაციისას ვერ შეედავებინან იმ არგუმენტით, რომ ეს ნიმუში უკვე მისაწვდომი იყო საჯაროობისთვის და ამიტომ სიახლეს არ წარმოადგენს. ეს ვადა მოქმედებს მხოლოდ ავტორსა და მისი სამართალმემკვიდრეებისათვის. ამას გარდა იგი მოქმედებს მესამე პირთა არაკეთილსინდისიერი ქმედებების შემთხვევაში.

2. ინდივიდუალურობა

დიზაინი არა მხოლოდ ახალი უნდა იყოს, მას ინდივიდუალობაც უნდა გააჩნდეს (მუხლი 3, პუნქტები 4 და 8). დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ

მომხმარებელზე განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისგან, რომელსაც ამავე მომხმარებელზე ახდენს სხვა მისთვის ნაცნობი დიზაინი, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია მისი შექმნისას დიზაინერის გამომსახველობითი თავისუფლების ხარისხი. დიზაინერის გამომსახველობითი თავისუფლება შეიძლება ტექნიკური მოთხოვნების გამო ან მოცემული ნიმუშის დარგში არსებული ნიმუშების დიდი ოდენობის გამო შეზღუდული იყოს.

ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა გაფორმების ხარისხს, არამედ მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებით დადგენილ განსხვავებას (განსხვავების სიძლიერეს) ნაცნობ ნიმუშთან შედარებით. ეს უნდა დადგინდეს კონკრეტული შედარებით მანამდე არსებული დიზაინის ნიმუშთან. აქაც გასათვალისწინებელია მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ვადა.

3. დიზაინის უფლების დაცვის ვადა

დიზაინის ნიმუში ექვემდებარება დაცვას მისი რეგისტრაციის მომენტიდან ხუთი წლის ვადით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველწერზე ხუთი წლით არაუმეტეს 25 წლისა (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი).

4. შემონმების მოცულობა რეგისტრაციის წარმოების დროს

დაცვითი უფლების რეგისტრაციამდე უნდა შემონმდეს დიზაინის სიახლე. თუმცა ეს შემონმება შემოიფარგლება საქპატენტში და საერთაშორისო რეესტრებში შენახულ ნიმუშებთან შედარებით. ინდივიდუალური შემონმება არ ხდება. ამიტომ საკითხავია, მოცემული ნიმუშის ინდივიდუალურობის ნაკლი შეიძლება თუ არა არგუმენტად გამოყენებულ იქნეს უფლების დარღვევის პროცესში, თუ უნდა ამოვიდეთ ნიმუშის სამართლებრივი უნაკლობისგან და ამგვარად უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებებზე განაცხადი შეიძლება მხოლოდ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სარჩელით იქნეს წარმოდგენილი, რომელიც თავდაპირველად დიზაინის ნიმუშის ბათილად გამოცხადებას გამოიწვევდა.

II. ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე (აქტიური ლეგიტიმაცია)

უფლების დარღვევის შესახებ პროცესში სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილია მხოლოდ უფლების მე-საკუთრე, ლიცენზიის მქონე პირს ლიცენზიის მიმცემის თანხმობის გარეშე შეუძლია განაცხადოს დიზაინთან დაკავშირებული უფლების დარღვევის შესახებ მხოლოდ მაშინ, თუ დიზაინის მფლობელი გონიერი ვადის განმავლობაში უფლების დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ თავად არ შეიტანს სარჩელს. (მუხლი 32, პუნქტი 7).

III. უფლების დარღვევა

უფლების დარღვევას მე-4 მუხლის მიხედვით ადგილი აქვს, როდესაც სხვა ნიმუში მოცემული დიზაინის დაცვის ფარგლებში შეიჭრება. ეს ხდება ყოველი იმ დიზაინის შემთხვევაში, რომელიც არ გამოიწვევს განსხვავებულ ზოგად შთაბეჭდილებას, ე. ი. არ არის ინდივიდუალური. აქაც გასათვალისწინებელია დიზაინერის თავისუფლების ხარისხიც. შემონმება უნდა მოხდეს მოცემული ნიმუშისა და უფლების დამრღვევი დიზაინის კონკრეტული შედარებით. მუხლი 30 ასახელებს უფლების დარღვევის სხვადასხვა სახეებს: დამზადება, შეთავაზება, გაყიდვა, ბრუნვაში ჩართვა ან გამოყენება პროდუქტისა, რომელშიც ეს დიზაინი არის ჩართული. ასევე დაუშვებელია პროდუქტის ფლობა ჩამოთვლილი მიზნების განხორციელებისათვის.

IV. მართლწინააღმდეგობა

კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც უფლების დარღვევას ადგილი არა აქვს, განსაკუთრებით დიზაინის პირადი სარგებლობისთვის, ან ექსპერიმენტული მიზნებისთვის გამოყენებისას და სხვა. ამას გარდა, უფლება დიზაინზე ამონაწერი უფლება, თუ დიზაინის შემცველი პროდუქტები დიზაინის მფლობელის თანხმობით სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული იქნება.

V. სამართლებრივი შედეგები

კანონის 30-ე მუხლი მიუთითებს უფლების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობაზე ზოგადი ნორმების შესაბამისად. ამასთან საფიქრალია, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სარჩელებს უმოქმედობისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

VI. დიზაინთან დაკავშირებული მოთხოვნების გადასამონმებელი სქემა:

1. უფლების დაცვის შესაძლებლობა
 - ა) ნიმუშად ვარგისიანობა
 - ბ) სიახლე
 - გ) ინდივიდუალურობა
 - დ) დაცვის ვადა
2. ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე (აქტიური ლეგიტიმაცია)
3. უფლების დარღვევა
 - საერთო შთაბეჭდილების შესაბამისად გამომსახველობითი თავისუფლების გათვალისწინებით
4. უფლების დარღვევის მართლწინააღმდეგობა
 - ნებართვის მიცემა დიზაინის უფლების მფლობელის მიერ ან კანონით
5. პასიური ლეგიტიმაცია (პასუხისმგებლობა)
6. სამართლებრივი შედეგები

გ. სასაქონლო ნიშნის სამართლის მიმოხილვა უფლების დარღვევის პროცესში*

I. ძირითადი პრინციპები

სასაქონლო ნიშნის სამართლის დაცვის საგანი არის სასაქონლო ნიშანი. სასაქონლო ნიშანი არის განსაკუთრებული უფლება და წარმოადგენს მისი მფლობელის ქონების საგანს. სასაქონლო ნიშანი არის როგორც წესი რეგისტრირებული ნიშანი, რომლის დანიშნულება არის მიუთითოს საქონლის ან მომსახურების წარმოშობაზე. წარმოშობის ფუნქცია არის სასაქონლო ნიშნის მთავარი ფუნქცია. ამ ფუნქციისგან უნდა განვასხვავოთ რეკლამირების ფუნქცია და გარანტიის ფუნქცია.

* შემდგომში ციტირებული ნორმები, თუ სხვაგვარად არ არიან დასახელებულნი, არიან სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონიდან.

II. სასაქონლო ნიშნის დაცვის არსი

სასაქონლო ნიშნის დაცვის უნარიანობისათვის საჭიროა სამი წინაპირობის შესრულება. ნიშნის სახით დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა (**აბსტრაქტულ სასაქონლო ნიშნად გამოსადეგობა**), რომელიც გამოსახვადია გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას სხვა საწარმოს საქონელსა ან/და მომსახურებისგან (**განსხვავება**) და როდესაც არ არსებობს სამართლებრივი დაცვის აბსოლუტური **დამაბრკოლებელი** საფუძვლები.

1. აბსტრაქტულ სასაქონლო ნიშნად გამოსადეგობა

სასაქონლო ნიშნის აბსტრაქტული გამოსადეგობა მოწესრიგებულია მე-3 მუხლში. ამომწურავი კატალოგი მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- სიტყვები (მათ შორის ადამიანის სახელები)
- გამოსახულებები
- ასოები
- ციფრები
- ბგერები (ბგერების აღმნიშვნელები)
- სამგანზომილებიანი ფიგურები (მათ შორის საქონლის ფორმა ან შეფუთვა)
- ფერები და ფერების შეთავსება

2. აბსტრაქტული განსხვავება

განსხვავება განსაზღვრავს პირველ რიგში იმას, აქვს თუ არა მოცემულ ნიშანს საერთოდ უნარი, განასხვავოს საქონლის ან მომსახურების ერთი სახეობა სხვა სახეობისგან. როგორც წესი ეს ადვილია, როდესაც საქმე გვაქვს სიტყვებსა და ასოებთან. თავისებურებები ჩნდება მაშინ, როდესაც საქმე ეხება სამგანზომილებიან სასაქონლო ნიშნებს. ამ შემთხვევაში უფლების დაცვა გამორიცხულია, თუ ნიშნის გამოსახულება თავად საქონლის თავისებურებით არის განპირობებული, საჭირო არის ტექნიკური საფუძვლების გამო ან თუ ანიჭებს საქონელს მის ძირითად ფასეულობას. ამ გზით თავიდან უნდა იქნეს აცილებული მსგავსი და ტექნიკით შექმნილი საქონლის და საქონლის შეფუთვის გამოსახულების მონოპოლიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ აბსტრაქტული, ელემენტარული ანდა ძირითადად ტექნიკურად წინასწარ მოცემული ფორმების დაცვა არ არსებობს, არამედ დაცვა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული ესთეტიური გამოსახულების არსებობისას.

3. დაცვის დამაბრკოლებელი საფუძვლები

სასაქონლო ნიშანი შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ არ არსებობს დაცვაზე უარის თქმის საფუძვლები. საჭიროა დიფერენციაცია დაცვაზე უარის თქმის აბსოლუტურ და შედარებით საფუძვლებს შორის. რეგისტრაციის დროს მოწმდება მხოლოდ აბსოლუტური საფუძვლები, შედარებითი საფუძვლები (ძირითადად უფრო ძველი ინდივიდუალური უფლებები) განცხადებულ უნდა იქნენ უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის ორგანოში სასაჩივრო წარმოების დროს, ან როგორც საწინააღმდეგო არგუმენტი უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში. აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთა დანიშნულება არის საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე არ დაუშვან უფლების მონოპოლიზაცია, მე-4 მუხლის შესაბამისად განეკუთნება შემდეგი გარემოებები, რომლებიც უნდა შემოწმდეს საქონლისა და მომსახურების ნიმუშებზე:

- განსხვავების არ არსებობა
- აღწერილობითობა*
- გვაროვნულობა
- შეცდომაში შეყვანა
- ზნეობრივი ნორმების დარღვევა
- სახელმწიფოებრივი ნიშნების არსებობა

ამასთან ერთად ისეთი სასაქონლო ნიშნებიც შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები (არაგანმასხვავებელუნარიანობა, აღწერილობითობა, გვაროვნულობა), მაგრამ ეს ნიშნები სამოქალაქო ბრუნვაში რეგისტრაციამდე ბრუნვაში უკვე დამკვიდრდა და ამით განმასხვავებელი ნიშანიც მიიღო (მუხლი 4, პუნქტი 3).

4. დაცვის წარმოშობა

სასაქონლო ნიშანზე უფლება წარმოიშობა მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით ამ ნიშნის საქართველოს რეესტრში (საქპატენტში) რეგისტრაციის დღიდან. სასაქონლო ნიშანში იგულისხმება დაცვას დაქვემდებარებული შემონმებული უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისმა უწყებამ შეამოწმა ნიშნის დაცვის უნარიანობა (სასაქონლო ნიშნად გამოსადეგობა) და მხოლოდ შემონმების დადებითი შედეგის შემთხვევაში მოახდინა მისი რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი. ამასთან არ არის აუცილებელი, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს ჰქონდეს საკუთარი საწარმო. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის პროცედურა დეტალურად აღწერილია მე-9 და შემდგომ მუხლებში და აქ ამაზე არ შევჩერდებით.

სასაქონლო ნიშნის დაცვა შეიძლება განხორციელდეს უფლების რეგისტრაციის გარეშეც. ეს წესი არ ეხება საყოველთაოდ ცნობილ სასაქონლო ნიშნებს პარიზის კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად. ამ შემთხვევაში დაცვა წარმოიშობა თავად ნიშნის გამოყენებით, თანაც საკმარისია მისი გამოყენება მხოლოდ უცხოეთშიც. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანი არის ნიშანი, რომელსაც შესაბამის წრეებში დამკვიდრებული მზარდი ბრუნვა აქვს. დამკვიდრებული ბრუნვა ნიშნავს, რომ მომხმარებლის დიდი ნაწილი იცნობს მოცემულ სიმბოლოს უკან მდგარ სასაქონლო ნიშნის მფლობელს. მზარდ დამკვიდრებულ ბრუნვასთან გვაქვს საქმე მაშინ, როდესაც ცნობადობის ხარისხი 50%-ს გადააჭარბებს. ამ კატეგორიის სასაქონლო ნიშნებს განეკუთნება ისეთი ცნობილი ნიშნები, როგორიცაა კოკა-კოლა, მაიკროსოფტი ან მერსედეს ბენცი.

5. დაცვის ხანგრძლივობა

სასაქონლო ნიშანზე უფლების დაცვის ხანგრძლივობაა 10 წელი, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველი შემდგომი 10 წლით შეუზღუდავად, მუხლი 20.

III. ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე (აქტიური ლეგიტიმაცია)

ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე გააჩნია გასაჩივრებული სასაქონლო ნიშნის (ანუ სასაქონლო ნიშნის, რომლის დაცვაც ხორციელდება) მფლობელს. მფლობელის გარდა დაცვის ლეგიტიმაცია გააჩნია ასევე ლიცენზიატს კანონის მე-26 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით. თუმცა ამისთვის საჭიროა მფლობელის თანხმობა. საკითხავია, შეუძლიათ თუ არა სასაქონლო ნიშნის როგორც მფლობელს, ასევე ლიცენზიატს ერ-

* აქ საუბარია სასაქონლო ნიშნის ისეთ სიმბოლოებზე, რომლებიც ესაჭიროება ბაზრის სხვა მონაწილეებს მათი საქონლის სახის, თვისებების, რაოდენობის, დანიშნულების და ა.შ. აღწერისათვის და ამიტომ არ შეიძლება სასაქონლო ნიშნის სახით დაცული იქნენ – მთარგმნელის შენიშვნა, იხ. ასევე: [http://de.wikipedia.org/wiki/Freihaltebed%C3%BCrfnis_\(Markenrecht\)](http://de.wikipedia.org/wiki/Freihaltebed%C3%BCrfnis_(Markenrecht))

თდროულად შეიტანონ სარჩელი უფლების დარღვევის შემთხვევაში. ამას გარდა, ლიცენზიატს უფლება აქვს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ჩაერთოს სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევის შესახებ გამართულ სასამართლო პროცესში, თუმცა ამის შედეგად ლიცენზიანტი არ იძენს საკუთარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

IV. უფლების დარღვევა / კოლიზია

1. პრიორიტეტი

სასაქონლო ნიშანზე უფლების შექმნისას ნიშნის მფლობელი იძენს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს სასაქონლო ნიშანი დაცული პროდუქტებისა და მომსახურებისთვის. ეს დაცვა მოქმედებს **პრიორიტეტის პრინციპის** მიხედვით უფრო ახალ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში და – დროის პრიორიტეტის მიუხედავად – დაუცველ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ პირს, ვინც დაუცველი ნიშანი გამოიყენა მფლობელის მიერ ამ ნიშნის გამოყენებასა და მის რეგისტრაციამდე, არ შეუძლია ამ მფლობელის მიმართ იქონიოს მოთხოვნა უკეთეს (ანუ უფრო ძველი) უფლებაზე. და პირიქით, ის, ვინც უფრო ძველ რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს ფლობს, რომლის ფარგლებშიც იჭრება მოცემული სასაქონლო ნიშანი, უფლებამოსილია ეს უფრო ძველი უფლება გამოიყენოს მომჩივანის წინააღმდეგ უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ პროცესში შესაგებლის სახით. სხვისი უკეთესი (ე.ი. უფრო ძველი) უფლება მოპასუხეს არ შეუძლია გამოიყენოს მოსარჩელის მიმართ შესაგებლის სახით. გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ მოპასუხეს სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე აქვს ამ სასაქონლო ნიშნის სარგებლობის უფლება.

2. უფლების დარღვევის შემადგენლობები

კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეუძლია მესამე პირებს აუკრძალოს:

- სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენონ იდენტური ნიშანი ისეთი საქონლისა და მომსახურებისთვის, რომლებიც იდენტურია იმ საქონელსა და მომსახურებასთან, რომელთან დაკავშირებითაც რეგისტრირებულია მოცემული სასაქონლო ნიშანი (ორმაგი იდენტურობა)
- სამოქალაქო ბრუნვაში იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება, თუ მისი მოცემულ სასაქონლო ნიშანთან იდენტურობის ან მსგავსების და საქონლისა და მომსახურების მსგავსების გამო მომხმარებლისთვის ამ ნიშნების აღრევის შესაძლებლობა ჩნდება, და ასევე ჩნდება საშიშროება, რომ ეს ნიშანი მოცემულ დაცულ სასაქონლო ნიშანთან ასოციაციურად დაკავშირებულ იქნება
- სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ნიშანი, რომელიც ქვეყნის შიგნით ცნობილ სასაქონლო ნიშანთან იდენტური ან მსგავსია, თუ ამ ნიშნის გამოყენებით მოცემული ნიშნის გასხვავებელუნარიანობა ან მისი საზოგადო შეფასება შელახული იქნება, ან თუ მესამე პირი ამით უსაფუძვლო უპირატესობას მიიღებს.

უფლების დარღვევის ცალკეული ტიპური შემთხვევები მოცემულია კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში. ამ მუხლის მიხედვით მესამე პირებს კერძოდ ეკრძალება:

- სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე
- ისეთი საქონლის შეთავაზება, სავაჭრო ბრუნვაში შეტანა ან ამ მიზნით შენახვა, მისი ექსპორტი ან იმპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით
- მოცემული სასაქონლო ნიშნით მომსახურების შეთავაზება ან განხორციელება
- მოცემული სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამასა ან საქმიან დოკუმენტებში.

მოცემული სასაქონლო ნიშნის მფლობელს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით შეუძლია მესამე პირს აუკრძალოს გარკვეული მოსამზადებელი მოქმედებები, კერძოდ ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალის, ეტიკეტების, ჩამოსაკიდების, დაკერებული ემბლემების ან მსგავსი ელემენტების შემოთავაზება, მიმოქცევაში შეტანა, მათი ფლობა ან მათი ექსპორტი და იმპორტი. ამ შემთხვევაში უფლების დარღვევას ჯერ ადგილი არა აქვს, რადგან შესაფუთი მასალა ჯერ არ არის შეერთებული პროდუქტთან და ამიტომ წარმოშობის იმიტაცია ჯერ არ მომხდარა.

3. ქმედება საქმიან ბრუნვაში

სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაბამისი მოქმედება ხორციელდება საქმიან ბრუნვაში. საქმიანი ბრუნვის ცნება ფართოდ უნდა იყოს გაგებული. მას განეკუთვნება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საკუთარ ან სხვის საქმიან ინტერესებს ემსახურება, თანაც მოგების მიღების მიზნის არსებობა აუცილებელი არ არის. ამას გარდა საკითხავია, საქმიან ბრუნვაში ქმედებასთან ერთად საჭირო არის თუ არა სასაქონლო ნიშნის შესაბამისი გამოყენება, რათა უფლების დარღვევის წინაპირობა შესრულებული იყოს. გერმანულ სამართალში წარმოშობის ფუნქციის გამო ეს საჭიროდ ჩათვალეს. ამით ყველა ის მოქმედება, რომლის დროსაც სასაქონლო ნიშანი გამოიყენება არა საკუთარი საქონლის ან მომსახურების განსახვავებლად, არამედ (მაგ. გვაროვნული ნივთების აღნიშვნისას) მხოლოდ აღწერისთვის, წმინდა სარედაქციო დეკორაციული, შედარებითი მიზნით, ან უცხო საქონელზე მითითებისთვის, შეიძლება გამოირიცხოს უფლების დარღვევის შემადგენლობიდან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სასამართლოს პრაქტიკაში ნათელია იმის ტენდენცია, რომ არა მხოლოდ სასაქონლო ნიშნის წარმოშობის ფუნქციის შელახვა, არამედ ყოველი ისეთი გამოყენება, რომელიც გონებრივ (ასოციაციურ) დაკავშირებას გამოიწვევს დაცულ სასაქონლო ნიშანთან უფლების დარღვევად შეიძლება განიხილოს. უფლების იდენტური დარღვევებისას შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს ხარისხის, კომუნიკაციის, საინვესტიციო ან სარეკლამო ფუნქციებს.

4. ორმაგი იდენტურობა

სასაქონლო ნიშნის და საქონლის ან მომსახურების იდენტურობის დროს, მე-6 მუხლის პუნქტი 2 ქვეპუნქტი „ა“-ს მიხედვით ადგილი აქვს დარღვევას, ისე რომ ერთმანეთში აღრევის შესაძლებლობა არც მონმდება. სასაქონლო ნიშანთან იდენტურობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც შესაძარბელი ნიშანი მას ემთხვევა ყველა პარამეტრით. განსხვავებულ წარწერისას ან გამოსახულების ნაწილების განსხვავების არსებობისას მხოლოდ ფონეტიკური დამთხვევა არ არის საკმარისი იდენტურობის დასამტკიცებლად. საქონლის და მომსახურების იდენტურობისას გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი კლასიფიკაცია. პრაქტიკაში ორმაგი იდენტურობა ძალზე იშვიათია. უფლების დარღვევა ორმაგი იდენტურობის გამო განეკუთვნება უფლების დაცვაზე უარის თქმის შედარებით საფუძველს მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

5. უფლების დარღვევა ერთმანეთში აღრევის საშიშროების გამო

თუ ნიშნები ან/და საქონელი მსგავსია, მაშინ უნდა არსებობდეს მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით ნიშნების აღრევის საშიშროება. ეს შეესაბამება უფლების დაცვაზე უარის თქმის შედარებით საფუძველს მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით. იმის დასადგენად, არსებობს თუ არ ნიშნების ერთმანეთში აღრევის საშიშროება, შესამოწმებელია შემდეგი კრიტერიუმები:

- ნიშნების მსგავსება
- საქონლის და მომსახურების მსგავსება
- უფრო ძველი სასაქონლო ნიშნის დაცვის მოცულობა.

იმის შემონმება, ჰქონდა თუ არა უკვე ადგილი აღრევას, საჭირო არ არის. საკმარისია მისი აბსტრაქტული შესაძლებლობის არსებობა, თუმცა აღრევის შემთხვევების არსებობა თავისთავად ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს აღრევის საშიშროების არსებობის სასარგებლოდ. ამ საშიშროების შემონმების მასშტაბად ითვლება ბრუნვაში მონაწილე წრეების აზრი, თანაც გათვალისწინებულ უნდა იყვნენ საშუალო დონის ინფორმირებული, ყურადღებიანი და შეფასების უნარის მქონე მომხმარებლები. ყურადღების ხარისხი სხვადასხვა საქონლის და მომსახურების მიმართ შეიძლება განსხვავებული იყოს. რაც უფრო დიდია შესაბამისი წრეების ყურადღება, მით უფრო მცირეა აღრევის საშიშროების არსებობა. ხაზი უნდა გაესვას იმ მოსაზრებას, რომ აღრევის საშიშროების შემონმებისას არ შეიძლება სქემატური შეფასებების გამოყენება. ძალზე მნიშვნელოვანია კონკრეტული საქმის ვითარებების შემონმება. რასაკვირველია, შემონმების დროს აუცილებელია გარკვეული გამოცდილების შედეგების გამოყენება. ასე, მაგალითად, გასათვალისწინებელია ის, რომ მოცემული ნიშნები არ შეიძლება საშუალო მომხმარებლების მიერ ერთდროულად აღქმული და შედარებული იქნეს. მომხმარებელი აყალიბებს თავის აზრს უფრო მეტად მეხსიერებაში ჩარჩენილი შთაბეჭდილების საფუძველზე, ამიტომ მოცემული სასაქონლო ნიშნების მსგავსი ელემენტები უფრო ახსენდებათ, ვიდრე გასხვავებები. ამიტომ შედარებითი საერთო შეფასებისას უფრო მეტი წონა ენიჭება არა განსხვავებებს, არამედ მსგავსებებს.

ა) სასაქონლო ნიშნების მსგავსება

თუ ნიშნებს შორის მსგავსება არ არსებობს, მაშინ აღრევის საშიშროება არ არსებობს. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა და თუ არსებობს, რა ხარისხის, მსგავსება ნიშნებს შორის, უნდა შემონმდეს მსგავსება როგორც ჟღერადობაში, ასევე გამოსახულებასა და ცნებებში, ამასთან მსგავსება ერთ რომელიმე კატეგორიაში საკმარისია ნიშნების მსგავსების დასადასტურებლად. გასათვალისწინებელია შემდეგი:

- სიტყვიერი ნიშნებისთვის: სიტყვათა სიგრძე, ხმოვანების თანმიმდევრობა, მარცვლების რაოდენობა, მარცვალთა დაყოფა და აქცენტი
- გამოსახულებითი ნიშნებისთვის: სურათის გამოსახულება (საერთო შთაბეჭდილება), აზრობრივი შემაღგენლობა.

კომბინირებული ნიშნებისთვის ნიშნის ერთი ნაწილის შესაბამისობა მოცემულ საკოლიზიო ნიშანთან არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს იქნეს აღრევის საშიშროება. ნიშნის ნაწილის დაცვა პრინციპულად გამოირიცხება. თუმცა შესაძლებელია, რომ სასაქონლო ნიშნის შემადგენელ ნაწილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს და ამიტომ კოლიზიაც განაპირობოს. აღწერილობით და მცირედ მიმანიშნებელ ელემენტებს როგორც ნესი გადამწყვეტი ძალა არ გააჩნია.

ბ) საქონლისა და მომსახურების მსგავსება

აქ შესამონმებელია, არის თუ არა მსგავსება მოცემული ნიშნით და გასაჩივრებული (უფლების დამრღვევი) ნიშნით შემოთავაზებული საქონლისა და მომსახურების იმდაგვარი, რომ მან აღრევა გამოიწვიოს. საქონლის მსგავსება განმარტებულ უნდა იქნეს აღრევის შესაძლებლობის კუთხით. თუ მსგავსება არ დადგინდება, მაშინ აღრევის საშიშროება გამოირიცხება. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის უეჭველი, როდესაც დაშორება საქონელს შორის იმდენად დიდია, რომ აღრევა შესაძლოა გამოირიცხოს თავიდანვე.

მსგავსების შემონმებისას ისევ და ისევ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა ის ასპექტი, რომლებიც განაპირობებს საქონლის და მომსახურების მახასიათებლებს. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრუნვაში არსებული წარმოდგენები მოცემული საქონლისა და მომსახურებისთვის ბაზარზე არსებული ფაქტური პირობების შესახებ. ფორმალური შესაბამისობა განცხადებულ და რეგისტრაციაში გატარებულ საქონელსა და მომსახურების სახეებთან თავისთავად საკმარისი არ არის აღრევის საშიშროების დასადგენად. გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმები:

- საქონლის თვისებები
- ჩვეულებრივი სანარმოო წარმოშობა
- ჩვეულებრივი გასაღების და მომსახურების განევის წესი
- გამოყენების მიზანი და სარგებლობა
- ერთმანეთთან კონკურირებადი ან ურთიერთშემავსებელი პროდუქტების ან მომსახურების თავისებურებანი.

საქონელსა და მომსახურებას შორის ძირითადად მსგავსება არ არსებობს. ამ შემთხვევაში მსგავსება შეიძლება მხოლოდ მაშინ არსებობდეს, თუ საქონლის წარმოშობა იმდენად იქნება სიმულირებული, რომ სამოქალაქო ბრუნვაში შეიქმნება წარმოდგენა, თითქოს საქონელი და მომსახურება ერთი და იგივე წარმოშობისა იყოს.

გ) ნიშანდების სიძლიერე

ნიშანდების სიძლიერე განსაზღვრავს სასაქონლო ნიშნის დაცვის მოცულობას. რაც უფრო ძლიერია ნიშანდების, მით უფრო ფართოა მისი დაცვა. განასხვავებენ ძლიერი, ნორმალური/საშუალო და სუსტი სიძლიერის ნიშანდების სასაქონლო ნიშნებს. ნიშანდების სიძლიერე განისაზღვრება სანყისი ნიშანდების სიძლიერით და ელემენტების შემავსებელი დაკვირვებით, რომლებიც ამ ნიშანდების სიძლიერეს აძლიერებს ან ასუსტებს. აღრევის საშიშროება უფრო ადვილად სავარაუდო იქნება, რაც უფრო მკაფიოდ იქნება გამოხატული პრიორიტეტულად ძველი ნიშნის ნიშანდების სიძლიერე.

(1) სანყისი ნიშანდების სიძლიერე

სანყისი ნიშანდების სიძლიერის ხარისხი გამოიხატება სასაქონლო ნიშნის ჟღერადობის, გამოსახულების და არსის თავისებურებაში (ინდივიდუალობაში). თუ სასაქონლო ნიშანი განსხვავებულია, მაშინ მას როგორც წესი ახასიათებს ნორმალური ნიშანდების სიძლიერე. განსაკუთრებული ფანტაზიით აღსავსე და მკაფიოდ გამოხატულ სასაქონლო ნიშნებს მაინც თავისთავად არ გააჩნია საშუალოზე მაღალი ნიშანდება, არამედ მხოლოდ საშუალო ნიშანდების სიძლიერე ხასიათდება. ნაკლებად ორიგინალურ (მაგ. გვაროვნული აღნიშვნის შემცველ) ნიშნებს კი ახასიათებს საშუალოზე უფრო სუსტი ნიშანდების სიძლიერე.

(2) ნიშანდების გაძლიერება

ნიშანდების გაძლიერება შეიძლება მოხდეს სასაქონლო ნიშნის ინტენსიური გამოყენებით გამოწვეული მისი სამოქალაქო ბრუნვაში ცნობადობის გაძლიერების შედეგად. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ სასაქონლო ნიშნის მონაწილეობის მოცულობა ბაზარზე, მისი გამოყენების ხანგრძლივობა, რეკლამასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე მისი ცნობადობის ხარისხი შესაბამის სამოქალაქო ბრუნვის წრეებში.

(3) ნიშანდების დასუსტება

ნიშანდების დასუსტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სასაქონლო ნიშნის მფლობელი თავად ითმენს მსგავსი ნიშნების სიმრავლის არსებობას. მსგავს შემთხვევებში ითვლება, რომ სამოქალაქო ბრუნვა იძულებულია მცირე განსხვავებებსაც მიაქციოს ყურადღება. ამ შემთხვევაში საკმარისია მცირე განსხვავების არსებობა, რომ უარყოფილ იქნეს აღრევის საშიშროება.

დ) ურთიერთქმედება

საქონლისა და მომსახურების მსგავსებას შორის ერთი მხრივ და სასაქონლო ნიშნებსა და ნიშანდების სიძლიერეს შორის მეორე მხრივ არსებობს ურთიერთქმედება. საქონლის შორის მსგავსების დაბალი დონე შეიძლება ნიშნებს შორის მსგავსობის მაღალი ხარისხით და გაზრდილი ნიშანდების სიძლიერით იქნეს კომპენსირებული.

დ. აღრევის საშიშროება ნიშნის სხვა ნიშანთან იმპულსური დაკავშირებით (ასოციაციური აღრევის საშიშროება)

6. ცნობილი სასაქონლო ნიშნის გაფართოებული დაცვა

ახალ სასაქონლო ნიშანს შეუძლია მაშინაც დაარღვიოს უფრო ადრე დაცულ სასაქონლო ნიშნიდან გამომდინარე უფლება (მუხლი 6, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „დ“), როდესაც საქმე გვაქვს მსგავს ან იდენტურ ნიშნებთან, მაგრამ საქონლის იდენტურობა ან მსგავსება სახეზე არ არის, ესე იგი აღრევის საშიშროება არ არსებობს. მაგრამ აქ მოცემულია კიდევ ერთი წინაპირობა – ის, რომ (1) უფრო ადრე დაცული სასაქონლო ნიშანი საქართველოში ცნობილია და რომ (2) ამ ახალი ნიშნის გამოყენება ზიანს მიაყენებს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობას ან მის რეპუტაციას და უფრო ახალი სასაქონლო ნიშნის მფლობელს დაუმსახურებლად შეექმნება ხელსაყრელი პირობები. ეს განსაკუთრებული დაცვა, რომელიც დაცვის ჩვეულებრივ მოცულობას სცილდება იმით არის განპირობებული, რომ ცნობილი სასაქონლო ნიშნები ყოველთვის საფრთხის წინაშე დგანან, რომ მესამე პირები ეცდებიან მათი რეპუტაცია და მათ მიერ მიღწეული მაღალი შეფასება სამოქალაქო ბრუნვაში საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენონ. დაცული სასაქონლო ნიშნის ცნობადობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვაში მომხმარებელთა 30–50 პროცენტის მიერ ამ ნიშნის ცნობას. დაცვას ექვემდებარება შემდეგი კრიტერიუმები:

- რეპუტაციის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება
- რეპუტაციის შელახვა
- განსხვავებელუნარიანობის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება
- სასაქონლო ნიშნის გაუფასურება.

V. უფლების დარღვევის მართლწინააღმდეგობა

1. დაუშვებელი პრეტენზიები

მოპასუხეს არ შეუძლია უფლების დარღვევასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მავალდებულებელი მოქმედების გამო მოითხოვოს დაცული ნიშნის გაუქმება შესაგებლის სახით, თუ საქმე ეხება დაცვაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებს. ამ საფუძვლების არსებობა ან არარსებობა იყო სწორედ შემონმების საგანი რეგისტრაციის წარმოების დროს. აქედან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ არ შეიძლება უარის თქმა სასაქონლო ნიშნის ყოველგვარ დაცვაზე. იმავდროულად მოსამართლე არ არის შეზღუდული, მის მიერ შემონმების განხორციელების დროს – მაგალითად ნიშანდების სიძლიერის შემონმებისას აღრევის საშიშროების არსებობის კუთხით, გაითვალისწინოს გარემოებები, რომლებიც მისი შეფასებით შესაძლებელია დაცვაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძვლებს წარმოადგენს.

2. ნებართვა ხელშეკრულებით

სასაქონლო ნიშანზე უფლების დარღვევა არ არის კანონსწინააღმდეგო, თუ მისი გამოყენება ნებადართულია სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ სალიცენზიო ხელშეკრულებით.

3. ნებართვა კანონის მეშვეობით

უფლების ობიექტური დარღვევა არ არის კანონსწინააღმდეგო შემდეგ შემთხვევებშიც (მუხლი 7): სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელს არა აქვს უფლება, აუკრძალოს მესამე პირს:

- სასაქონლო ბრუნვაში გამოიყენოს საკუთარი სახელი ან მისამართი
- გამოიყენოს სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა საქონლის ნიშნების, რაოდენობის, თვისების და ა. შ. გამოსახატავად
- გამოიყენოს თავად სასაქონლო ნიშანი საქონლის დანიშნულების გამოხატვის მიზნით, მათ შორის თუ ამ სასაქონლო ნიშნით ნიშანდებული საქონელი გამოიყენება როგორც შემადგენელი ან სათადარიგო ნაწილი და თუ გამოიყენება ხორციელდება სამენარმეო საქმიანობის კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისი ჩამოყალიბებულია მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში. აქ მოცემული წესის მიხედვით სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მფლობელს არა აქვს უფლება, აუკრძალოს მესამე პირს ამ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ისეთ საქონელზე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იქნა უშუალოდ სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვის საფუძველზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ საქონლის თვისებები შეიცვალა, ხარისხი გაუარესდა ან არსებობს ამ აკრძალვისათვის სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი. აქ განსაკუთრებით ნიშანდობლივია პარალელური იმპორტის შემთხვევები.

სხვა შესაბამისი შემთხვევებია:

- სასაქონლო ნიშანზე უფლების სამართალდარღვევით შეძენა (წინასწარი გამოყენება ქვეყნის შიგნით, წინასწარი გამოყენება საზღვარგარეთ, უფლების შეძენა სხვისთვის ხელშეშლის მიზნით)
- სასაქონლო ნიშნის მართალსაწინააღმდეგო გამოყენება.

VI. პასიური ლეგიტიმაცია

პასიური ლეგიტიმაციის ფარგლებში უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა მოპასუხის პასუხისმგებლობა სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შემთხვევაში. კანონის 45-ე მუხლი მიუთითებს პასუხისმგებლობაზე ზოგადი წესების მიხედვით.

VI. სამართლებრივი შედეგები

კანონის 45-ე მუხლის მიხედვით სასაქონლო ნიშნის უფლების მფლობელს უფლების დამრღვევის მიმართ გააჩნია შემდეგი მოთხოვნები:

- ქმედების შეწყვეტა
- ზიანის ანაზღაურება
- უფლების დარღვევით ნიშანდებული საქონლის განადგურება
- სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი მასალების განადგურება.

ISBN 978-9941-414-80-0



9 789941 414800 >